უნივერსალური პარტნიორი საქმიანი ადამიანებისთვის

# ბიზნესი და კანონმდებლობა

№2 ივლისი–დეკემბერი 2021



www.b-k.ge
info@iverioni.com.ge

N2 July-December 2021

ISSN 1987 - 6041

# Business & Law

# ბიზნესი და კანონმდებლობა

## ივლისი-დეკემბერი 2021



## საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი

ინდექსირებულია საერთაშორისო საძიებო ბაზაში Google scholar
რეფერირებადია 2008 წლიდან

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა ყოველთვის არ ემთხვეოდეს ავტორისას. შემოსული სტატიების შინაარსზე და მონაცემთა სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.


**რედაქციის მისამართი:**
თბილისი, კოსტავას ქ. 12. სართული 2.
ტელ: 599 56-14-57, 574 43-64-27
www.b-k.ge;
E-mail: info@iverioni.com.ge,

**საბანკო რეკვიზიტები:**
სააქციო საზოგადოება "საქართველოს ბანკი";
ბანკის კოდი: BAGAGE22;
ა/ა GE30BG0000000850902700;
ს/კ 404956455.

**გამომცემლები:**
საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსური მენეჯერთა ფედერაცია,
საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო "ივერიონი"



**რედაქტორთა საბჭოს თავმჯდომარე:**
ზაურ ნაჭყებია

**მთავარი რედაქტორი:**
იური პაპასქუა, ეკ. მეცნ. აკად. დოქტორი, პროფესორი

**პასუხისმგებელი რედაქტორი:**
ილონა ადამია

**ტექნიკური რედაქტორი:**
ლევან ბოჭორიშვილი

**სამეცნიერო საბჭო:**

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები:
მიხეილ ჯიბუტი (საბჭოს თავმჯდომარე), ნოდარ ჭითანავა, ელგუჯა მექვაბიშვილი, პაატა კოღუაშვილი, ნატო კაკაშვილი, ნანა შონია, დავით ჯალაღონია, თემურ ხომერიკი, კოტე აბულაძე, ნიკოლოზ ჩიხლაძე, ლარისა თაკალანძე, გიორგი ღავთაძე, ლია ელიავა, დავით ჭიოტაშვილი, სულიკო ფუტკარაძე, დემნა კვარაცხელია, ანზორ მესხიშვილი, ბორის ჭიჭინაძე, ზურაბ ლიპარტია, კახა კვაშილავა, რამინ ცინარიძე.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი
**ავთანდილ სილაგაძე.**
სამართლისა და პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი
**ჯემალ გახოკიძე.**
პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
**მამუკა თავხელიძე.**

**რობერტ ვ. მაკგი** (აშშ ფაეტევილის სახელმწიფო უნივერსიტეტის, პროფესორი)

**ვინსენტ რ. ჯონსონი** (სანქტ-მარის უნივერსიტეტის სამართლის პროფესორი, სან ანტონიო, ტეხასი, აშშ)

**ანტონი ვ. დნესი** (ნორტცენტრალის უნივერსიტეტის უმაღლესი სკოლის პროფესორი, პრესკოტის ველი, არიზონა, აშშ)

**ბერნარდ ზიგლერი** (ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი),

**იოჰან ფიშერი** (ბონის უნივერსიტეტის პროფესორი),

**ალი ალერზევი** (ბაქოს სახ. უნივერსიტეტის პროფესორი).

**მარი ლანგი** (EFAA-ს ტექნიკური დირექტორი).

**ანნა კარმანსკა** (პროფესორი, EFAA-ს გამგეობის წევრი, ვარშავის კომერციის უმაღლესი სკოლის ბუღალტრული აღრიცხვის კათედრის ხელმძღვანელი).

**ალექსეი რუფი** (რუსეთის ფედერაციის ბუღალტრულ ექსპერტთა და ფინანსურ აუდიტორთა გილდიის გამგეობის თავმჯდომარე, აუდიტორულ საკონსულტაციო ჯგუფის „რუფაუდიტ/ინაუდიტ ალიანსის“ გენერალური დირექტორი, დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე).

**ლილია გრიგოროი** (ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, მოლდოვეთის ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის ბუღალტრული აღრიცხვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი).

**ფედერიკო დიომედა** (დოქტორი, EFAA-ს პრეზიდენტის საგანგებო მრჩეველი).

**რობინ იარვერსი,** (პროფესორი, ASSA-ის საგანგებო მრჩეველი).

# Business & Law

## JULE-DECEMBER 2021




**INTERNATIONAL SCIENTIFIC-ANALYTICAL JOURNAL**

**Indexed in the Google schoral international search system**

**Referenced since 2008**


The Journal is governed by free press principles. The editorial board point of view may not necessarily agree with the point of view expressed by the authors. Therefore the Editorial Board does not pledge any responsibility on the content of the articles submitted by the Authors.


ADDRESS OF EDITORIAL BOARD:
Tbilisi, Kostava str. 12.
Tel: 599 56-14-57, 574 43-64-27
URL: www.b-k.ge
E-mail: info@iverioni.com.ge,
gfaafm@gmail.com



BANK DETAILS:
JSC Bank of Georgia
Bank code: BAGAGE22
c/a GE30BG0000000850902700
i/c 404956455

**PUBLISHERS:**
The Federation of Auditors, Accountants and Financial Managers of Georgia;
Information – analytical agency „Iverioni"



**CHAIRMAN OF THE BOARD OF EDITORS:**
**ZAUR NACHKEBIA**

**EDITOR - IN – CHIEF**
**IURI PAPASQUA, Doctor of Economics, Professor**

**EDITOR – IN – CHARGE**
**ILONA ADAMIA**

**TECHNICAL DIRECTOR:**
**LEVAN BOCHORISHVILI**

**EDITORIAL BOARD:**

**DOCTORS OF ECONOMICS, PROFESSORS:**
Mikheil Jibuti (Chairman of the Board), Nodar Chitanava, Elguja Mekvabishvili, Paata Koguashvili, Nato Kakashvili, Nana Shonia, Davit Djalagonia, Temur Khomeriki, Kote Abuladze, Nikolodz Chikhladze, Larisa Takalandze, Giorgi Gavtadze, Lia Eliava, Davit Chiotashvili, Suliko Futkaradze, Demna Kvaratskhelia, Giorgi Rusiashvili, Anzor Meskhishvili, Boris Chichinadze, Zurab Lipartia, Kakha kvashilava, Ramin Tsinaridze.

Academic of the Georgian Academy of Sciences
**AVTANDIL SILAGADZE**
Doctor of Law and Politics Sciences
**JEMAL GAKHOKIDZE**
Doctor of Pedagogical Sciences
**MAMUKA TAVKHELIDZE**
Fayeteville State University Professor

**ROBERT MCGEE** (USA)
Professor of Law, St. Mary's University (San Antonio, Texas, USA)

**VINCENT R. JOHNSON,**
The Graduate School, Northcentral University, (Prescott Valley, Arizona, USA)

**ANTONY W. DNES**
Berlin University Professor

**BERNARD ZIGLER** (GERMANY)
Bonn University Professor,

**IOHAN FISHER** (GERMANY)
Baku State University, Professor

**ALI ALERZEVI** (AZERBAIJAN)

**MARIE LANG,** Technical Director of EFAA

**ANNA KARMAŃSKA,** Professor, EFAA Board Member, Warsaw School of Economics.

**ALEXEY RUF,** Chairman of the Board of Guild of Accountant Experts and Financial Auditors of Russian Federation.

**LILIA GRIGOROI,** Ph. D.in Economics, Head of Accounting Department, Academy of Economic Sciences of Moldova.

**FEDERICO DIOMEDA,** doctor, Special Adviser to the President of EFAA.

**ROBIN JARVIS,** Professor, Special Adviser, Association of Chartered Certified Accountants.

# შინაარსი

**იური პაპასქუა**
„გლობალური გამოწვევები ერთპოლუსიან მსოფლიოში" -
აწმყოსა და მომავალზე ნაფიქრით პირამდე სავსე საგანძური ---------- 6

**გურამ აბესაძე, ნოდარ აბესაძე**
სამოქალაქო სივრცის რაციონალურობა და დემოკრატიული ტრანზიცია საქართველოში ---------- 9

**კახი კოპალიანი, ელენე ჩომახიძე, ანი ზუბაშვილი**
ფულის ფსიქოლოგიური არსი ----------14

**ლარისა თაქალანძე**
**Корпоративная социальная ответственность в Европейском союзе и опит для Грузии** ----------24

**მადონა გელაშვილი**
პანდემიის გავლენა მსოფლიო ეკონომიკაზე ----------33

**ბორის ჭიჭინაძე**
საქართველოს დემოგრაფიული მდგომარეობა კოვიდპანდემიის
პირობებში და სამომავლო პერსპექტივა ----------39

**დავით ნიჟარაძე**
შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის ეფექტიანობის ტენდენციები ქართულ კომპანიებში ----------44

**სულიკო ფუტკარაძე, რამინ ცინარიძე, მირზა ფუტკარაძე**
საგადასახადო რეფორმები და სახელმწიფო ბიუჯეტის
შემოსავლები „COVID-19" პანდემიის პირობებში ----------47

**კობა ბასილაია, ლაშა-გიორგი სიმონიშვილი-ჯაყელი**
საქართველოში არა სიცოცხლის დაზღვევის განვითარების ხელშემწყობი ფაქტორები ----------60

**გია ანანიძე, დავით შაინიძე, ლაშა ბერიძე, რამინ ცინარიძე**
რეფინანსირების განაკვეთის როლი სავალუტო კურსის რეგულირებაში----------63

**ანა ჭიპაშვილი, ფატიმა ქვაცაბაია**
მიწის ადმინისტრირების სისტემის ძირითადი საფუძვლების მიმოხილვა----------70

**ბიძინა გრიგალაშვილი**
საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდოლოგიური
სრულყოფის საკითხები საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ----------75

**ახალი გამოცემები**

**იური პაპასქუა**
მისია, რომელიც მიზანზე მეტია, გამოხმაურება ზურაბ ხონელიზის
წიგნზე „მშვიდობის ქართული პარადიგმა" ----------79

**დავით ჯალაღონია**
ცხოვრების მიზანი უცვლელია, გამოხმაურება ზურაბ ხონელიძის
წიგნზე „მშვიდობის ქართული პარადიგმა" ----------83

**საჭირო და სასარგებლო სახელმძღვანელო** - გამოხმაურება ვლადიმერ ბასარიას
წიგნზე „შესავალი ეკონომიკურ თეორიაში მიკროეკონომიკის საფუძვლები" ----------85

**ჟურნალის მკითხველთა და პოტენციურ ავტორთა საყურადღებოდ!**----------86

# CONTENTS

IURI PAPASKUA
„Global Challenges in a Unipolar World“ -
A Treasure Full of Thoughts on the Present and the Future ---------- 6

GURAM ABESADZE, NODAR ABESADZE
Rationality of civil space and democratic transition in Georgia ---------- 9

KAKHI KOPALIANI, ELENE CHOMAKHIDZE, ANA ZUBASHVILI
The psychological essence of money ---------- 14

TAKALANDZE LARISA
Corporate social responsibility in the European Union and experience for Georgia ---------- 24

MADONA GELASHVILI
The impact of the pandemic on the world economy ---------- 33

BORIS TCHITCHINADZE
Demographic situation of Georgia in the conditions of co-epidemic and future prospects---------- 39

DAVID NIZHARADZE
Trends of Labor Safety Policy Effectiveness in Georgian Companies---------- 44

SULIKO PUTKARADZE, RAMIN TSINARIDZE, MIRZA PUTKARADZE
Tax reforms and state budget revenues under the COVID-19 pandemic ---------- 47

KOBA BASILAIA, LASHA-GIORGI SIMONISHVILI-JAKELI
Non-life insurance development factors in Georgia ---------- 60

GIA ANANIDZE, DAVID SHAINIDZE, LASHA BERIDZE, RAMIN TSINARIDZE
The role of the refinancing rate in exchange rate regulation---------- 63

ANA CHIPASHVILI, FATIMA KVATSABAIA
Overview of the basics of land administration ---------- 70

BIDZINA GRIGALASHVILI
Methodological improvement issues of accounting
of budget organizations according to international standards (IPSAS) accordingly---------- 75

NEW EDITIONS

IURI PAPASKUA
Mission Beyond Goal,
Response to Zurab Khonelizi’s Book “Georgian Paradigm of Peace” ---------- 79

DAVIT JALAGHONIA
The purpose of life is unchanged,
Response to Zurab Khonelidze’s book “Georgian Paradigm of Peace”---------- 83

A NECESSARY AND USEFUL HANDBOOK,
Response to Vladimir Basaria’s book
“Introduction to Economic Theory - Fundamentals of Microeconomics” ---------- 85

FOR THE ATTENTION OF THE MAGAZINE READERS AND POTENTIAL AUTHORS!---------- 86

# „გლობალური გამოწვევები ერთპოლუსიან მსოფლიოში“ - აწმყოსა და მომავალზე ნაფიქრით პირამდე სავსე საგანძური

საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარირებიდან 30 წელი გავიდა. საქართველოს ისტორიის ეს მონაკვეთი, ისევე, როგორც მრავალსაუკუნოვანი წარსული, გადატვირთულია მოვლენათა დინამიურობით - ქვეყანამ ყველანაირი განსაცდელი იწვნია: - ომები (ძმათამკვლელი, სამამულო), ტერიტორიების დაკარგვა, ეკონომიკის ვარდნა, ინფლაცია, შიმშილი, ღორის, ქათმის გრიპები, ფაროსანას შემოსევა, კორონა ვირუსის ახალი შტამის ეპიდემია და ამ უბედურებებს ზვარაკად შეწირული ათასობით ადამიანური მსხვერპლი...

რა თქმა უნდა, იყო გამონათებებიც. წარმოდგენაც კი ძნელია იმ პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ცვლილებების სპექტრისა, რომელიც ამ ოცდაათწლიან პერიოდს ახლდა - ზოგი წარმატებული იყო, უმეტესობა გაუაზრებლობის, მოუმზადებლობის, მართვის უუნარობის გამო ჩაფლავდა, ნაწილი აშკარად მავნებლური, იმთავითვე ქვეყნისა და მოსახლეობის ინტერესების საზიანო გამოდგა.

ამ ოცდაათმა წელმა განსაზღვრა საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, განვითარების პერსპექტივა. მასში წარუშლელად აისახა დაშვებული შეცდომების კვალი და აქედან თავდაღწევის, სახელმწიფოებრივ მოქმედებათა დასახვის მთავარი ორიენტირიც წარსულის ლაბირინთებში უნდა ვეძებოთ.

აწმყო წარსულზე დგას, ხოლო მომავალი, წარსულისა და აწმყოს საძირკველზე იგება. ბალავარი მყარი რომ გამოდგეს, წარსულს არ უნდა მოსწყდე - გახსოვდეს დაშვებული შეცდომები და მომავლისკენ დაუნჯებით უნდა გაიხედო - ესაა განვითარების ანი და ბანი. ჩვენ წარსული გადავახაზეთ, აწმყოში მყარად ვერ ვდგავართ ფეხზე და მომავალსაც ამის გამო, ვერ ვხედავთ ფერადს!

**რა გაკვეთილები მოგვცა განვლილმა ოცდაათმა წელმა, რა ვერ ავითვისეთ და როგორ გავიდეთ ფონს? - ეს კითხვები ყველას აწუხებს, ვისაც კი ქვეყნის ბედი ოდნავ მაინც ადარდებს.**

აქამდე ბუმბერაზ მხრებზე ვიდექით, იმიტომაც გადავრჩით. ერის გამორჩეულ რაინდებს ედგათ მძიმე ტვირთწევის უღელი მუდამ და ისინი უხმოდ აკეთებდნენ საქვეყნო საქმეს. ყველა დროსა და ეპოქას ჰყავს ასეთი უჩინარი ბუმბერაზები. გარდასული ოცდაათი წელიც არ იყო გამონაკლისი - როცა მავანი მკერდში მჯიღს იცემდა, მგრძნებარე ტაშით ან უსარგებლო ყიყინით სხვას აბრუებდა, ისინი დღენიადაგ ქვეყნის, ერის საკეთილდღეოდ იღლწვოდნენ, თავდადებულ შრომაში ათენ-აღამებდნენ...

მათ რიგში გამორჩეული ადგილი უჭირავს **ნოდარ ჭითანავას** - მან საქვეყნო ტვირთი უხმაუროდ, უანგაროდ ზიდა და სახელიც ქარტეხილებს უშწიკლოდ გამოატარა. ამ ღვაწლმოსილი საზოგადო მოღვაწისა და მეცნიერის შესახებ ყველგან მოკრძალებული მონაცემებია - თანდაყოლილი პიროვნული თვისებების, მოქმედებათა პრინციპების გამო, ის ყოველთვის გაურბოდა მყვირალა ეპითეტებს, არ იკარებდა გადაჭარბებულ შეფასებებს. თუმცა მის თავმდაბლობაში თანამედროვენი ამჩნევდნენ ნიჭიერებას, კომპეტენციას, ნოვატორულ ინიციატივებს, უმაღლეს პასუხისმგებლობას ქვეყნისა და ერის წინაშე. უფროსი თაობის წარმომადგენლებს ახსოვთ საქართველოსთვის ორ ერმანეთისგან განსხვავებულ წყობილებასა და ურთულეს პოლიტიკურ ვითარებაში თუ როგორი გამჭრიახობით ემსახურა იგი ქვეყანას, ყველა თანამდებობაზე, სადაც კი ილვაწა, მიიღო შორსმჭვრეტელური, განვითარებაზე ორიენტირებული, დროისათვის შესაფერი და სათანადო გადაწყვეტილე-



ბები. მაგრამ უფრო მნიშნელოვანი, გამოცდილებით დადასტურებული, ასკეც ფიქრსა და გონებრივ განსჯაში გამოტარებული ნააზრევი ასახულია მის მრავალტომიან შრომებსა თუ გამოცემებში.

მიმდინარე წლის სექტემბრის დასაწყისში გამოიცა **ნოდარ ჭითანავას** მორიგი წიგნი **„გლობალური გამოწვევები ერთპოლუსიან მსოფლიოში - საქართველოს ეკონომიკის ტრანსფორმაციის ხილული და უხილავი პრობლემები“.** ისე, როგორც მისი წინამორბედნი, ეს გამოცემაც ქართული ეკონომიკური ლიტერატურის მნიშვნელოვანი შენაძენია. ნაშრომი პირველივე ფურცლიდან იქცევს ყურადღებას და გულგრილად ვერ ჩაიკითხავ, - ფართოა აქ განხილული საკითხების სპექტრი და ფაქტებიც ავტორიტეტული უშუალო პირველწყაროდანაა მოწოდებული.

უკვე მეორედ გავბედე ნოდარ ჭითანავას წიგნის რედაქტორობა...

ამ მძიმე და საპასუხისმგებლო ტვირთის გაწევას იმდენად დიდი შემეცნებითი მომხიბვლელობა ახლდა თან, ჭაპანი ნებსით, უყოყვანოდ მოვირგე - საქართველოს სახელმწიფოებრიობის, სულ ცოტა, ბოლო ორმოცდაათწლიანი მატიანე, - ფორმაციული ცვლილების მზადების, ტრანსფორმაციული პროცესებისა და შემდგომ საბედისწეროდ განვითარებული მოვლენების ლაბირინთები მისი ყველაზე უკეთ მცოდნე, გამოცდილებით ტოლუპოვარ, გულთმისან მეგზურთან ერთად უნდა გამევლო. დავთანხმდი იმადაც, რომ ამ ურთულეს უღელტეხილზე (დამოუკიდებლობის დეკლარირების წინარე და შემდგომ 30 წლიან მონაკვეთზე) საზოგადოებაში (სპეციალურ ლიტერატურასა თუ სხვა საინფორმაციო წყაროებში) წინააღმდეგობრივი, არაობიექტური, გარედან თავსმოხვეული ილუზიური სულისკვეთებით შეფუთული შეხედულებები არსებობს. თავადაც მსურდა რეალობაში გარკვევა, ყველაზე მეტად კი, მინდოდა თანამედროვეებს, დაიტერესებულ პირებს, მომავალ თაობას ჩვენი ქვეყნის უახლოეს წარსულზე უტყუარი ქრონიკა დარჩენოდა - 1991-2021 წლების საქართველოში პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური გარდაქმნები, ფაქტობრივი მდგომარეობის განმაპირობებელი ობიექტური მიზეზ-შედეგობრივი კავშირები, დროსა და სივრცეში გეოსტრატეგიული, მატერიალური თუ ინტელექტუალური რესურსების მიმართ დამოკიდებულების ასეთი პირუთვნელი შეფასება, დღევანდელობიდან დანახული მომავლის კონტურები ასე ჯერ არცერთ მკვლევარს არ წარმოუდგენია.

აწუკვე თქვენამდე მოღწეული წიგნის გამოცემის იდეის ჩანასახი ჯერ კიდევ შარშან გაჩნდა, როცა კორონავირუსის ეპიდემიის აფეთქებითა და გლობალური პანდემიის გამოცხადებით გამოკვეთულ, გარდაუვალ, მრავალსახა კრიზისზე ბატონ ნოდარის ჟურნალისთვის ვთხოვეთ შეფასებების გაკეთება. ქართველ მეცნიერთა შორის, იგი პირველი გამოეხმაურა მასშტაბურობით, საუკუნის დასაწყისის ამ უდიდეს დამანგრეველ მოვლენას და განსახორციელებელ პრევენციულ, ანტიკრიზისულ, აგრეთვე პოსტპანდემიური პერიოდის ღონისძიებებზეც კი, მაშინ - პანდემიის გამოცხადებიდან სულ რამდენიმე დღეში, მეტად საინტერესო, ფართო დიპაზონის მოსაზრებები შემოგვთავაზა. მეცნიერის მიერ ფაქტობრივი გარემოებების განხილვით მოცული საკითხთა წრე, ეპიდემიით გამოწვეული სოციალური, ეკონომიკური თუ მსოფმხედველობრივი პრობლემების ჩარჩოებს იმთავითვე შორს გასცდა. პირველსავე წერილში გაცხადებული მსოფლიოსთვის ახალი განსაცდელის წარმოსახვის მისეული **„ათი თეზა“**, რომელშიც მძვინვარე ვირუსის ეპიდემიის გავრცელების შედეგებზე დაკვირვებით შენიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პროცესებია ასახული, საჟურნალოზე ბევრად მეტ საყურადღებო, საკაცობრიო და საქრესტომათიო აზრებს მოიცავს. მათ შორის, ფუნდამენტურია: **„გლობალურ გამოწვევებთან თავსებადობის იმუნიტეტის გამომუშავებისა და ძლიერი სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბების აუცილებლობაზე“** მინიშნება. განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო, რომ გამოცდილებაზე დაფუძნებული და ლაკონურად ჩამოყალიბებული ყველა დროის ეს მთავარი საზრუნავი ჩვენი ქვეყნისთვის განსაკუთრებულად აქტუალურია.

ერთ-ერთ თეზაში მკაფიოდ ითქვა, რომ **„დღეს პოლიტიკურ სიმწიფეზე გამოცდას აბარებს ნაციონალური სახელმწიფო, ეფექტიანობაზე - ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სისტემა, სამოქალაქო თვითშეგნებაზე - საზოგადოება.** განვლილმა დრომ დაადასტურა, ეს სწორედ რომ გამოცდაა, - ურთულესი, უმძიმესი, უსასტიკესი შერკინება გლობალურ გამოწვევებთან**. ამ ორთაბრძოლას მსოფლიო, ფაქტობრივად, მოუმზადებელი შეხვდა - ადამიანი ფარის გარეშე, უიარაღოდ აღმოჩნდა ხახადაღებული ურჩხულის წინაშე.**

შექმნილ უმძიმეს მდგომარეობაზე მოსაზრების ჩამოყალიბებისას, ბატონმა ნოდარმა მრავლისმეტყველურად შენიშნა, რომ **„ყველაფერს კორონა ვირუსს ნუ დავაბრალებთ, ეკონომიკური კრიზისის ფესვები უფრო შორიდან მოდის“.** ადვილი მისახვედრი იყო, რომ სათავე საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარირების შემდგომ, გაუაზრებელი **სისტემური გარდაქმნების წიაღიდან იწვერებოდა** და მსჯელობისას მათ გვერდს ვერ ავუვლიდით.

დიალოგის სახით შედგენილი წერილების სერია, რომელიც მაშინ გამოქვეყნდა **„საერთო გაზეთში“,** საინფორმაციო ანალიტიკური სააგენტო **„ივერიონსა“** და საინფორმაციო სააგენტო **„ეკონიუსში“**, აგრეთვე საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში **„ბიზნესი და კანონმდებლობა“** და საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალში **„მოამბე“**, საზოგადოებამ დიდი ინტერესით მიიღო. მოსაზრებების დიდი ნაწილი გაიზიარა მკითხველთა ფართო წრემ. მაგრამ ეს იყო მხოლოდ ფრაგმენტი - იმთავითვე ჩანდა, რომ კორონავირუსის ეპიდემიით გამოწვეული პრობლემები ეროვნული ეკონომიკის 30 წლიან ტრანსფორმაციულ პროცესებთან, გლობალიზაციის გამოვლინებებთან, ეკონომიკურ ინტეგრაციასთან კავშირში იყო და თეზისურ მინიშნებებში ჩაკირული მოსაზრებები ლოგიკურ განვითა-

რებას, უფრო ვრცლად, საფუძვლიანად წარმოდგენას საჭიროებდა.

გლობალიზაციით ნასაზრდოები და კატაკლიზმებით განვითარებული ტრანსფორმაციის პირმშო საქართველოს ეკონომიკა კორონავირუსმა კიდევ უფრო დაამძიმა, საფუძვლიანად შეარყია. ადამიანების სიცოცხლის ხელყოფასთან ერთად, პანდემიამ სახელმწიფოებრივი განმგებლობის ყველა სფერო მოიცვა.

კორონავირუსის ეპიდემიის გლობალური აფეთქებიდან უკვე ორი წელი შესრულდა. გამოჩენიდან დღემდე Covid-19-მა - ამ „უჩინარმა მკვლელმა", უკვე 274 მილიონზე მეტი ადამიანი დაასნეულა, 5,5 მილიონი სიცოცხლე შეიწირა, ეკონომიკა კრიზისში გაახვია, მსოფლმხედველობრივი წარმოდგენები შეცვალა, განვითარების პერსპექტივა ბუნდოვანი გახადა...

კორონავირუსის ეპიდემიურ გამოვლინებებთან თანაცხოვრების განვლილმა პერიოდმა უფრო გამოკვეთა, გაამწვავა და გააშიშვლა მმართველობით იერარქიაში მყარად ჩამჯდარი მეტასტაზები, თვალსმიფარებული, მიჩუმათებული ყველა რისკი, ეკონომიკური უსაფრთხოების გლობალური და ლოკალური მწვავე პრობლემები, რაზეც თურმე **„ნეტარებით ლივლივებდა"** სახელმწიფოთა თანამეგობრობა, სოციალურ-ეკონომიკური სისტემა და კაცობრიობა.

ფაქტობრივად, დადასტურდა ბატონი ნოდარის **„ათ თეზაში"** ასახული ყველა მინიშნების მართებულობა და ახალ მოცემულობაში, როცა რეალობა „ნამდვილ ფერებში" უკვე სახეზეა, მასთან დიალოგის გაგრძელების შინაგანი მოთხოვნილება მოუთმენლად ამეკვიატა... ჩემს გარდა, მკითხველსაც უთუოდ დააინტერესებს: სახელმწიფომ, საზოგადოებამ, სოციალურ-ეკონომიკურმა სისტემამ როგორ გაართვა თავი მოულოდნელ განსაცდელს, დღევანდელი თვალსაწიერიდან, როგორ შეიძლება შევაფასოთ მრავალკომპონენტიანი „საგამოცდო პროცესი" და რა შედეგებს უნდა ველოდოთ?

რა თქმა უნდა, ბატონი ნოდარი დამთანხმდა... მაგრამ პირველივე „აკორდიდან" უკვე ჩანდა, რომ ამჯერზე დიალოგი საჟურნალო და თეზისურ ჩარჩოში ვერ ჩაეტეოდა...

კორონავირუსის აალების გამო, შარშანდელი და ერთი წლის თავზე შედეგების შესაფასებლად დროგამოშვებით შემდგარი რამდენიმესაათიანი საუბრების ვრცელმა ჩანაწერებმა, თემატურად დალაგებისა და მცირეოდენი რედაქციული ჩარევის შემდეგ, უკვე ცალკე წიგნად გამოსაცემი სახე მიიღო - დამნაშავედაც კი ჩავთვლიდი თავს, ქვეყნის აწმყოსა და მომავალზე ნაფიქრით პირამდე სავსე ეს საგანძური საქაღალდეში გამოგვემწყვდია და თქვენამდე არ მოსულიყო.

თამამად შემიძლია ვთქვა, რომ დიალოგის სახით წარმოდგენილი ეს ფორმატი სრულიად ახალია ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში. თავისი დატვირთვით, სტრუქტურით, მოცულობით და რაც მთავარია, გადმოცემული, უდაოდ, დახვეწილი, ღრმადნაფიქრ წიაღში გამოტარებული მოსაზრებებით, იგი მაღალი ღირებულების მეცნიერული, ეპოქალური ნაშრომია, - მასში ასახულია მიუკერძოებელი ინფორმაცია ქვეყნის პოლიტიკური დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან განვლილ პერიოდში მიმდინარე პროცესების, სოციალური და პოლიტიკურ-ეკონომიკური გარდაქმნების შესახებ; მათი ობიექტური შეფასებების ფონზე, ნაჩვენებია თავისებურებები, ტენდენციები და კანონზომიერებებიც, რომლებიც საბაზრო პრინციპებზე გარდამავალ პერიოდში დაფიქსირდა; ახსნილია რეფორმების წარუმატებლობის ძირითადი მიზეზები (გარე და შიდა ფაქტორები), პოლიტიკური, ეკონომიკური, ორგანიზაციულ-მმართველობითი ხასიათის შეცდომები; ახალი რაკუსით არის წარმოდგენილი ქვეყნის რესურსული პოტენციალის რაციონალურად გამოყენების მიმართულებები; საყურადღებოა აქ წარმოდგენილი ხედვები გლობალიზაციისა და გეოეკონომიკურ სივრცეში ჩვენი ქვეყნის როლის შესახებ, აგრეთვე არგუმენტირებული დასკვნები სახელმწიფოსა და ეკონომიკის ურთიერთობების შემდგომი გაღრმავების, საბაზრო სისტემაში პროგნოზირებისა და სტრატეგიული დაგეგმვის (მართვის), სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარების ხასიათის (ფორმის), მიწის რესურსების ეფექტიანად გამოყენებაში სახელმწიფო პროტექციონიზმის ოპტიმალურად გამოყენების, ეროვნული ეკონომიკის (აგროსამრეწველო კომპლექსის) ცენტრალური რგოლის - სასოფლო-სამეურნეო წარმოების ექსკლუზიური როლის შესახებ და სხვ.

დიალოგის ფორმატმა შექმნა ახალი იდეების, პრობლემების, ბუნებრივ-ბიოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური კანონების ურთიერთქმედების თითქოს უხილავ პროცესებზე წერტილოვანი აქცენტირების შესაძლებლობა და ავტორმაც მარტივად, სხარტად, მკაფიოდ გამოკვეთა გარედან თავსმოხვეული იდეოლოგიური ექსპანსიის, გამოუცდელობის, მართვის ანბანის უცოდინარობის, შიგნიდან დაშვებული უხეში შეცდომების გამო დასახიჩრებული ეროვნული ეკონომიკის რეალური სურათი, აგრეთვე ჯერ კიდევ სასწაულებრივად გადარჩენილი მატერიალური და ადამიანური პოტენციალის გონივრულად წარმართვის პერსპექტივა.

დაკვირვებულ მკითხველს წიგნი ხელს შეუწყობს ობიექტურად აღიქვას ეროვნული ეკონომიკის სიღრმისეული პროცესები, გააცნობიეროს როგორც ხილული, ასევე უხილავი პრობლემები და ნათლად წარმოიდგინოს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების პერსპექტივა.

**იური პაპასქუა**

# სამოქალაქო სივრცის რაციონალურობა და დემოკრატიული ტრანზიცია საქართველოში



**გურამ აბესაძე**
პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი



**ნოდარ აბესაძე**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სოციალური მეცნიერებების დოქტორანტი

**რეზიუმე**

თანამედროვე ქართული დემოკრატიული ტრანზიტი სამოქალაქო სივრცის რაციონალურობისა და პრაგმატულუბის გაძლიერებას მოითხოვს. სამოქალაქო სივრცე და დემოკრატიული ტრანზიტი ინსტიტუციურად პოლარიზებულია, რაც ირაციონალურ ტენდენციებს აძლიერებს. დემოკრატიული ტრანზიტის შემაფერხებელ სინდრომად გადაიქცა ერთპარტიული დომინანტური მმართველობის სტილი, რომელიც ვნებს სამოქალაქო სივრცის რაციონალურობასა და პრაგმატულობას. სამოქალაქო სივრცის რაციონალურობის გაძლიერებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პოლიტიკურ ელიტასა და პოლიტიკურ ლიდერებს, რომლებიც გარკვეულ სიტუაციებში ეროვნული პრაგმატული მიდგომებით არ გამოირჩევიან. სამოქალაქო სივრცეში ინსტიტუციურმა ვაკუუმმა და აქტორული პოლარიზების გაღრმავებამ მართლმადიდებელი ეკლესიის როლი და ინსტიტუციური ფუნქციები კიდევ უფრო გააძლიერა. ქართული ეკლესია გახდა სამოქალაქო სივრცის სოციალიზაციისა და ეროვნული იდენტობის ფორმირების უმნიშვნელოვანესი აქტორი.

## RATIONALITY OF CIVIL SPACE AND DEMOCRATIC TRANSITION IN GEORGIA

**Guram Abesadze**
Doctor of Political Science, Professor of Sokhumi State University
**Nodar Abesadze**
PhD student of Social Sciences of Georgian Technical University

**RESUME**

Modern Georgian democratic transit requires strengthening the rationality and pragmatism of civil space. Civic space and democratic transit are institutionally polarized, reinforcing irrational tendencies. The one-party dominant style of governing, which hurts the rationality and pragmatism of civil space, has become a hindrance syndrome of democratic transit. An important place in strengthening the rationality of civil space is occupied by the political elite and political leaders who in certain situations are not distinguished by national pragmatic approaches. Institutional vacuum in civil space and deepening of actor polarizations have further strengthened the role and institutional functions of the Orthodox Church. The Georgian Church has become an important actor in the socialization of civil space and the formation of national identity.

თანამედროვე ქართული დემოკრატიული ტრანზიტი სამოქალაქო სივრცის მეტ რაციონალურობასა და ეროვნულ-პრაგმატულ პოზიციას მოითხოვს. პოლიტიკური სისტემის ინსტიტუციური არამდგრადობა და პოლიტიკურ-ღირებულებითი ცვლილებების შეუსაბამობა ეროვნულ იდენტობასთან იწვევს სამოქალაქო სივრცის პასიურობასა და სახელმწიფოებრიობასთან გაუცხოებას. პოლიტიკურ სივრცეში გამოიკვეთა ირაციონალურობის ტენდენციები, რომლებიც საზოგადოების პერიოდულ პოლარიზებას იწვევს. სოციუმი ვერ გადაიქცა პოლიტიკური ტრანზიცისა და კონსოლიდირებული დემოკრატიის აქტიურ აქტორად. პოლიტიკური ძალაუფლების დომინანტური ერთპარტიული სულისკვეთება თრგუნავს ადამიანთა შემოქმედებით და ინიციატივიან მოღვაწეობას. შესაბამისად, პოლიტიკურ სივრცეში დაბალია სამოქალაქო სივრცის რაციონალურობის დონე, რომელიც კონკრეტულ სიტუაციებში ძალზე აგრესიული და დესტრუქციული ფორმებით გამოვლინდება.

გარდამავალი დემოკრატიის პირობებში, როდესაც მიმდინარეობს კონსოლიდირებული დემოკრატიის ფორმირება, სამოქალაქო რაციონალურობის დამკვიდრების უპირველესი პირობაა ინსტიტუციური წესრიგის დამყარება. ინსტიტუციური ქაოსი და დაპირისპირება იწვევს საზოგადოების ღირებულებით უთანხმოებასა და სამოქალაქო ირაციონალურობის გაძლიერებას, რომელიც შეიძლება ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ნიჰილიზ-

მისა და პოლიტიკური აპათიის მიზეზი გახდეს; ასეთმა პროცესმა შესაძლებელია სამოქალაქო დაპირისპირების ხასიათი მიიღოს და პოლიტიკური სივრცე საყოველთაო პესიმიზმში აღმოჩნდეს. ამიტომ, პოლიტიკური ინსტიტუტების ფუნქციონალურ რაციონალურობას დემოკრატიულ ტრანზიციაში გადამწყვეტი მნიშვნელოიბა ენიჭება. პოლიტიკური ინსტიტუტები უზრუნველყოფენ მოქალაქეთა რაციონალურ მონაწილეობას პოლიტიკურ ცვლილებებში, რაც დემოკრატიის სტაბილურობის უმნიშვნელოვანესი და გადამწყვეტი პირობაა.

თანამედროვე ქართული პოლიტიკური სივრცე ინსტიტუციური აქტორების მხრივ ღრმა კრიზისს განიცდის, რაც ვერ აკმაყოფილებს კონსოლიდირებული დემოკრატიის მოთხოვნებს. ქართული სინამდვილეში პოლიტიკური პარტიების ფართო სპექტრია წამოდგენილი, მაგრამ მათი პლატფორმები და იდეოლოგიური კონცეფციები ვერ აკმაყოფილებენ დროის მოთხოვნებს. შეიძლება ითქვას, რომ პარტიულ-პოლიტიკური სპექტრი სერიოზული კრიზისის ფაზაშია და რადიკალურ მოდერნიზაციას საჭიროებს. ზოგიერთი პოლიტიკური პარტიის მოღვაწეობითი სტილი კლანურ ინტერესებზეა აგებული, რაც სახელმწიფოებრივ ინტერესებს არ ემსახურება. ასეთი ფონი მუდმივად ქმნის დესტრუქციულობის სინდრომს, რომელიც ნეგატიურად მოქმედებს სამოქალაქო სივრცის რაციონალურობისა და პრაგმატულობის ფორმირებაზე. ამერიკელი პროფესორი და თსუ-ს საპატიო დოქტორი **სტივენ ჯონსი** აღნიშნავს, რომ „პარტიებს არ აქვთ მყარი ფესვები საქართველოში... ქართველები პოლიტიკურად დანაწევრებულები არიან, სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ პარტიები ხშირად ჩნდებიან და ქრებიან. ქართული პარტიები ვერ ქმნიან პლატფორმას, რომლითაც შეძლებენ პასუხისმგებლობა აიღონ თავიანთი ამომრჩევლის წინაშე. პარტიები საპარლამენტო სივრცეში ცხოვრობენ და არ გააჩნიათ ორგანიზებულობა, პოლიტიკური სურვილი თუ კავშირების გაღრმავების მცდელობა თავიანთი ამომრჩევლის ფარგლებს გარეთ“ [1]

თანამედროვე ქართულ სამოქალაქო სივრცესა და დემოკრატიულ ტრანზიტს შინაგანი პოლარიზებისა და პოლიტიკური გაუცხოების ტენდენციები მუდმივ სინდრომად გადაექცა, რაც გამოწვეულია აქტორული სივრცის სიტუაციური შეუსაბამობით. ამიტომ, პოლიტიკური პორტრეტების განახლებას ქართული პოლიტიკური სივრცე ნამდვილად საჭიროებს, რადგანაც დემოკრატიული ტრანზიტი და ეროვნული რაციონალიზმი ახალ აზროვნებას მოითხოვს. ქართული სახელმწიფოებრიობა ახალი გამოწვევებისა და რისკების წინაშე აღმოჩნდა, რაც მსოფლიო წესრიგის ტრანზიციით არის გამოწვეული, რომელიც მეტ ეროვნულ პრაგმატულობასა და რაციონალურობას მოითხოვს; მსოფლიოში მიმდინარეობს ახალი გეოპოლიტიკური ტრანსფორმაციები და მკვეთრად გამოხატული ეროვნული იდენტობის აღორძინება, რომელიც ერის სოციალიზაციის ახალ მიდგომებსა და მოდელებს მოითხოვს. ვიწროკლანური ინტერესების წინა პლანზე წამოწევამ და „მტრის ხატის“ დამკვიდრებამ მოახდინა პოლიტიკური სივრცის პოლარიზება, რომელიც კიდევ უფრო აძლიერებს დესტრუქციულობის ელემენტებს. პოლიტიკური მიზნის მიღწევის საშუალებად იქცა დესტრუქციულობა, რომელმაც დაანგრია ქართული პოლიტიკური აზროვნების ტრადიციული რაციონალურობის ნიშნები. ერს დაეკარგა პოლიტიკური აზროვნების სტილი და პრაგმატული სულიკვეთება, რომელმაც უნდა შექმნას თანამედროვე ქართული სახელმწიფოებრიობა.

სამოქალაქო სივრცის რაციონალურობას ხელს უშლის დომინანტური პარტიის მმართველობა, რომელიც ქართული სახელმწიფოებრიობის პოლიტიკური დამკვიდრებისა და მისი თანამედროვე დემოკრატიული იდენტობის ფორმულა გახდა. დომინანტურობის სინდრომი ძველი ავტორიტარული სისტემის სტილია და თანამედროვე ქართული რეჟიმის ერთგვარი პოლიტიკური წესრიგის ნეგატიური ფორმა გახდა. დომინანტურ პარტიას მმართველობის ციკლური პერიოდულობა გამოუმუშავდა, რაც, გარკვეული დროის შემდეგ, ღრმა კრიზისში შედის და რაციონალურ და სიტუაციურ მიდგომებს ველარ ამჟღავნებს; ასე იცვლება პარტიულ-პოლიტიკური თანამშრომლობის რიტორიკაც, რომელიც აგრესიული პოლიტიკური კულტურით გამოვლინდება, ოპოზიციური პარტიები კი დესტრუქციულ ტენდენციებს ავითარებენ და ავანტიურიზმითა და რევოლუციის სინდრომით ცდილობენ მიზნის მიღწევას. ამერიკელი პოლიტოლოგი **ლინკოლნ მიტჩელი** აღნიშნავდა, რომ თუკი საქართველოში შენარჩუნდება ერთი პარტიის დომინირება, რაც ხდებოდა კიდეც დამოუკიდებლობის აღდგენიდან მოყოლებული, მაშინ ქვეყნის დემოკრატიული განვითარება ჩიხში შევა. საქართველოში შეიძლება განმეორდეს ერთი პარტიის კონსოლიდაციისა და შემდეგ მისი დაცემის ციკლი. ეს კი ძალიან სამწუხარო იქნება, რადგანაც სწორედ ეს ციკლი უშლის ხელს საქართველოს დემოკრატიის განმტკიცებას. [2]

სამოქალაქო რაციონალურობის ინსტიტუციურ სფეროს როდესაც ვეხებით, აუცილებელია გავიაზროთ პოლიტიკური ელიტისა და ლიდერის როლი გარდამტეხ პერიოდებში. პოლიტიკური ცვლილებები, გარკვეულწილად, დამოკიდებულია პოლიტიკური ელიტის ინტელექტუალურ და ღირებულებით ორიენტაციებზე. სამწუხაროდ, ჩვენს სინამდვილეში, პოლიტიკა პირად მატერიალურ კეთიდღეობაზეა აგებული და ნაკლებად ითვალისწინებს სახელმწიფოებრივ ინტერესებს. პოლიტიკური ბრძოლის ქართული სინამდვილე მიზნად ისახავს ეკონომიკური ძალაუფლების მოპოვებას, რომელიც რაციონალური პროცესების განვითარებას ძალზე აზიანებს. მათი მოღვაწეობა სიტუაციის გამწვავების პერიოდში ჩიხში შედის და ეროზიას განიცდის; ეს სინ-

---

**1 სტივენ ჯონსი. ინტერვიუ საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის ანალიტიკოსთან ჯოზეფ ლარსენთან. ინგლისურიდან თარგმნა იოსებ ჟორჟოლიანმა. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, 2017, იანვარი N1. http://gip.ge/wp-content/uploads/**

**2 ლინკოლნ მიტჩელი-2017 წელს საქართველოს წინაშე მდგარი ოთხი კითხვა. 2017. http://georgianpress.ge/com/news/view/23819?lang=1**

დრომიც ირაციონალურ ტენდენციად უნდა მივიჩნიოთ, რომელიც დომინანტურ ელიტას გარკვეულ პერიოდებში ახასიათებს. ამიტომ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია სამოქალაქო სექტორის აქტიური მონაწილეობით პოლიტიკაში შერჩეულ იქნას პატრიოტი და ეროვნულ-სახელმწიფოებრივად მოაზროვნე კომპეტენტური კადრები. თანამედროვე ქართულ პოლიტიკურ სივრცეს ნამდვილად აკლია ეროვნულ-პრაგმატული და ინტელექტუალურად მოაზროვნე ელიტა, რომელიც რთულ პოლიტიკური სიტუაციებში მოახერხებს პოლიტიკური პროცესისადმი ინოვაციურ და პროგნოზირებად მიდგომებს.

პოლიტიკური ლიდერის ინსტიტუტი ძალზე მნიშვნელოვან როლს ასრულებს პოლიტიკური სივრცის რაციონალურობისა და დემოკრატიის სტაბილურობის პროცესში; ლიდერის გაწონასწორებული ხასიათი, პოლიტიკურ აქტორებთან მისი თანამშრომლობის სტილი, რიტორიკა, პოლიტიკურ-ინტელექტუალური პოტენციალი და გამოცდილება, პოლიტიკური ალღო და პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების სტილი მნიშვნელოვანი ინდივიდუალური პიროვნული თვისებებია, რომლებიც განსაზღვრავს პოლიტიკური სივრცის სტაბილურობას. გაუწონასწორებელი და ავანტიურისტული ქცევების მქონე ლიდერები ირაციონალურობისა და მუდმივი დესტრუქციულობის საფუძვლებს ქმნიან და საზოგადოებაში პერმანენტულად რევოლუციის სინდრომს ამკვიდრებენ. ამასთან ერთად, როდესაც ლიდერი გამოირჩევა თავისი აგრესიულობითა და ექსტრემისტული მიდგომებით, სამოქალაქო სივრციდანაც საპასუხო ქმედებებს იღებს, რაც მასობრივი ფსიქოზის ფორმებს იღებს და სოციუმს ნიჰილიზმის ტყვეობაში აგდებს. პოლიტიკური შიზოფრენია და პათოლოგიური პროცესები, ზოგიერთი პოლიტიკური ლიდერის თვითდამკვიდრებისა და თვითკმაყოფილების თავისებური ფორმა გახდა. ავტოკრატიული სტილი, მოჩვენებითობა, ფასადი, იმიტაციური წარმატებები და მანიპულირების სხვადასხვა ფორმები საზოგადოებაში ერთგვარი შიზოფრენული სივრცის შექმნას უწყობდა ხელს; ეს წარმოადგენს ე.წ. პათოლოგიური საზოგადოების შექმნის მცდელობას, რომელიც ირაციონალურ ძალაუფლებას ბრბოს ფსიქოლოგიით განამტკიცებს და სამოქალაქო სივრცეს დათრგუნავს.

დემოკრატიული ტრანზიტისა და სამოქალაქო რაციონალურობის ფორმირების მნიშვნელოვანი პროცესია კულტურული და ღირებულებითი ცვლილებები, რომლებიც აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს ეროვნული იდენტობის ნარატივებს; აქ იგულისხმება ისეთი ღირებულებებისა და ორიენტაციების ტრანსპლანტაცია, რომელიც მისაღებია ეროვნული კულტურისა და გენეტიკური მემკვიდრეობისათვის; სამოქალაქო სივრცეში, თუ ეს გათვალისწინებული არ არის, მივიღებთ გარკვეულ ვაკუუმს, რომელიც ღირებულებით და მენტალურ დაპირისპირებასა და ეროვნულ გაუცხოებაში გადაიზრდება. ამ მიმართულებით გამოიკვეთა ზოგიერთი ლიბერტალიანული ინსტიტუციები თუ არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც პოლიტიკური ტრანზიციის პროცესში ზედმეტი ტრანსპლანტაციით არიან დაკავებულნი და ეროვნულ მემკვიდრეობით ელემენტებს ბრძოლას უცხადებენ; ამასთანავე, არასამთავრობო სექტორის ნაწილი ქართული კულტურულ-ღირებულებითი სივრცის მხოლოდ ნეგატიური წარმოჩენით არიან დაკავებულნი, რაც მიზნად ისახავს არა ეროვნული იდენტობის ტრანსფორმაციას, არამედ მის ირაციონალურ დათრგუნვას. თანამედროვე ტრანზიციის მიზანი ქართული სამოქალაქო იდენტობის ფორმირებაა, რაც კონსოლიდირებულ დემოკრატიას დაამკვიდრებს.

თანამედროვე ქართულ სამოქალაქო სივრცეში რაციონალურობის გამოვლინება პოლიტიკურ პრაგმატიზმში აისახება, რომელიც ჯერჯერობით თავისი შედეგიანობის კრიტერიუმებით მოისუსტებს. ეროვნული და პოლიტიკური იდენტობა პრაგმატიზმს ემყარება და სიტუაციური პროცესებით განისაზღვრება. რეალურობა და პოლიტიკის სიტუაციური ანალიზი სარგებლიანობისა და შედეგიანობის ძირითადი კრიტერიუმებია, რომელიც განსაკუთრებულ ანალიტიკურ რაციონალურობას მოითხოვს. ამ მხრივ, სოციუმის სოციალიზაციის პროცესი დაკნინებულია, რაც ეროვნული იდენტობის გარდაქმნის პრაგმატულ მიზნებს ეწინააღმდეგება.

პოლიტიკური პრაგმატიზმი თანამედროვე ქართულ პოლიტიკაში დემოკრატიული ტრანზიტისა და სახელმწიფოებრივი იდენტობის ღირებულებითი პრიორიტეტების განმსაზღვრელი ფაქტორი უნდა გახდეს; მან უნდა უზრუნველყოს პოლიტიკური პროცესების მართვის კულტურულ-ინტელექტუალური ტრანსფორმაცია და სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვა. დემოკრატიული ტრანზიციის პროცესში პოლიტიკურმა პრაგმატიზმმა უნდა უზრუნველყოს: 1. პოლიტიკური სივრცის ინსტიტუციური მდგრადობა და დემოკრატიული პროცესების სტაბილურობა; 2. პოლიტიკური აქტორების მოღვაწეობის რაციონალურობა და დესტრუქციულობის ელემენტების დაძლევა.

თანამედროვე ქართულ პოლიტიკაში უაღრესად საშიშ მოვლენად იქცა ავანტიურიზმი და ექსტრემიზმი, რომელიც სხვადასხვა ფორმით გამოვლინდება: პოლიტიკურ მოქმედებებში, განცხადებებში, რიტორიკაში და ა.შ. ავანტიურიზმი და აგრესიული რიტორიკა, ზოგიერთი ქართველი პოლიტიკური ლიდერისათვის პოლიტიკური თვითდამკვიდრების პრინციპი გახდა. სამწუხაროდ, ასეთი გამოვლინებები კვლავ პოლიტიკური მიზნის მიღწევის ლეგიტიმურ პროცესად იქცა პოლიტიკურ ველზე. ასეთი მიდგომა მთლიანად ანგრევს პოლიტიკური პროცესის მმართველობით სისტემას, რომელიც რაციონალურ შედეგიანობაზე უნდა იყოს გათვლილი. ამას თან დაერთო ავტორიტეტების ნგრევა, რაც საფრთხეს უქმნის ერის ინტელექტუალური და კულტურული ელიტის ფორმირებას. საზოგადოება თანდათანობით კარგავს ინტელექტზე მოთხოვნას, რაც, გარკვეულ სიტუაციებში პათოლოგიური პროცესებით გამოვლინდება. ამიტომ, სამოქალაქო სივრცის პოლიტიკური სოციალიზაციის განზომილებითი პარადიგმა უნდა გახდეს კულტურიზაციისა და ინტელექტუალიზაციის პროცესი, რომლის გარეშეც ექსტრემიზმი და ავანტიურიზმი ვერ აღმოიფხვრება და ეროვნულ ავტორიტეტებსაც ვერ შევინარჩუნებთ.



პოლიტიკა, წარმოადგენს რა შესაძლებლის ხელოვნებას, მის სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პოლიტიკურ ენასა და რიტორიკას. პოლიტიკური პრაგმატიზმის ერთ-ერთი ელემენტია რიტორიკა, რომელშიც მკაფიოდ აისახება პოლიტიკური ხელოვნების გამოყენებისა და ლატენტურობის ამოცნობისა და თვითდამკვიდრების უნარი. სამწუხაროდ, საქართველოში ასეთი მიდგომა ყოველთვის დაცული არ არის, რაც პოლიტიკურ ველზე დაძაბულ სიტუაციებს წარმოშობს. განსაკუთრებით, პოლიტიკურმა რიტორიკამ საშიში ხასიათი მიიღო ე.წ. „ვარდოსანთა" ხელისუფლების პერიოდში, როდესაც აგრესიული ტერმინოლოგია და გამონათქვამები პოლიტიკური მოღვაწეობის პოზიტიურ ელემენტად და პატრიოტულ საქმიანობად აღიქმებოდა. ზოგიერთი პოლიტიკური ლიდერი დღესაც ამ ნეგატიური რიტორიკით ცხოვრობს და დიდ ზიანს აყენებს სახელმწიფოებრივ თვითდამკვიდრებასა და ეროვნულ პოლიტიკურ პრაგმატიზმს.

თანამედროვე ქართულ სამოქალაქო სივრცესა და დემოკრატიული ტრანზიციის პროცესში ინსტიტუციური აქტორული როლი ნაკლებად ჩანს ან პოლარიზებულობის შედეგად დესტრუქციულობით გამოირჩევა. ასეთ სიტუციაში, აქტიური გახდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, რომელიც პოლიტიკური სისტემის ინსტიტუტია. კრიზისულ პოლიტიკურ სიტუაციებში ქართული ეკლესია სახელმწიფოებრივი პოზიციით ისტორიულად ყოველთვის გამოირჩეოდა, მაგრამ ამ სიტუაციაში, როდესაც ერი პოლიტიკურად პოლარიზებულია, მისი შემრიგებლური და გამაერთიანებელი პოზიცია განსაკუთრებით ღირებულია. მიუხედევად იმისა, რომ გარკვეული ძალები და ლიბერტარიანული მიმართულებები ებრძვიან ეკლესიის პოლიტიზირებულ ფუნქციებს, მაინც მას პოლიტიკის გამორჩეულ აქტორად მიიჩნევენ; ის არ იღებს პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს, მაგრამ ერის პოლიტიზირებისა და ეროვნული და სახელმწიფოებრივი იდენტობის ფორმირების პროცესში მას თავისი პოზიცია გამოკვეთილი აქვს. დემოკრატიულ ტრანზიციაში მართლმადიდებლობის როლის დაკნინება, როდესაც დესტრუქციულობის ელემენტები მომძლავრებულია, სახელმწიფოებრივ კონსოლიდირებას სრულებითაც არ უწყობს ხელს. ამასთანავე, მსოფლიო წესრიგის ტრანსფორმაციის შედეგად უნდა გაძლიერდეს მართლმადიდებლობის გეოპოლიტიკური ფუნქციები, რაც მისი დომინანტური როლის გაზრდას ითვალისწინებს; ახალი ქართული გეოპოლიტიკური იდენტობა და პრაგმატიზმი მართლმადიდებლობის ღირებულებითი და კულტურულ-იდეოლოგიური როლის განსაკუთრებით გაძლიერებას მოითხოვს, რადგანაც ტრანსპლანტაციური პროცესები საფრთხეს უქმნის ეროვნულ იდენტობას. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი **ილია II** აღნიშნავს, რომ „ფაქტია ყველას გვინდა ძლიერი, განვითარებული ქვეყანა გვქონდეს, ამის მიღწევა კი მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ საზოგადოებაში სწორი ღირებულებათა სისტემა იარსებებს და ამ საფუძველზე მოხდება პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პრობლემების მოგვარება, დეზორიენტერიბული საზოგადოება კი ქაოსში ჩაიძირება და სახელმწიფოს დიდად დააზარალებს".[3]

დემოკრატიულ ტრანზიციაში თანამედროვე ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ფუნქციები რამდენიმე მიმართულებით გამოიკვეთა: **პირველი,** მართლმადიდებელი ეკლესია, პოლიტიკურ ინსტიტუტებთან შედარებით, ერის პოლიტიკურ კონსოლიდირებას ახდენს, რაც პოლიტიკური სტაბილურობის გარანტიას წარმოადგენს. **მეორე,** ქართული ეკლესიის პოზიცია მკვეთრად გამოიკვეთა ეროვნული ღირებულებებისა და ტრადიციების დაცვის მიმართულებით; იგი გახდა თანამედროვე ქართული ღირებულებითი სივრცისა და ეროვნული იდენტობის ფორმირების ერთ-ერთი აქტიური შემოქმედებითი და ფუნქციურად მდგრადი ინსტიტუტი. **მესამე,** მართლმადიდებლობა ქართულ პოლიტიკურ სივრცეში, თავისი დომინანტური და სტაბილური სიტუაციის შექმნით, ტოლერანტული და ოპტიმისტური განწყობილების ფორმირებაში აქტიურად მონაწილეობს, რაც თანამედროვე სახელმწიფოებრიობის თვითდამკვიდრების პრიორიტეტულ ღირებულებას

**3 სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის სააღდგომო ეპისტოლე. თბ., 2018, გვ.21-22**

წარმოადგენს. **მეოთხე,** დემოკრატიული ტრანზიციის პირობებში პოლიტიკური სოციალიზაციის თემატიკა ძალიან აქტუალური გახდა; ქართული ეკლესია მტკიცედ აფიქსირებს თავის პოზიციას ოჯახის, დემოგრაფიული სიტუაციისა და განათლების სფეროში არსებული პრობლემების მიმართულებით; ეს სფეროები დემოკრატიული ტრანზიტისა და ეროვნულ-პოლიტიკური იდენტობის ფორმირების პროცესში პრიორიტეტული გახდა და ახალ მიდგომებს მოითხოვს. **მეხუთე,** მართლმადიდებელი ეკლესია და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი **ილია II** საჯარო პოლიტიკურ სივრცეში გამორჩეული რეიტინგითა და ავტორიტეტით სარგებლობს; ქართული ეკლესია სამოქალაქო სივრცის ყველაზე აქტიური და მდგრადი ინსტიტუტია, რომელსაც დემოკრატიული ტრანზიტის შედეგად წამოჭრილი პრობლემების მიმართ გამოკვეთილი კონსენსუალური მიდგომები აქვს და ადვილად ახერხებს დიალოგზე აგებული სიტუაციის შექმნას.

**ამრიგად,** თანამედროვე ქართული სამოქალაქო სივრცის რაციონალურობა დამყარებულია ინსტიტუციურ სტაბილურობაზე, რომელიც მკვეთრი პოლარიზების ხასიათს ატარებს და ირაციონალურობის ტენდენციებით გამოირჩევა. დემოკრატიული ტრანზიტის გამოკვეთილ აქტორებს პოლიტიკური პარტიები წარმოადგენს, რომლებიც ვერ გამოხატავენ სამოქალაქო სივრცის ინტერესებს და პოლიტიკური გაუცხოების რეჟიმით მოღვაწეობენ. დომინანტური ინსტიტუციური სინდრომი ანგრევს ქართული დემოკრატიის კულტურულ-ღირებულებით პოტენციალს. ქართული პოლიტიკური ელიტისა და ლიდერების პრაგმატიზმი და პოლიტიკურ-ინტელექტუალური პოტენციალი ვერ აკმაყოფილებს დროის მოთხოვნებს. თანამედროვე დემოკრატიული ტრანზიციისა და სამოქალაქო სივრცის რაციონალურობის განმსაზღვრელ პარადიგმა ახალი ეროვნული პრაგმატიზმი გახდა, რომელიც პოლიტიკური სოციალიზაციის შედეგად უნდა ჩამოყალიბდეს. თავისი ინსტიტუციური აქტორული პოზიციით, როდესაც მომძლავრებულია დესტრუქციულობის სინდრომი, გამოირჩევა მართლმადიდებელი ეკლესია; მას ახალი ტრანზიტოლოგიური და გეოპოლიტიკური ფუნქციები აკისრია, რომელიც მისი დომინანტური როლის გაძლიერებას გულისხმობს. პოლიტიკური ძალაუფლების მქონე აქტორების უპირველესი ამოცანაა სამოქალაქო სივრცის რაციონალურობის ამაღლება, რომელიც სოციუმს პოლიტიკური სივრცის აქტიურ აქტორად გადააქცევს. პოლიტიკური პროცესების რაციონალიზაცია დროის მოთხოვნაა, რამაც ქართული ეროვნული და სახელმწიფოებრივი იდენტობა წინა პლანზე უნდა დააყენოს.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის სააღდგომო ეპისტოლე. თბ., 2018;
2. გ. აბესაძე. დომინანტი ინსტიტუციური აქტორები ქართულ პოლიტიკაში და დემოკრატიის სტაბილურობა. „ფილოსოფიური ძიებანი“ /კრებული ოცდამეხუთე/. საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემია. „უნივერსალი“, თბ., 2021, გვ. 210-219;
3. გ. აბესაძე. დემოკრატიული ტრანზიტი და ეროვნულ-პოლიტიკური იდენტობის ფორმირება საქართველოში. „ფილოსოფიური ძიებანი“ /კრებული ოცდამეოთხე/. საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემია. „უნივერსალი“, თბ., 2020, გვ.98-107;
4. ნ. აბესაძე. მართლმადიდებელი ეკლესია და თანამედროვე ქართული ეროვნულ-პოლიტიკური იდენტობა. „ფილოსოფიური ძიებანი“ /კრებული ოცდამეოთხე/. საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემია. „უნივერსალი“, თბ., 2020, გვ.237-249;
5. ნ. აბესაძე. მართლმადიდებლობა და თანამედროვე ქართული ეროვნული იდენტობის პოლიტიკური ტრანსფორმაცია. სტუ საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი „საისტორიო ვერტიკალები“, 47-48, 2021, გვ. 252-257;
6. ნ. აბესაძე. ეროვნული იდენტობა და თანამედროვე ქართული პოლიტიკურ-კულტურული სივრცის დემოკრატიული ტრანზიცია. „ფილოსოფიური ძიებანი“ /კრებული ოცდამეხუთე/. საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემია. „უნივერსალი“, თბ., 2021, გვ. 220-228;
7. თომას დე ვაალი: ღია საქართველო, დახურული საქართველო. 2017. https://jam-news.net/ge/post-author/tomas-de-vaali-carnegie-europe/;
8. ლინკოლნ მიტჩელი-2017 წელს საქართველოს წინაშე მდგარი ოთხი კითხვა. 2017. http://georgianpress.ge/com/news/view/23819?lang=1;
9. სტივენ ჯონსი. ინტერვიუ საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის ანალიტიკოსთან ჯოზეფ ლარსენთან. ინგლისურიდან თარგმნა იოსებ ჟორჟოლიანმა. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, 2017, იანვარი N1. http://gip.ge/wp-content/uploads/;
10. სტივენ ჯონსი. დემოკრატია საქართველოში. http://www.cicerofoundation.org/lectures/Stephen_Jones_Georgia.pdf.

# ფულის ფსიქოლოგიური არსი



**კახი კოპალიანი**
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

**ელენე ჩომახიძე**
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

**ანა ზუბაშვილი**
კავკასიის უნივერსიტეტის მაგისტრი

### ანოტაცია

„ფული“ სპეციფიკური ცნებაა, რომლის ეკონომიკური მნიშვნელობა მჭიდროდ უკავშირდება ფსიქოლოგიურს. ფულს მრავალმნიშვნელოვანი აზრობრივი დატვირთვა აქვს, ის არა მარტო გაცვლის საშუალებაა, არამედ ძლიერი კულტურული სიმბოლო. ადამიანის ცნობიერაში ფულს სხვადასხვა სიმბოლური მნიშვნელობა აქვს. კვლევის ჰიპოთეზის თანახმად, თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში ფულთან დაკავშირებული სოციალური წარმოდგენები ამბივალენტურია. ამ ჰიპოთეზის შესამოწმებლად შესწავლილ იქნა ფულის ასოციაცია დადებით და უარყოფით ზნეობრივ კატეგორიებთან, ფულის სიმბოლური მნიშვნელობა და ფულის მიმართ დამოკიდებულება. ემპირიული კვლევა ჩატარდა სპეციალურად შემუშავებული კითხვარით, თბილისში, რეპრეზენტაბელურ შერჩევაზე, სულ გამოკითხულ იქნა 1034 პირი.

შედეგებმა დაადასტურა, რომ ფულის შეფასება წინააღმდეგობრივია: ფული ეთრდროულად ასოცირდება უსამართლობასა და სამართლიანობასთან, მატყუარობასა და გულმართლობასთან, შემწყნარებლობასა და შეუწყნარებლობას, „პრინციპულობა-უპრინციპობისა“, თუმცა ჭარბობს უარყოფითი შეფასება, ანუ ფული უფრო ბოროტებასთან ასოცირდება, ვიდრე სიკეთესთან. მამაკაცისათვის ფული უფრო ადამიანის, სიტუაციისა და რესერსუბის კონტროლის სიმბოლოა, ხოლო ქალისათვის – კეთილდღეობისა. ფულის მიმართ დამოკიდებულების მიხედვით გამოიყო სამი ქვეჯგუფი: გამოხატულად დადებითი (33%), უფრო დადებითი (48%) და ჩამოუყალიბებელი დამოკიდებულება (19%). გამოვლინდა დადებითი კორელაცია ფულის მიმართ დამოკიდებულებასა და დადებით ზნეობრივ კატეგორიებსა და ღირებულებებს შორის, მაგრამ უარყოფით კატეგორიებთან კორელაცია არ აღინიშნება.

# THE PSYCHOLOGICAL ESSENCE OF MONEY

**Kakhi Kopaliani**
Professor of Sokhumi State University
**Elene Chomakhidze,**
Associate Professor of Sokhumi State University
**Ana Zubashvili**
Master of Caucasus University

### ABSTRACT

“Money” is a specific concept, the economic significance of which is closely linked to its psychological significance. Money has a many-sided notional value, it is not only a means of exchange, but also a powerful cultural symbol. Money has different symbolic meanings in human consciousness. According to the research hypothesis, social notions related to money are ambivalent in modern Georgian society. To test this hypothesis, the association of money with positive and negative moral categories, the symbolic meaning of money, and attitudes toward money were studied. Empirical research was conducted with a specially designed questionnaire on a representative sample in Tbilisi, a total of 1034 people were interviewed.

The results showed that the evaluation of money is contradictory: money is simultaneously associated with injustice and justice, dishonesty and honesty, tolerance and intolerance, “steadiness-unsteadiness”, although negative evaluation prevails, which means that money is associated with more evil than kindness. For men, money is more a symbol of control over human, situation and resources, while for women it’s the symbol of - prosperity. According to the attitude towards money, three subgroups were distinguished: strongly positive (33%), more positive (48%) and unmodified attitude (19%). A positive correlation was found between attitudes toward money and positive moral categories and values, but no correlation was observed with negative categories.

## შესავალი

„ფული" სპეციფიკური ცნებაა, რომლის ეკონომიკური შინაარსი და მნიშვნელობა მჭიდროდ უკავშირდება ფსიქოლოგიურს. ფული არა მარტო გაცვლის საშუალებაა, არამედ **ძლიერი კულტურული სიმბოლოც.** ფულში აკუმულირებულია ღრმა პიროვნულ პლასტებში შექმნილი მრავალი წინააღმდეგობრივი კოლექტიური წარმოდგენა, შეხედულება თუ განწყობა. ფულს მრავალმნიშვნელობიანი აზრობრივი დატვირთვა აქვს. ეკონომიკური მიზანშეწონილების გარდა, პიროვნების დამოკიდებულება ფულის მიმართ რეგულირდება ღირებულებათა სისტემით, ქცევის ნორმებით, სოციალური წარმოდგენებით, სტერეოტიპებით, მითებით. ადამიანის ცნობიერაში ფულს სხვადასხვა სიმბოლური მნიშვნელობა აქვს. ფული ასოცირდება უმაღლეს ღირებულებებთან, მათ შორის მორალურთან, ხოლო ადამიანის დამოკიდებულება ფულის მიმართ უფრო ხშირად წინააღმდეგობრივია: ფული არის სიკეთეც და ბოროტებაც, ძალაც და უძლურობაც, ფული უსაფრთხოებისა და თავისუფლების, სიყვარულისა და ძალაუფლების სიმბოლოა.

დასავლეთის ფსიქოლოგიაში ფულის ცნების ფსიქოლოგიური პრობლემატიკის კვლევას საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. ჯერ კიდევ 1957 წელს ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ადამიანის ხატი სხვათა აღქმაში დამოკიდებულია მის შემოსავალზე: მდიდარი ადამიანი აღიქმება, როგორც უფრო ჯანმრთელი, ბედნიერი და კარგად ადაპტირებული, ხოლო ღარიბი არაადაპტირებულ და უბედურ ადამიანადაა მიჩნეული [1]. ფულის მიმართ დამოკიდებულების საფუძველზე პიროვნული ტიპოლოგიის ტრადიცია Freud-ს სახელს უკავშირდება. შემუშავებულია არაერთი ასეთი კლასიფიკაცია (Goldberg & Lewis [2], Forman [3]). დადგენილია კავშირი ფულის მიმართ განწყობასა და პიროვნულ მახასიათებლებს შორის. მაგალითად, არასტაბილურ იტნროვერტთან შედარებით სტაბილური ექსტრავერტი უფრო ღიად ლაპარაკობს თავის შემოსავალზე და ფულის მიმართ უფრო მშვიდი და უდარდელი დამოკიდებულება აქვს. მაგრამ, ამასთანავე, კვლევამ აჩვენა, რომ პიროვნული ცვლადები საკმაოდ სუსტი საპროგნოზო საშუალებაა ფულთან დაკავშირებული განწყობისა და ქცევის პროგნოზირების თვალსაზრისით [5]. McClurc მიერ [6] ამერიკელ მყიდველთა გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, რომ ინტროვერტთან შედარებით ექსტრავერტი უფრო მფლანგველი და ნაკლებად მომჭირნეა. ადამიანს, რომელიც დარწმუნებულია, რომ ძალუძს საკუთარი ფინანსური მდგომარეობის კონტროლი, ახასიათებს ზოგადი შფოთვის უფრო დაბალი დონე და, როგორც წესი, ექსტრავერსიის უფრო მაღალი დონე. სტაბილურ ინტროვერტებთან შედარებით ნევროტული ინტროვერტი ფულს უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და ნაკლებად ღიად ლაპარაკობს საკუთარ ფინანსურ მდგომარეობაზე. Lynn [7] შეისწავლა ფულის მიმართ დამოკიდებულების თავისებურებები 43 ქვეყნის მცხოვრებისა. ეროვნული ჯგუფების უმრავლესობაში დადგინდა უარყოფითი კორელაცია ფულის მნიშვნელობის შეფასებასა და ქვეყნის ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალს შორის: უფრო მდიდარი ქვეყნის მოსახლეობა ფულს ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდა. მამაკაცისათვის ფული უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ქალისათვის. ავტორის ვარაუდით, ეს განსხვავება აიხსნება იმით, რომ მამაკაცისათვის უფრო დამახასიათებელია მეტოქეობა, ვიდრე ქალისათვის. ყველა ეროვნულ ჯგუფში დადგინდა მჭიდრო კორელაცია ფულის მნიშვნელობასა და მეტოქეობისაკენ მიდრეკილებას შორის.

ფულის მიმართ პათოლოგიური დამოკიდებულების საფუძვლად მდებარე ემოციური მექანიზმების კვლევამ აღჩენა, რომ ერთ-ერთი ემოცია, რომელიც ხშირად უკავშირდება ფულს, არის დანაშაულის განცდა. ეს განპირობებულია პურიტანული ეთიკისა და ღირებულებების გავლენით. პურიტანული ეთიკის თანახმად, მფლანგველობა და ჭარბი მოხმარება ცოდვაა. პურიტანულ ღირებულებათა სისტემაში წამყვანია ისეთი ღირებულებები, როგორიცაა კეთილსინდისიერება, პუნქტუალობა, მომჭირნეობა და სიფხიზლე, ამიტომ დანაშაულის განცდა უკავშირდება არა იმდენად ფულის მოპოვებას, რამდენადაც მის ხარჯვას. პურიტანობა არ კიცხავს ბეჯითი შრომისათვის სამართლიანი გასამრჯელოს მიღებას, მაგრამ სასტიკად კრძალავს გამდიდრებას იოლი (მაგალითად, აზარტული თამაში) ან უწესო გზით, აგრეთვე ფულის „ცოდვილ" ხარჯვას [8].

Goldberg and Lewis [2] მონაცემებით, ფულთან დაკავშირებული დანაშაულის განცდა შეიძლება ფსიქოსომატური დარღვევის მიზეზი გახდეს. ფსიქოანალიტიკოსთა პრაქტიკაში საკმაოდ ხშირია შემთხვევები, როცა პურიტანული ეთიკის პრინციპების შესაბამისად აღზრდილ ადამიანს სიმდიდრის ეშინია. ამ შიშის საფუძველია, სავარაუდოდ, კონტროლის განცდის დაკარგვა: ფული მართავს ადამიანს, ფულზე დამოკიდებულია მისი საცხოვრებელი ადგილი და ცხოვრების წესი, ფული კარნახობს მას, ვისთან იმეგობროს და ა.შ. ამასთანავე, ფული უკავშირდება არა მარტო დანაშაულის, არამედ დაცულობის განცდასაც. საკუთარი შრომით გამდიდრებულ ამერიკელთა გამოკითხვამ აჩვენა, რომ ბევრმა ადრე დაკარგა მშობლები ან დუხჭირი ბავშვობა ჰქონდა [9]. შრომითი ეთიკისადმი მიძღვნილი ლიტერატურის მიმოხილვის საფუძველზე Furnham [8] აღნიშნავს, რომ შრომის მიმართ პროტესტანტული ეთიკური განწყობები დაკავშირებულია ისეთ ფაქტორებთან, როგორიცაა დაცულობის განცდა, დანაზოგის გაკეთებისაკენ სწრაფვა, მომჭირნეობა, აგრეთვე დამოუკიდებლობა, ძალაუფლება და წარმატება.

დადასტურდა, რომ ფულის მიმართ განწყობა აფექტურ, კოგნიტურ და ქცევით კომპონენტებს შეიცავს; ფული ასოცირდება სიკეთესთან ან ბოროტებასთან, მიღწევასთან, პატივისცემასთან, თავისუფლებასთან, სიყვარულთან [9; 10; 11; 12]. Tang, T. and Gilbert მიერ [13] ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ შრომით შიდა კმაყოფილება უკავშირდება წარმოდგენას, რომ ფული არის თავისუფლებისა და ძალაუფლების

სიმბოლო, ხოლო გარე კმაყოფილება – აზრს, რომ ფული ბოროტება არ არის. დაბალი ორგანიზაციული სტრესის შემთხვევაში ადამიანს სჯერა, რომ ფული უდავო სიკეთეა. დადგინდა კავშირი ფულის მიმართ განწყობასა და შრომასთან დაკავშირებულ ეთიკურ შეხედულებებს შორის. ზოგადად დადასტურდა, რომ პროტესტანტური კულტურის ქვეყანაში ფულის მიმართ დამოკიდებულება დადებითია – ფული არის მიღწევის ასახვა და უპირობო სიკეთე.

კროს-კულტურულმა კვლევებმა [14] აჩვენა, რომ ინდივიდუალისტური კულტურის ქვეყნებში, რომელიც პროტესტანტურ შრომით ეთიკას ეფუძნება, სიმდიდრე ინდივიდუალური მიღწევის, რჩეულთა წრისადმი კუთვნილების გამოხატულებაა. აქ ფული აღიქმება, როგორც „მძლავრი ჯადოქარი, რომელსაც ძალუძს უძლურის ძლიერად და მიუღებლის მისაღებად გადაქცევა“ [4]. კოლექტივისტურ კულტურაში პიროვნება ფულს შედარებით ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს, ვინაიდან აქ ადამიანის ღირსების საზომია საზოგადოების კეთილდღეობის უზრუნველყოფის უნარი.

თუმცა, ყველა კულტურისათვის საერთოა ფულისა და მასთან დაკავშირებული ქცევის აღქმა **სიკეთისა და ბოროტების ეთიკური კატეგორიების** კუთხით. კონკრეტულ სოციალურ ერთობაში ფულთან დაკავშირებული ესა თუ ის ქცევა ან წახალისებულია, ან გაკიცხულია: ზოგგან დაგროვებისაკენ მიდრეკილება აღიქმება, როგორც მომჭირნეობა, ზოგგან კი – როგორც წუწურაქობა. შესაბამისად, ფულის ჩუქებაც ფასდება, როგორც ან ცხოვრების ნორმა, ან ქველმოქმედება, ანდა მფლანგველობა. წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება ფულის მიმართ მთელი რიგი სოციალური, კულტურული, ეკონომიკური და, რა თქმა უნდა, ფსიქოლოგიური ფაქტორით არის განპირობებული.

ბუნებრივად იბადება კითხვა: როგორია ფულის ზნეობრივი შეფასება, რა სიმბოლური მნიშვნელობა ენიჭება ფულს, როგორია ფულისადმი დამოკიდებულება თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში? სამამულო ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში ამ საკითხების ემპირიული კვლევა არ ჩატარებულა. არადა არსებული მონაცემები ცხადყოფს, რომ ფულისადმი დამოკიდებულება პიროვნების დისპოზიციათა ზოგადი სტრუქტურის მნიშვნელოვანი ელემენტია, რაც ნიშნავს, რომ მას ფსიქოლოგიური, პრაქტიკული და სოციალური შედეგები მოჰყვება. დადგენილია, მაგალითად, რომ ფულის მიმართ დამოკიდებულება უშუალო გავლენას ახდენს ადამინის ეკონომიკურ ქცევაზე, ანუ ფულთან დაკავშირებული ღირებულებითი კონფლიქტის ერთ-ერთი ნეგატიური შედეგი შეიძლება იყოს პასიური ან არათანამიმდევრული ეკონომიკური ქცევა. შესაბამისად, ამ საკითხების შესწავლას აქვს არა მარტო თეორიული, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობაც.

### ემპირიული კვლევის აღწერა

სავარაუდოდ, თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში ფულთან დაკავშირებული სოციალური წარმოდგენები წინააღმდეგობრივი, ამბივალენტური უნდა იყოს. ეს წარმოდგენები ხომ ისეთი წინააღმდეგობრივი ფაქტორების ზეგავლენით ყალიბდებოდა, როგორიცაა, ერთი მხრივ, მართლმადიდებელი ქვეყნის კულტურა ორიენტაციით სულიერებაზე, ასკეტიზმზე, თვითაღკვეთაზე, ანგედონიაზე, მეორე მხრივ კი – დასავლეთიდან შემოსული, პროტესტანტურ ეთიკაზე დაფუძნებული ფულად ურთიერთობათა რეგულირების საბაზრო წესი. ამას ემატება ჩვენი წარსულიც – საბჭოური ცხოვრების წესი. თანამედროვე დასავლურ სამყაროში ფულთან დაკავშირებული პროტესტანტური შრომითი ეთიკა („ბევრი იშოვე და ნაკლები ხარჯე“), როგორც ჩანს, კონსენსუსმა ჩაანაცვლა: „იშრომე, რათა ბევრი ფული იშოვო და ბევრი ხარჯო“. რაც შეეხება გვიანი საბჭოთა პერიოდის შრომით ეთიკას, მას კარგად გამოხატავს მოსწრებული ფრაზა: „ჩვენ ვიტომ ვმუშაობთ, ისინი კი ვითომ ხელფასს გვიხდიან“, რაც გულისხმობს „ცოტას შოვნას და ცოტას ხარჯვას“.

შესაბამისად, ჩატარებული კვლევა სწორედ ამ ჰიპოთეზის შემოწმებას ისახავდა მიზნად. ამ მიზნიდან გამომდინარე, დაისახა შემდეგი ამოცანები: 1) ფულის ზნეობრივი შეფასების შესწავლა; 2) ფულის სიმბოლური მნიშვნელობის შესწავლა; 3) ფულის მიმართ დამოკიდებულების შესწავლა.

### კვლევის მეთოდიკა

ფულის ზნეობრივი შეფასება შესწავლილ იქნა სპეციალურად შემუშავებული კითხვარით. კვლევის ჰიპოთეზის თანახმად, ფულის ზნეობრივი შეფასება ამბივალენტური ხასიათისაა. ტრადიციული განწყობის გასაზომი ლაიკერტის ტიპის ბიპოლარული სკალა ამბივალენტურობის გამოვლენის საშუალებას არ იძლევა[1]. ამიტომ გამოყენებულ იქნა „გაყოფილი“ სკალის პრინციპი, ანუ ფულის კავშირი თითოეული ზნეობრივი კატეგორიის დადებით და უარყოფით პოლუსთან ცალკე-ცალკე ფასდება. თუ ანტონიმური წყვილების შეფასებას შორის მკვეთრი განსხვავება არ დასტურდება, ეს წინააღმდეგობრივ შეფასებაზე მიუთითებს. შესაფასებლად გამოყენებულ იქნა ხუთი ამბივალენტური წყვილი: „გულმართლობა-მატყუარობა“, „პრინციპულობა-უპრინციპობა“, „პასუხისმგებლობა-უპასუხისმგებლობა“, „შემწყნარებლობა-შეუწყნარებლობა“, „სამართლიანობა-უსამართლობა“.

ფულის სიმბოლური მნიშვნელობის საკვლევად გამოყენებულ იქნა 7-საფეხურანი ლაიკერტის სკალა. ლიტერატურაში არსებული მონაცემების საფუძველზე შეირჩა ფულთან ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებული 14 კატეგორია, მათ შორის როგორც ფულის რეალური დანიშნულების (არსებობის საშუალება, კომფორტი, გართობა), ისე სავარაუდო სიმბოლური მნიშვნელობის

**1 ასეთ სკალაზე რესპონდენტს ევალება ერთი წერტილის (პასუხის) არჩევა უარყოფითი და დადებითი პოლუსებით (ანტონიმური წყვილებით) შექმნილ კონტინუუმზე.**

დიაგრამა 1. ფულის ზნეობრივი შეფასება




ცხრილი 1. ანტონიმურ წყვილებს შორის კორელაცია

| ანტონიმური წყვილი | კორელაცია |
|---|---|
| პასუხისმგებლობა-უპასუხისმგებლობა | r=0.020; p=0.557 |
| პრინციპულობა-უპრინციპობა | r=0.123; p=0.000 |
| სამართლიანობა-უსამართლობა | r=0.104; p=0.002 |
| გულმართლობა-მატყუარობა | r=-0.004; p=0.922 |
| შემწყნარებლობა-შეუწყნარებლობა | r=0.106; p=0.002 |

(განვითარება, ძალა, კონფლიქტი და სხვ.) ამსახველი კატეგორიები. რესპონდენტს ევალებოდა თითოეული ამ კატეგორიის ფულთან კავშირის შეფასება („დაბალი კავშირი“ – რიცხვითი მაჩვენებელი 1-დან 3-მდე; „საშუალო კავშირი“ – მაჩვენებელი 3-დან 5-მდე; „მაღალი კავშირი“ – მაჩვენებელი 6-დან 7-მდე).

ფულის მიმართ დამოკიდებულების შესასწავლად გამოყენებულ იქნა კრიტის, ფაბრიგარისა და პეტის სკალა[2] [15]. ამ ნახევრად პროექციულ მეთოდზე არჩევანის შეჩერება განაპირობა იმ გარემოებამ, რომ ფულის მიმართ დამოკიდებულება არაერთი ადამიანისათვის „დახურული“ თემაა.

### შერჩევა

კვლევა ჩატარდა თბილისში, რეპრეზენტაბელურ შერჩევაზე. შერჩევა დაკომპლექტდა სპეციალური კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით, რომელიც ეფუძნება სტრატიფიცირებული შემთხვევითი შერჩევის პრინციპს. კერძოდ, შერჩევის კონტროლი ხორციელდება სამი ნიშნით – საცხოვრებელი ადგილი (თბილისის რაიონი), სქესი და ასაკი. შერჩევაში თითოეული ამ სამი ნიშნით გამოყოფილი თითოეული სტრატის რაოდენობა განისაზღვრება გენერალურ ერთობლიობაში (თბილისის ზრდასრული მოსახლეობა) წილის შესაბამისად. შემდეგ თითოეული წევრის კონკრეტული მისამართის შერჩევა შემთხვევითი არჩევის პრინციპს ეფუძნება. შესაბამისად, დანარჩენი დემოგრაფიული ნიშნების (განათლება, მატერიალური მდგომარეობა და სხვ.) მიხედვით რესპონდენტთა განაწილება შემთხვევითია. სულ გამოკითხულ იქნა 18-75 წლის 1034 პირი.

### მონაცემების დამუშავება

კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები დამუშავდა როგორც კლასიკური მათემატიკური სტატისტიკის არაპარამეტრული და პარამეტრული მეთოდების, ისე მრავალგანზომილებიანი მეთოდების გამოყენებით (დისპერსიული, კლასტერული და ფაქტორული ანალიზი), მათემატიკური სტატისტიკის კომპიუტერულ პროგრამათა პაკეტის – SPSS-23 მეშვეობით.

### ფულის ზნეობრივი შეფასების კვლევის შედეგები და მათი განხილვა

ანტონიმური წყვილების საშუალო მაჩვენებლები თვალსაჩინოებისათვის წარმოდგენილია გრაფიკული სახით (დიაგრამა 1). ყველა მაჩვენებელი 3-ზე მეტია, რაც ნიშნავს, რომ ფულსა და ზნეობრივი კატეგორიებს შორის კავშირი შეფასებულია, როგორც „საშუალო“. კორელაციური ანალიზის (არაპარამეტრული კორელაციის კოეფიციენტი „კენდალის ტაუ“) შედეგები ასახულია პირველ ცხრილში.

2 სკალა ადაპტირებულია ე. ჩომახიძის მიერ.

**ცხრილი 2. ფაქტორული ანალიზის შედეგები**

| **კატეგორია** | **I ფაქტორი** | **II ფაქტორი** | |
|---|---|---|---|
| მატყუარობა | 0.742 | | ***შენიშვნა:*** *ფაქტორული ანალიზი ჩატარდა მთავარი კომპონენტების მეთოდით, ბრუნვა – ვარიმაქსით კაიზერის ნორმალიზაციით.* **ახსნილი დისპერსია:** **I ფაქტორი –** საერთო დისპერსიის 26.75%; **II ფაქტორი –** საერთო დისპერსიის 19.39%. |
| უსამართლობა | 0.694 | | |
| უპასუხისმგებლობა | 0.679 | | |
| შეუწყნარებლობა | 0.663 | | |
| უპრინციპობა | 0.602 | | |
| სამართლიანობა | | 0.738 | |
| შემწყნარებლობა | | 0.713 | |
| პასუხისმგებლობა | | 0.647 | |
| პრინციპულობა | | 0.644 | |
| გულმართლობა | | 0.595 | |

**დიგრამა 2. ფულთან კავშირის შეფასება**




ამრიგად, დადასტურდა ვარაუდი იმის შესახებ, რომ ფულის ზნეობრივი შეფასება წინააღმდეგობრივია: ფული ეთრდროულად ასოცირდება მატყუარობასა და გულმართლობასთან, პრინციპულობა და უპრინციპულობასთან, უსამართლობასა და სამართლიანობასთან, პასუხისმგებლობასა და უპასუხესმგებლობასთან, შემწყნარებლობასა და შეუწყნარებლობას. ამ დასკვნას ადასტურებს კორელაციური ანალიზის შედეგიც: უარყოფითი კორელაცია, რომელიც იქნებოდა იმის დასტური, რომ შეფასება წინააღმდეგობრივი არ არის, არც ერთ შემთხვევაში გამოვლენილა (ცხრ. 1). ამასთანავე, ყველა შემთხვევაში, „პრინციპულობა-უპრინციპობის" გარდა, დადებითი კატეგორიის მაჩვენებელი უარყოფითზე დაბალია, ანუ ფული უფრო ბოროტებასთან ასოცირდება, ვიდრე სიკეთესთან. ამ ვარაუდს ადასტურებს ფაქტორული ანალიზის შედეგები (დიაგრამა 2).

მთავარმა ფაქტორმა, რომლითაც აიხსნება საერთო დისპერსიის თითქმის 27%-ს, გააერთიანა ანტონიმური წყვილების უარყოფითი მნიშვნელობა. ამ ფაქტორში ყველაზე მნიშვნელოვანია „მატყუარობის" წილი – 0. 742, შედარებით ნაკლებია „უსამართლობისა" (0.694) და „უპასუხისმგებლობის" (0.679) წილი. ამ ფაქტორს შეიძლება „ფულის ნეგატიური ზნეობრივი შეფასება" ვუწოდოთ. მეორე ფაქტორმა (საერთო დისპერსიის 19%) გააერთიანა ყველა დადებითი ზნეობრივი კატეგორია. ამ ფაქტორს შეიძლება „ფულის პოზიტიური ზნეობრივი შეფასება" ვუწოდოთ.

რამდენად ზოგადია გამოვლენილი ტენდენცია? ლიტერატურაში არსებული მონაცემები ადასტურებს, რომ ფულის შეფასებაზე გავლენას ახდენს არაერთი შიდა ფაქტორი, მათ შორის დემოგრაფიული ნიშნები. მონაცემების დამუშავების მომდევნო ეტაპი ამ საკითხის გარკვევას ისახავდა მიზნად. შედეგმა რამდენადმე მნიშვნელოვანი გენდერული განსხვავება[3] არ დაადასტურა.

**3 განსხვავების სტატისტიკური სანდოობის შესამოწმებლად გამოყენებულ იქნა სტიუდენტის კრიტერიუმი.**

ცხრილი 3. ფულთან კავშირი – ფაქტორული ანალიზის შედეგები

| ცნება | I ფაქტორი | II ფაქტორი | III ფაქტორი | |
|---|---|---|---|---|
| არსებობის საშუალება | 0.720 | | | ***შენიშვნა:*** *ფაქტორული ანალიზი ჩატარდა მთავარი კომპონენტების მეთოდით, ბრუნვა – ვარიმაქსით კაიზერის ნორმალიზაციით.*<br>**ახსნილი დისპერსია:**<br>**I ფაქტორი –** საერთო დისპერსიის 28.43%;<br>**II ფაქტორი –** საერთო დისპერსიის 11.81%.<br>**III ფაქტორი –** საერთო დისპერსიის 8.20%. |
| ჯანმრთელობა | 0.659 | | | |
| გართობა | 0.622 | | | |
| კომფორტი | 0.580 | | | |
| განვითარება | | | 0.484 | |
| კონფლიქტი | | 0.826 | | |
| ცინიზმი | | 0.772 | | |
| ძალა | | 0.618 | | |
| ძალაუფლება | | 0.554 | | |
| სიყვარული | | | 0.688 | |
| თავისუფლება | | | 0.688 | |
| დამოუკიდებლობა | | | 0.567 | |
| მიღწევა | | | 0.549 | |
| უსაფრთხოება | | | 0.422 | |

ერთადერთი განსხვავება ისაა, რომ ქალის მიერ ფულის შეფასება კიდევ უფრო ამბივალენტურია, ვიდრე მამაკაცისა. ფულის „ზნეობრივ“ შეფასებაზე არსებით გავლენას არც ასაკი, არც განათლება და არც მატერიალური მდგომარეობა[4] ახდენს.

### ფულის სიმბოლური მნიშვნელობის კვლევის შედეგები და მათი განხილვა

როგორც ზემოთ ითქვა, რესპონდენტები აფასებდნენ ფულის კავშირს 14 შერჩეულ კატეგორიასთან. შედეგი (საშუალო მაჩვენებლები) წარმოდგენილია მე-2 ნახატზე. ფული, პირველ რიგში, ასოცირდება კომფორტთან; ფულის მნიშვნელობა, როგორც არსებობის საშუალებისა, მხოლოდ მეორე ადგილზეა. მესამე ადგილზეა გართობა, მეოთხეზე – ჯანმრთელობა. ბოლო ორ ადგილზე ცინიზმი და სიყვარული გავიდა, თუმცა მათი შეფასებაც 3-ზე მეტია, რაც ნიშნავს, რომ ფულთან კავშირი არც ამ შემთხვევაშია უარყოფილი და შეფასებულია, როგორც „საშუალო“.

ფაქტორული ანალიზის შედეგად სამი ფაქტორი გამოიყო (ცხრ. 3). მთავარმა ფაქტორმა (დისპერსიის 28%-ზე მეტი) გააერთიანა „არსებობის საშუალება“, „კომფორტი“, „გართობა“ და „ჯანმრთელობა“. ამ ფაქტორს შეიძლება „ფულის დანიშნულება“ ვუწოდოთ. მეორე ფაქტორმა (დისპერსიის 12%-მდე) გააერთიანა ნეგატიური კატეგორიები – კონფლიქტი და ცინიზმი, ანუ ფული ისევ „ბოროტებასთან“ ასოცირდება. ამავე ფაქტორში შევიდა ძალა და ძალაუფლება. ეს, ალქათ, გვაძლევს უფლებას ვიფიქროთ, რომ ამ ორ კატეგორიასაც, სულ მცირე, ნეგატიური ელფერი აქვს. მესამე ფაქტორმა (დისპერსიის 8%) დადებითი ღირებულებები გააერთიანა: სიყვარული, თავისუფლება, დამოუკიდებლობა, განვითარება, მიღწევა და უსაფრთხოება. ამრიგად, ისევ დასტურდება, რომ ფული ნეგატიურთან მეტად ასოცირდება, ვიდრე პოზიტიურთან.

საშუალო მაჩვენებლების მიხედვით არსებითი გენდერული განსხვავება არ დადასტურდა. თუმცა, ფაქტორულმა ანალიზმა მკვეთრი გენდერული განსხვავება გამოავლინა (იხ. ცხრ. 4). მამაკაცებთან მთავარმა ფაქტორმა გააერთიანა „კონფლიქტი“, „ცინიზმი“, „ძალა“ და „ძალაუფლება“, მაშინ როცა ქალებთან ეს კატეგორიები მესამე ფაქტორში გაერთიანდა. ქალებთან მთავალმა ფაქტორმა გააერთიანა დადებითი ღირებულებები: სიყვარული, თავისუფლება, დამოუკიდებლობა, განვითარება, მიღწევა და უსაფრთხოება, რომლებმაც მამაკაცებთან მე-3 და მე-4 ფაქტორები შექმნა. ქალებთანაც და მამაკაცებთაც მეორე ფაქტორია „ფულის დანიშნულება“.

ამრიგად, მამაკაცისათვის ფული ასოცირდება, პირველ რიგში, „კონფლიქტთან“, „ცინიზმთან“, „ძალასა“ და „ძალაუფლებასთან“; ფული მისთვის უფრო ადამიანზე, სიტუაციასა და რესერსუბზე კონტროლის სიმბოლოა, თუმცა „ძალისა“ და „ძალაუფლების“ მიღწევა ასოცირდება „კონფლიქტთან“, „ცინიზმთან“, ანუ ნეგატიური სიმბოლური დატვირთვა აქვს. ამ ფაქტორს შეიძლება „კონტროლის ფაქტორი“ ვუწოდოთ. ქალთან ფული, პირველ რიგში,

4 განსხვავების სტატისტიკური სანდოობის შესამოწმებლად ჩატარდა მრავალგანზომილებიანი ერთფაქტორიანი დისპერსიული ანალიზი.

ცხრილი 4. ფულთან კავშირი: ფაქტორული ანალიზის შედეგები – გენდერული ჭრილი

| მამაკაცი | | | | | ქალი | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| კატეგორია | I | II | III | IV | კატეგორია | I | II | III |
| დისპერსიის წილი | 31.40% | 11.56% | 8.46% | 7.44% | | 29.09% | 12.22% | 8.15% |
| კონფლიქტი | 0.857 | | | | თავისუფლება | 0.751 | | |
| ცინიზმი | 0.782 | | | | სიყვარული | 0.685 | | |
| ძალაუფლება | 0.651 | | | | დამოუკიდებლობა | 0.596 | | |
| ძალა | 0.644 | | | | მიღწევა | 0.588 | | |
| არსებობის საშუალება | | 0.765 | | | განვითარება | 0.516 | | |
| ჯანმრთელობა | | 0.683 | | | უსაფრთხოება | 0.427 | | |
| კომფორტი | | 0.637 | | | არსებობის საშუალება | | 0.694 | |
| გართობა | | 0.573 | | | ჯანმრთელობა | | 0.654 | |
| განვითარება | | | 0.758 | | გართობა | | 0.615 | |
| უსაფრთხოება | | | 0.694 | | კომფორტი | | 0.559 | |
| მიღწევა | | | 0.480 | | კონფლიქტი | | | 0.821 |
| სიყვარული | | | | 0.707 | ცინიზმი | | | 0.787 |
| თავისუფლება | | | | 0.670 | ძალა | | | 0.571 |
| დამოუკიდებლობა | | | | 0.524 | ძალაუფლება | | | 0.521 |

ასოცირდება დადებით ღირებულებებთან (თავისუფლება, სიყვარული და ა.შ.), ანუ ქალისათვის ფულის სიმბოლური მნიშვნელობა უკავშირდება არა კონტროლს, არამედ კეთილდღეობას („კეთილდღეობის ფაქტორი“).

ფაქტორულმა ანალიზმა აგრეთვე დაადასტურა ასაკის გავლენა ფულის სიმბოლურ მნიშვნელობაზე. სახელდობრ, მსგავსი აღმოჩნდა ახალგაზრდებისა (18-25 წელი) და ხანდაზმულების (55 წელზე მეტი) შედეგი: ორივე ჯგუფში პირველ ადგილზე „კეთილდღეობის ფაქტორი“ გავიდა, მაშინ როცა სხვა ასაკობრივ ჯგუფებში მთავარი „კონტროლი ფაქტორი“ აღმოჩნდა.

განათლების ფაქტორის გავლენა ფულის მნიშვნელობის შეფასებაზე არსებითი არ არის. მაგრამ საინტერესო განსხვავება გამოვლინდა მატერიალური მდგომარეობის მიხედვით გამოყოფილ ჯგუფებს შორის: კარგი მატერიალური მდგომარეობისა და სოციალურად დაუცველთა კლასტერების ფაქტორული სტრუქტურა განსხვავდება ყველა სხვა დანარჩენი შემთხვევისაგან. კერძოდ, კარგი მატერიალური მდგომარეობის მქონე პირთა ჯგუფში ფული, პირველ რიგში, აღიქმება, როგორც „კონტროლის“ მოპოვების საშუალება, რაც ფასდება, როგორც მიღწევა და დისკომფორტს, კონფლიქტსა და ცინიზმს არ უკავშირდება, როგორც სხვა ჯგუფებში. ამ ჯგუფის მსგავსად, არც სოციალურად დაუცველთა კლასტერში ძალაუფლება და ძალა კონფლიქტსა და ცინიზმთან არ ასოცირდება: ფული, როგორც კონტროლის სიმბოლო, ნეგატიურად შეფასებული არ არის – ფული ასოცირდება განვითარებასთან, მიღწევასთან, უსაფრთხოებასთან, გართობასთან, სიყვარულთან.

## ფულის მიმართ განწყობის (დამოკიდებულების) კვლევის შედეგები და მათი განხილვა

ფულის მიმართ დამოკიდებულების სკალაზე მაჩვენებლის დადებითი რიცხვითი მნიშვნელობა („+1“-დან „+3“-მდე) დადებით დამოკიდებულებას შეესაბამება, უარყოფითი („-1“-დან „-3“-მდე) – უარყოფითს, ხოლო „0“ ჩამოუყალიბებელ დამოკიდებულებას გამოხატავს. ფულის მიმართ დამოკიდებულების საშუალო მაჩვენებელი 1.27-ის ტოლია, მაგრამ მაღალია სტანდარტული გადახრა – 0.903, რაც შიდაჯგუფურ განსხვავებაზე მიუთითებს. ამ განსხვავებული ჯგუფების გამოსაყოფად ჩატარდა ორეტაპიანი კლასტერული ანალიზი, რომლის შედეგები ასახულია მე-5 ცხრილში. როგორც ვხედავთ, გამოიყო სამი კლასტერი: ფულის მიმართ გამოხატული დადებითი დამოკიდებულება (33%), უფრო დადებითი (48%) და ჩამოუყალიბებელი დამოკიდებულება (19%).

მომდევნო ანალიზის მიზანი იყო გარკვევა იმისა, ახდენს თუ არა გავლენას ფულის მიმართ დამოკიდებულებაზე: ა)ფულის ზნეობრივი შეფასება და ბ) სიმბოლური მნიშვნელობა. ჩატარდა კორელაციური ანალიზი, რომლის შედეგები ასახულია მე-6 და მე-7ცხრილებში.

როგორც მე-6 ცხრილიდან ჩანს, დასტურდება დადებითი კორელაცია ფულის მიმართ დამოკიდებულებასა და დადებით ზნეობრივ კატეგორიებს შორის, მაგრამ არ აღინიშნება კორელაცია უარყოფით ზნეობრივი კატეგორიებთან. ზუსტად ასევე დადებითია კორელაცია ფულის მიმართ დამოკიდებულებასა და დადებით ღირებულებებს, აგრეთვე ფულის დანიშნულებას შორის,

**ცხრილი 5. ფულის მიმართ დამოკიდებულება**

| *კლასტერი* | *საშუალო* | *სტ. გადახრა* | *სიხშირე (%)* |
|---|---|---|---|
| დადებითი დამოკიდებულება | 2.26 | 0.37 | 33% |
| უფრო დადებითი დამოკიდებულება | 1.10 | 0.34 | 48% |
| ჩამოუყალიბებელი დამოკიდებულება | -0.07 | 0.45 | 19% |

**ცხრილი 6. კორელაცია ფულის მიმართ დამოკიდებულებასა და ფულის ზნეობრივ შეფასებას შორის**

| | **დადებითი ზნეობრივი კატეგორიები** | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | გულმართლობა | პრინციპულობა | პასუხისმგებლობა | სამართლიანობა | შემწყნარებლობა |
| r | **0.224**** | **0.171**** | **0.114**** | **0.247**** | **0.178**** |
| p | 0.000 | 0.000 | 0.001 | 0.000 | 0.000 |
| | **უარყოფითი ზნეობრივი კატეგორიები** | | | | |
| | გულმართლობა | პრინციპულობა | პასუხისმგებლობა | სამართლიანობა | შემწყნარებლობა |
| r | 0.008 | 0.062 | 0.028 | 0.032 | -0.022 |
| p | 0.822 | 0.601 | 0.436 | 0.374 | 0.538 |

**ცხრილი 7. კორელაცია ფულის მიმართ დამოკიდებულებასა და ფულის სიმბოლურ მნიშვნელობას შორის**

| | **დადებითი ღირებულებები** | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სიყვარული | მიღწევა | თავისუფლება | დამოუკიდებლობა | უსაფრთხოება | განვითარება | ჯანმრთელობა |
| r | **0.299**** | **0.215**** | **0.200**** | **0.197**** | **0.160**** | **0.292**** | **0.233**** |
| p | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 |

| | **უარყოფითი კატეგორიები** | | | | **ფულის დანიშნულება** | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ცინიზმი | ძალაუფლება | კონფლიქტი | ძალა | არსებობის საშუალება | კომფორტი | გართობა |
| r | 0.015 | 0.037 | -0.020 | 0.101 | **0.166**** | **0.171*** | **0.123**** |
| p | 0.678 | 0.301 | 0.570 | .004 | 0.000 | 0.044 | 0.000 |

***შენიშვნა:*** *ა) r – პირსონის კორელაციის კოეფიციენტი; p – სანდოობა; ბ) ნიშანდებულია სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კორელაცია.*

თუმცა კორელაცია უარყოფით (ცინიზმი, კონფლიქტი) და უარყოფითად შეფასებულ კატეგორიებთან (ძალა, ძალაუფლება) არ გამოვლინდა (იხ. ცხრ. 7).

ეს ნიშნავს, რომ ფულის მიმართ დამოკიდებულებაზე გავლენას ახდენს მხოლოდ პოზიტიური კატეგორიები: რაც უფრო ძლიერია ასოციაცია დადებით ზნეობრივ კატეგორიებთან, აგრეთვე დადებით ღირებულებებთან, მით უფრო დადებითია ფულის მიმართ დამოკიდებულება, ანდა პირიქით. ვგულისხმობთ იმას, რომ კორელაცია მიზეზ-შედეგობრივი კავშირის გამოვლენის საშუალებას არ იძლევა, ამიტომ სულ არ არის გამორიცხული, რომ დადებით კატეგორიებთან ასოცირების სიძლიერეს ფულის მიმართ დადებითი დამოკიდებულება განსაზღვრას.

ამ დასკნას ადასტურებს ფულის მიმართ დამოკიდებულების მიხედვით გამოყოფილი სამი ქვეჯგუფის




**დიაგრამა 3. დადებით ზნეობრივი კატეგორიები**




**დიაგრამა 4. უარყოფით ზნეობრივი კატეგორიები**




**დიაგრამა 5. დადებითი ღირებულებები**




**დიაგრამა 6. უარყოფითი კატეგორიები**

შედარებაც. დისპერსიულმა ანალიზმა დაადასტურა, რომ განსხვავება სტატისტიკურად სანდოა ყველა დადებითი ზნეობრივი კატეგორიების შემთხვევაში: ზნეობრივ კატეგორიებთან ასოცირების მაჩვენებლები ყველაზე მაღალია ფულის მიმართ დადებითი დამოკიდებულების ჯგუფში, ხოლო ყველაზე დაბალი – ჩამოუყალიბებელთა კლასტერში (ნახ. 3). რაც შეეხება უარყოფით ზნეობრივ კატეგორიებს, სტატისტიკურად სანდო განსხვავება არ დადასტურდა (ნახ. 4), ანუ ფულის ნეგატიური ზნეობრივი შეფასება ფულის მიმართ დამოკიდებულებაზე გავლენას არ ახდენს.

ანალოგიურ სურათს იძლევა ფულის მიმართ განსხვავებული დამოკიდებულების მქონე სამი ქვეჯგუფის შედარება ფულის სიმბოლური მნიშვნელობის მიხედვით (ნახ. 5-6). კერძოდ, განსხვავება სტატისტიკურად სანდოა დადებითი ღირებულებების შემთხვევაში: ფულის მიმართ დამოკიდებულება მით უფრო დადებითია, რაც უფრო ძლიერია ასოციაცია დადებით ღირებულებებთან (ნახ. 5). განსხვავება ნეგატიური კატეგორიების მიხედვით სტატისტიკურად სანდო არ არის (ნახ. 6).

## დასკვნები

1. ქართულ საზოგადოებაში ფულის შეფასება ამბივალენტურია: ფული ერთდროულად ასოცირდება როგორც დადებით, ისე უარყოფით ზნეობრივ კატეგორიებთან. თუმცა, მაინც ჭარბობს უარყოფითი შეფასება, ანუ ფული უფრო ბოროტებასთან ასოცირდება, ვიდრე სიკეთესთან. ქალის შეფასება კიდევ უფრო ამბივალენტურია, ვიდრე მამაკაცისა. ფულის „ზნეობრივ" შეფასებაზე არსებით გავლენას არც ასაკი, არც განათლება და არც მატერიალური მდგომარეობა ახდენს.

2. მამაკაცისათვის ფული უფრო ადამიანის, სიტუაციისა და რესურსების კონტროლის სიმბოლოა, ხოლო ქალისათვის – კეთილდღეობისა. გასაკვირია, მაგრამ მსგავსია



შეძლებულ და სოციალურად დაუცველ პირთა აღქმა: სხვა ჯგუფებისაგან განსხვავებით, ფული, როგორც კონტროლის სიმბოლო, ნეგატიურად შეფასებული არ არის: ფული ასოცირდება განვითარებასთან, მიღწევასთან, უსაფრთხოებასთან, გართობასთან, სიყვარულთან და კონფლიქტსა და ცინიზმს არ უკავშირდება.

3. ფულის მიმართ დამოკიდებულების მიხედვით გამოიყო სამი ქვეჯგუფი: გამოხატულად დადებითი (33%), უფრო დადებითი (48%) და ჩამოუყალიბებელი დამოკიდებულება (19%).

4. დადასტურდა დადებითი კორელაცია ფულის მიმართ დამოკიდებულებასა და დადებით ზნეობრივ კატეგორიებსა და ღირებულებებს შორის, მაგრამ უარყოფითთან კორელაცია არ აღინიშნება. მაშასადამე, რაც უფრო ძლიერია ასოციაცია დადებით ზნეობრივ კატეგორიებთან, აგრეთვე დადებით ღირებულებებთან, მით უფრო დადებითია ფულის მიმართ დამოკიდებულება, ანდა, პირიქით, რაც უფრო დადებითია ფულის მიმართ დამოკიდებულება, მით უფრო ძლიერია ასოციაცია დადებით კატეგორიებთან.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. Luft, J. (1957). Monetary value and the perception of persons. Journal of Social Psychology 46, 245-51;

2. Goldberg, H. and Lewis, R. (2008) Money madness: the psychology of saving, spending, loving and hating money. London: Springwood;

3. Forman, N (1987) Mind of Money. Toronto: Doubleday;

4. Furnham A. Argyle M. (1998) The Psychology of Money. London: Routledge;

5. Rim, Y (1982) Personality and attitudes connected with money. Paper presented at the European Conference on Economic Psychology, Edinburg, August 1982;

6. McClurc, R. (1984) The relationship between money attitudes and overall pathology. Psychology 21, 4-6;

7. Lynn, R. (1994) The secret of the miracle economy. London: Social Affairs Unit;

8. Furnham, A. (1990) The Protestant work ethic. London: Routledge;

9. Cox, C. and Cooper, C. (1990) Highflyers. Oxford: Basil Blackwell;

10. Tang, T. (1992) The meaning of money revisited. Journal of Organizational Behaviour 13, 197-202;

11. Tang, T. (1993) The meaning of money. Journal of Organizational Behaviour 14, 93-99;

12. Tang, T. (1995) The development of a short money ethic scale. Personality and Individual Differences 19, 809-816;

13. Tang, T. and Gilbert, P. (1995) Attitudes toward money as related to intrinsic and extrinsic job saticfaction, stress, and work- related attitudes. Personality and Individual Differences 19, 327-332;

14. Tang, T., Furnham, A. and Davis, E. (1997) A cross-cultural comparison of the money ethic. Personality and Individual Differences 19, 327-332;

15. Аронсон Э., Уилсон Т., Эйкерт Р. Социальная психология. Психологические законы поведения человека в социуме. М., 2004;

# КОРПОРАТИВНАЯ СОЦИАЛЬНАЯ ОТВЕТСТВЕННОСТЬ В ЕВРОПЕЙСКОМ СОЮЗЕ И ОПЫТ ДЛЯ ГРУЗИИ



**ТАКАЛАНДЗЕ ЛАРИСА,**
Профессор факультета Бизнеса и Социальных наук, Руководитель Модуля „Менеджмент"
Сухумский государственный университет, Грузия
https://orcid.org/0000-0003-1126-6464

**РЕЗЮМЕ**

В статье исследуется политика Европейского Союза в области корпоративной социальной ответственности (КСО) и особенности КСО в странах ЕС, стратегия Евросоюза в области КСО в период пандемии коронавирусной инфекции COVID-19; Рассмотрен вопрос, насколько КСО отражается в практике деловых отношений грузинских компаний и основные направления, формы и специфика развития социальной ответственности в Грузии, проанализированы факторы, ограничивающие развитие КСО в стране и вызовы в период пандемии COVID-19. В статье рассмотрены также состояние и развитие бизнеса в Грузии, как предпосылка успешной реализации принципов КСО. В заключении даны рекомендации по применению в практике грузинских компаний КСО с учетом опыта стран Евросоюза.

**Ключевые слова:** Корпоративная социальная ответственность, Бизнес среда, Европейский Союз (ЕС), Развитие, Благотворительность, Пандемия коронавирусной инфекции COVID-19.

# კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა ევროკავშირის ქვეყნებში და გამოცდილება საქართველოსთვის

**ლარისა თაკალანძე**
ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა პროფესორი, მენეჯმენტის მოდულის ხელმძღვანელი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
https://orcid.org/0000-0003-1126-6464

**რეზიუმე**

სტატიაში გამოკვლეულია ევროკავშირის პოლიტიკა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სფეროში (კსპ), სოციალური პასუხისმგებლობის თავისებურებები ევროკავშირის ქვეყნებში, გაანალიზებულია ამ სფეროში ევროკავშირის სტრატეგია ვირუსული ინფექციის COVID-19 პანდემიის პირობებში. ნაშრომში განხილულია საკითხი, თუ რამდენად აისახება ქართული კომპანიების საქმიან ურთიერთობებში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა და მისი ძირითადი ფორმები; გამოვლენილია ფაქტორები, რომლებიც ზღუდავენ კსპ-ს განვითარებას საქართველოში და გამოწვევები COVID-19 პანდემიის პირობებში. სტატიაში აგრეთვე გაშუქებულია საქართველოში ბიზნესის განვითარება და არსებული ბიზნეს-გარემო, როგორც კსპ-ს პრინციპების წარმატებული რეალიზაციის წანამძღვარი. დასკვნაში მოცემულია რეკომენდაციები ქართულ კომპანიებში ევროკავშირის ქვეყნების კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის საუკეთესო პრაქტიკის გამოყენების კუთხით.

# CORPORATE SOCIAL RESPONSIBILITY IN THE EUROPEAN UNION AND EXPERIENCE FOR GEORGIA

**TAKALANDZE LARISA**
Professor, Head of Management Module,
Faculty of Business and Social Sciences,
Sokhumi State University
https://orcid.org/0000-0003-1126-6464

**RESUME**

The article examines the policy of the European Union in the field of corporate social responsibility (CSR) and the peculiarities of CSR in the EU countries, the strategy of the European Union in the field of CSR during the period of the COVID-19 coronavirus infection pandemic. The article touches upon the issue of how CSR is reflected in the practice of business relations of Georgian companies and the main directions, forms and specifics of the development of social responsibility in Georgia. Special attention is given to the analysis of the factors limiting the development of CSR in the country and the challenges during the COVID-19 pandemic. The article also examines the state and development of business in Georgia as a prerequisite for the successful implementation of CSR principles. Finally, recommendations are given on the practical use of CSR by Georgian companies, taking into account the experience of the EU countries.

### ВВЕДЕНИЕ

Мировой опыт Корпоративной социальной ответственности представлен к настоящему моменту времени тремя основными моделями: англо-американской, европейской и смешанной. Каждая из них обладает специфическим набором элементов взаимодействия бизнеса и социума, учитывает национальные и культурные традиции каждой из стран. европейская модель социальной ответственности принципиально отличается от модели американской.

Социальная ответственность нашла отражение и в деловой практике грузинских компаний. Многие компании начали заниматься благотворительностью, участвуют в спонсировании социально значимых проектов, публикуют социальные отчеты. Но прежде чем обсудить КСО в Грузии, рассмотрим вкратце состояние и развитие бизнеса в стране за последние годы.

**Цель исследования** состоит в изучении политики и стратегии Европейскрго Союза в области корпоративной социальной ответственности (КСО) и применению лучшей практики в грузинских компаниях, а также выявить основные вызовы в период пандемии коронавирусной инфекции COVID-19. **Методология исследования** – логический анализ содержания научных источников и нормативных актов и ситуативный анализ, базирующийся на сравнительном методе.

Европейский бизнес рассматривает государство как институт, приводящий в исполнение принятые правила поведения, а в США подобное вмешательство государства расценивается как нарушение свободы бизнеса. если американская модель рассматривает в качестве целей корпоративной социальной ответственности прибыльность и ответственность перед акционерами, то европейская относит к ней дополнительно вопросы ответственности перед работниками и местными сообществами. Благотворительность в Европе не так популярна, как в США, что объясняется более существенным налоговым бременем (Khoperia, 2018; Maignan, Ralston 2002). В последние годы в связи с развитием крупного бизнеса наиболее популярной в Европе стала смешенная модель, или КСО. Эта модель ориентирует бизнес на три сферы проявления социальной инициативы: экономику, занятость и охрану окружающей среды. Ответственность бизнеса распространяется на условия труда, заработную плату, выплату дивидендов акционерам, выпуск качественной продукции и оказание услуг, охрану окружающей среды, занятость в конкретном регионе, реализацию социальных инициатив населения. Ответственность, связанная с реализацией региональных социальных проблем, осуществляется через конкурсные гранты совместно с местным самоуправлением. Корпоративная деятельность, как правило, регулируется нормами, стандартами и законами соответствующих государств. Во многих европейских странах законодательно закреплено: обязательное медицинское страхование, пенсионное регулирование, природоохранная деятельность предприятий.

В странах Европы КСО давно является неотъемлемой частью как наднациональной, так и национальной политики, важным элементом поддержания социальной стабильности и эффективным инструментом продвижения политики сплочения.

На наднациональном уровне формирование современного подхода КСО проходило на рубеже XX—XXI вв. В 1995 г. была создана Социальная платформа — организация, объединившая 40 европейских IIКО[1]. Главной целью было заявлено развитие социального измерения Европейского союза и построение всесторонне развитого общества. А в 1996 г. европейским бизнесом была создана сеть *CSR Europe*[2], объединяющая около 60 транснациональных корпораций. Для европейских институтов КСО стала приоритетной в 2001 г., когда Европейской комиссией была выпущена «Зеленая книга. Создание европейской системы КСО». Первый отчет по развитию КСО на этой основе был опубликован в 2004 г. В 2006 г. Был создан Европейский альянс по КСО, объединивший 32 предприятия и 26 ассоциаций бизнеса. Европейский альянс по КСО поддерживает существующие программы КСО и инициирует новые программы и инициативы. С 2002 г. в ЕС проводятся международные форумы но КСО и с каждым годом интерес к этой теме возрастает. Так, если в первом форуме приняло участие 50 авторитетных стейкхолдеров в составе представителей бизнеса, некоммерческих организаций, потребителей, то в 2015 г. — уже более 450.

К традиционным инструментам КСО, поддерживаемым и пропагандируемым Еврокомиссией, относятся: ответственные практики в отношении персонала; ответственные практики в отношении потребителей; развитие местных сообществ; охрана окружающей среды; добросовестные деловые практики[3].

Исследуя европейский опыт КСО на национальном уровне, необходимо признать, что, несмотря на наличие общих черт, практика разных стран значительно отличаются друг от друга. Единой классификации подходов нет, однако среди стран Евросоюза выделяют германскую (или континентальную) модель (Германия, Австрия, Нидерланды, Скандинавские страны, Франция), которая характеризуется максимальным социальным взаимодействием — все стороны, заинтересованные в деятельности корпорации, могут участвовать в процессе принятия решений. Главным достоинством модели является то, что при принятии решений учитываются интересы максимального круга заинтересованных компаний и лиц, а главным недостатком — невысокая степень прозрачности.

Как было указано, существует набор инструментов, которые с успехом применяются на национальном уровне для поддержки социальной ответственности компаний: налоговые льготы, обязательная нефинансо-




вая отчетность, неэкономическое воздействие (награды и поощрения). Вместе с тем наиболее популярным и эффективным является налоговое стимулирование. В целом, можно сделать вывод, что для европейского подхода характерен комплексный подход к взаимодействию общества и бизнеса, осуществляемый в рамках государственного регулирования. Данное взаимодействие понимается как равноправное взаимодействие многочисленных стейкхолдеров: от местных сообществ до экологических, правозащитных и потребительских организаций. Важной отличительной чертой европейского подхода является тот факт, что практика КСО регламентируется законодательно, т.е. является, по сути, обязательной. Лидерами в реализации европейской модели КСО стали компании, функционирующие в отраслях, ориентированных прежде всего на потребителя, — предприятия пищевой и фармацевтической промышленности, розничной торговли и др. Следует отметить, что для европейских компаний в целом социально ответственное поведение более характерно, чем для компаний других регионов. И хотя наднациональные органы играют заметную роль в поддержании подобного ответственного поведения компаний, инициатива, как правило, идет снизу, с уровня не только отдельных стран, но и отдельных компаний. Инвестиционная привлекательность, так же как и привлекательность компании для потребителя в Европе, напрямую зависит от степени вовлеченности компании в практику КСО.

В настоящее время Пандемия COVID-19 заставила многие компании переосмыслить свой подход к КСО и изменить приоритеты стратегий корпоративной социальной ответственности.

Цифровая трансформация породило новое направление, меняющее отношение работника к технологиям, а также формирующее необходимость этического использования новых технологий - корпоративной цифровой ответственности (Corporate Digital Responsibility (CDR)). CDR означает добровольную приверженность устойчивому управлению компаниями, учитывающему социальные и экономические изменения, вызванные цифровизацией.

Прогресс цифровых технологий и быстроменяющиеся условия рынка требуют инновационных решений от руководителей и научно-педагогического общества, и определяет необходимость изменения образовательных методик и их адаптирования к формату дистанционного обучения – хотя, это уже отдельная тема для исследования.

Кроме того, следует заметить, что оцифровка имеет целый ряд побочных эффектов, которые противоречат таким ценностям, как гуманность, солидарность и ответственность. Дело в том, что существует ряд рисков, например, разрыв в цифровых навыках, неэтичное использование данных клиентов и искажение цифроврго самоопределения, зкологическмй след цифровых технологий, неравный доступ к цифровым технологиям и их преимуществам и т.д.

Еще один глобальный вызов современности - про-

блема изменения климата и деградация среды (Climate change and environmental degradation), которая создает угрозу не только Европе, но и всему миру. Стратегия Евросоюза „Зеленая сделка" (EU Green Deal) ставит целью сделать более ресурсоэффективной (resource-efficient), конкурентоспособной экономику. Речь идет о необходимости формирования экологической культуры, зеленых навыкcв (Green Skills) и повышения уровня осведомленности общества. Важную роль в решении зтих проблем призвана сыграть хорошо продуманная стратегия КСО.

Пандемия COVID-19 на первое место в сфере корпоративной социальной ответственности вывела также удовлетворение потребностей пожилых, женщин и людей с ограниченными возможностями.

Согласно исследованию «Edelman Trust Barometer — 2020», более 37% опрошенных впервые приобрели товар или услугу тех брендов, которые проявили эмпатию во время пандемии.

По данным агентства Edelman, в 2020 году 71% потребителей готовы отказаться от бренда, который работает только на себя и не заботится о пользе для общества. В 2018 году таких было 64%. В ряде случаев это становится важным критерием выбора компании, в том числе в качестве работодателя.

Таким образом, Корпоративная социальная ответственность (КСО) предьявляет новые запросы к Образованию, главная задача которого подготовка конкурентоспособных специалистов для рынка труда и которое невозможно без связи с рынком труда. Поэтому большое значение имеет взаимодействие образовательных учреждений и организаций. И хотя формы сотрудничества ВУЗ-ов и бизнеса в странах EU в настоящее время весьма разнообразны (Bonn Declaration „University-Enterprise cooperation: building on new challenges from past experiences"), но с учетом глобальных вызовов возникла необходимость их непрерывной модификации, вывода на новый уровень.

**БИЗНЕС СРЕДА В ГРУЗИИ**

# საქართველოს დემოგრაფიული მდგომარეობა კოვიდპანდემიის პირობებში და სამომავლო პერსპექტივა



ბორის ჭიჭინაძე
ეკონომიკის დოქტორი,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ლექტორი

**რეზიუმე**

საჭიროა აღინიშნოს, რომ საქართველოს დემოგრაფიული მდგომარეობა დამოუკიდებლობის მოპოვებიდან (1991 წელი) დღემდე მნიშვნელოვნად უარესდება. ბოლო 30 წლის განმავლობაში ქვეყნის მოსახლეობა თითქმის 1.7 მილიონი ადამიანით შემცირდა. შექმნილი მდგომარეობა კიდევ უფრო გაართულა მსოფლიო პანდემიით გამოწვეულმა უარყოფითმა პროცესებმა. გაიზარდა დაავადებულ ადამიანთა რაოდენობა, გაიზარდა უმუშევრობა, შემცირდა ეკონომიკის ზრდის ტემპი, გაიზარდა გარდაცვლილთა რაოდენობა. შექმნილი მდგომარეობა ბუნდოვანს ხდის ქვეყნის სამომავლო პერსპექტივას.

იმისათვის, რომ სწრაფად შეიცვალოს არსებული მდგომარეობა და დაიწყოს ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება, აუცილებელია ცენტრალურმა მთავრობამ, მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად შეიმუშავოს შესაბამისი სტრატეგია. იმედია ამ მიმართულებით მთავრობის მიერ გადადგმული იქნება შესაბამისი ქმედითი ნაბიჯები.

# DEMOGRAPHIC SITUATION OF GEORGIA IN THE CONDITIONS OF CO-EPIDEMIC AND FUTURE PROSPECTS

**Boris Tchitchinadze**
Doctor in Economics, Lecturer
at Akaki Tsereteli State University

**RESUME**

It should be noted that the demographic situation in Georgia has been deteriorating significantly since independence (1991). The country's population has shrunk by almost 1.7 million people in the last 30 years. The current situation is further complicated by the negative processes caused by the world pandemic. The number of sick people has increased, unemployment has increased, the rate of economic growth has decreased. The death toll has risen. The current situation makes the future perspective vague.

In order to quickly change the current situation and start improving the demographic situation, it is necessary for the government, together with the Academy of Sciences, to develop an appropriate strategy. Hopefully, appropriate effective steps will be taken in this direction.

საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის თანახმად საქართველო არის სოციალური სახელმწიფო, რომელიც ზრუნავს საზოგადოებაში სოციალური სამართლიანობის, სოციალური თანასწორობისა და სოციალური სოლიდარობის პრინციპების განმტკიცებაზე. სახელმწიფო ზრუნავს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თანაბარ სოციალურ-ეკონომიკურ და დემოგრაფიულ განვითარებაზე. სახელმწიფო ზრუნავს ადამიანის ჯანმრთელობასა და სოციალურ დაცვაზე, საარსებო მინიმუმითა და ღირსეული საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე, ოჯახის კეთილდღეობის დაცვაზე. სახელმწიფო ხელს უწყობს მოქალაქეებს დასაქმებაში. საარსებო მინიმუმის უზრუნველყოფის პირობები განისაზღვრება კანონით. იმავე კონსტიტუციის მე-6 მუხლის თანახმად სახელმწიფო ზრუნავს თავისუფალი და ღია ეკონომიკის, თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებაზე.

საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული (მისაღები) კანონები უნდა გამომდინარეობდეს საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნათა შესაბამისად და უნდა პასუხობდეს თანამედროვე მოთხოვნებს. გამომდინარე იქედან, რომ ამ მიმართულებით დღეს მოქმედი კანონ-

მდებლობა არ პასუხობს კონსტიტუციის მოთხოვნებს, ამან გამოიწვია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაურესება.

საჭიროა აღინიშნოს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე მნიშვნელოვნად გაუარესდა ქვეყნის საერთო დემოგრაფიული მდგომარეობა. მოსახლეობის ნაწილი საერთოდ გავიდა ქვეყნიდან, რათა მინიმალურად მაინც დაეკმაყოფილებინა მათი ოჯახების წინაშე არსებული სოციალური (სწავლა-განათლება, ჯანმრთელობა და სხვა სოციალური მიმართულება) მოთხოვნილებები. გამომდინარე იქედან, რომ ქვეყნიდან გასული მოსახლეობის 80 % წარმოადგენდა შრომისუნარიან მოქალაქეებს, ამან მნიშვნელოვნად გააუარესა ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა, რაც გამოიხატა რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის და მწარმოებითი სექტორის მოცულობის შემცირებაში. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მაკროეკონომიკური პარამეტრები (მთლიანი რეალური შიდა პროდუქტი, უმუშევრობის დონე, ინფლაცია, რეალური ხელფასი, ჯინის კოეფიციენტი და სხვა) გაუარესებულია დამოუკიდებლობის მოპოვებამდე არსებულ პერიოდთან (1989-1990 წწ) შედარებით, ჯერ კიდევ არსებობს მინიმალური შანსი იმისა, რომ მთავრობის მიერ შემუშავებულ და პრაქტიკაში გატარებულ იქნას ისეთი დემოგრაფიული პოლიტიკა, რომელიც სწრაფად გააუმჯობესებს არსებულ მძიმე დემოგრაფიულ მდგომარეობას და დადებითად აისახება ქვეყნის ეკონომიკის მდგრად განვითარებაზე (იხ, ცხრილი 1).

წარმოდგენილი მონაცემებიდან კარგად ჩანს, რომ 2020 წელს საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა დამოუკიდებლობის მოპოვების პერიოდთან (1991) შედარებით 1.7 მილიონი ადამიანით შემცირდა. მოსახლეობის ასეთი შემცირება პირდაპირპროპორციულად აისახა ქვეყანაში შექმნილ დამატებულ ღირებულებაზე და მშპ-ის მნიშვნელოვანი შემცირება გამოიწვია. საჭიროა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ პერსპექტივაში არსებობს თეორიული შანსი იმისა, რომ საქართველოში გაუმჯობესდეს მაკროეკონომიკური პარამეტრები, იმ მნიშვნელოვან დანაკლისს რაც ქვეყანამ განიცადა 1991 წლიდან, მოქალაქეების ქვეყნიდან გასვლის გამო, ვერასოდეს ავინაზღაურებთ. მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებს, ის, რომ გაეროს და საქართველოს დემოგრაფიული მდგომარეობის მკვლევარების ნაშრომებით ირკვევა, რომ თუ არ შეიცვალა ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობა, რაც ძირითადად ეკონომიკის გაუმჯობესებაზეა დამოკიდებული, მაშინ უახლოეს ოც წელიწადში ქვეყანაში მცხოვრები ქართველების რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდება, რაც ეროვნული ტრაგედიის ტოლფასი მოვლენა იქნება.

მას შემდეგ რაც გავრცელდა კოვიდვირუსი, გაურესდა მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა და გაიზარდა გარდაცვალების ფაქტებიც. საინტერესო სურათს ვღებულობთ თუ განვიხილავთ კოვიდის გავრცელებამდე და კოვიდის გავრცელების შემდეგ საქართველოში ადამიანების დაბადების და გარდაცვალების მონაცემებს (იხ. ცხრილი 2).

წარმოდგენილი მონაცემებით ირკვევა, რომ 2018 წელს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა. შობადობამ 4614 ერთეულით გადააჭარბა აღნიშნულ პერიოდში დაფიქსირებულ მოკვდავობას. უმნიშვნელო ზრდა დაფიქსირდა ასევე 2019 წელს და მან 1638 ერთეული შეადგინა. 2020 წელს კი მდგომარეობა კარდინალურად შეიცვალა და მოსახლეობის მოკვდავობის მაჩვენებელმა 4017 ერთეულით გადააჭარბა შობადობის მაჩვენებელს. აღნიშნული მონაცემები ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა მნიშვნელოვან ნეგატიურ მონაცემს წარმოადგენს და სასწრაფოდ რეაგირებას საჭიროებს ქვეყნის ცენტრალური, რეგიონული და მუნიციპალური ხელისუფლებების დონეზე, რათა შექმნილმა მდგომარეობამ მომავალ წლებში არ მიიღოს ტენდენციური ხასიათი. 2021 წლის განვლილი პერიოდის (იანვარ-ივლისი) სტატისტიკური მონაცე-

**ცხრილი №1 საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობის მაჩვენებელი (1989-2020 წწ.)**

| № | წელი | მოსახლეობის რაოდენობა მლნ.კაცი | ზრდა/კლება წინა პერიოდთან მიმართებაში |
|---|---|---|---|
| 1 | 1989 | 5.4 | ----- |
| 2 | 1991 | 5.4 | ----- |
| 3 | 1995 | 4.7 | კლება |
| 5 | 2000 | 4.4 | კლება |
| 6 | 2005 | 4.3 | კლება |
| 7 | 2010 | 4.4 | ზრდა |
| 8 | 2012 | 4.6 | ზრდა |
| 9 | 2017 | 3.7 | კლება |
| 10 | 2020 | 3.7 | ზრდა/კლება არ ფიქსირდება |

*წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური*

ცხრილი №2. საქართველოს მოსახლეობის შობადობის და მოკვდავობის მაჩვენებელი ( 2018-2021 წწ)

| № | წლები | დაბადება (ათასი კაცი) | გარდაცვალება (ათასი კაცი) | მოსახლეობის ზრდა + კლება - |
|---|---|---|---|---|
| 1 | 2018 | 51138 | 46524 | +4614 |
| 2 | 2019 | 48296 | 46658 | +1638 |
| 3 | 2020 | 46520 | 50537 | -4017 |
| 4 | 2021 წ (იანვარ-ივლისი) | 25826 | 29811 | -3985 |

*წყარო: სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო*

ცხრილი №3. საქართველოს მოქალაქეების გარდაცვალების მაჩვენებელი ( 2014-2021 წწ)

| **№** | **წლები** | **გარდაცვალება წლიური (ათასი კაცი)** | **გარდაცვალება სა-შუალო დღიური** | **დღიური გარდაცვალების ზრდა + დღიური გარდაცვალების კლება წინა პერიოდთან შედარებით -** |
|---|---|---|---|---|
| 1 | 2014 | 49087 | 134 | --- |
| 2 | 2015 | 49121 | 135 | +1 |
| 3 | 2016 | 50771 | 139 | +4 |
| 4 | 2017 | 47822 | 131 | -8 |
| 5 | 2018 | 46524 | 127 | -4 |
| 6 | 2019 | 46658 | 128 | +1 |
| 7 | 2020 | 50537 | 138 | +10 |
| 8 | 2021 წ (იანვარ-ივლისი) | 29811 | 140 | +2 |

*წყარო: შედგენილია ავტორის მიერ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ინფორმაციაზე დაყრდნობით*

მების ანალიზმა გვიჩვენა, რომ 2020 წელს დაწყებული უარყოფითი ტენდენცია მიმდინარე წელსაც გრძელდება, აღნიშნულ პერიოდში მოქალაქეების გარდაცვალები მაჩვენებელი 3985 ერთეულით აჭარბებს შობადობის მაჩვენებელს. რაც უკვე კრიტიკული მაჩვენებელია და 2021 წლის გასულ 7 თვეში დაფიქსირებული მაჩვენებელი (3985 ადამიანი) თითქმის გაუტოლდა 2020 წლის წლიურ მაჩვენებელს (4017 ადამიანი) (იხ. ცხრილი 3).

წარმოდგენილი მონაცემებით ირკვევა, რომ 2014 წელს საქართველოში საშუალო დღიურმა გარდაცვალებამ შეადგინა 134 ადამიანი, 2015 წელს--135 (ზრდა 1 ადამიანი 2014 წელთან შედარებით), 2016 წელს--139 ადამიანი (ზრდა 4 ადამიანი 2015 წელთან მიმართებაში), 2017 წელს-131 ადამიანი (კლება 8 ადამიანი 2016 წელთან შედარებით), 2018 წელს 127 ადამიანი (კლება 4 ადამიანი 2017 წელთან მიმართებაში), 2019 წელს--128 ადამიანი (ზრდა 1 ადამიანი 2018 წელთან მიმართებაში), 2020 წელს--138 ადამიანი (ზრდა 10 ადამიანი 2019 წელთან მიმართებაში), 2021 წლის განვლილ იანვარ-ივლისის პერიოდში საშუალო დღიურმა გარდაცვალებამ შეადგინა 140 ადამიანი, რაც 2 ერთეულით გაზრდილია 2020 წელს დაფიქსირებულ საშუალო დღიურ მონაცემთან და 12 ერთეულით გაზრდილია 2019 წლის საშუალო დღიურ მონაცემთან მიმართებაში (იხ. ცხრილი 4).

2019-2020 წლების და 2021 წლის იანვარ-ივლისის დღიური გარდაცვალების სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ 2020 წლის ნოემბერში მნიშვნელოვნადაა შეცვლილი გარდაცვალების ყოველდღიური ტრენდი. კერძოდ: 2020 წლის ნოემბერში საშუალო დღიურმა გარდაცვალებამ შეადგინა 200 ადამიანი, ხოლო იმავე წლის დეკემბერში--211 ადამიანი. მოქალაქეთა დღიური გარდაცვალების კუთხით კლების ტენდენცია შეინიშნება 2021 წლის იანვრიდან. კერძოდ: იანვარში საშუალო დღიური გარდაცვალებაა-163 ადამიანი, თებერვალში და მარტში-137 ადამიანი, აპრილში 136 ადამიანი, მაისში-144, ივნისში--134 და ივლისში კი--131 ადამიანი. როგორც ირკვევა 2021 წლის იანვარ-ივლისში, 2019 წლის შესაბამის პერიოდთან (კოვიდამდე არსებული პერიოდი) მიმართებაში მნიშვნელოვანი ზრდაა მოქალაქეების გარდაცვალების კუთხით, ეს ზრდა განსაკუთრებიით შესამჩნევია 2021 წლის მაის-ივლისის პერიოდში.

წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა, რომ კო-

ცხრილი №4. საქართველოს მოქალაქეების გარდაცვალების დღიური მონაცემები კოვიდამდე და კოვიდპანდემიის პირობებში 2019-2021 წწ

| თვე | საშუალო დღიური გარდაცვალება 2019 წ. | საშუალო დღიური გარდაცვალება 2020 წ. | საშუალო დღიური გარდაცვალება 2021 წ (იანვარ-ივლისი) | 2021 წლის (გარდაცვალების ზრდა + გარდაცვალების შემცირება-) შედარება 2019 წლის შესაბამის პერიოდთან |
|---|---|---|---|---|
| იანვარი | 160 | 150 | 163 | +3 |
| თებერვალი | 137 | 148 | 137 | 0 |
| მარტი | 134 | 129 | 137 | +3 |
| აპრილი | 135 | 117 | 136 | +1 |
| მაისი | 130 | 129 | 144 | +14 |
| ივნისი | 123 | 117 | 134 | +11 |
| ივლისი | 111 | 119 | 131 | +20 |
| აგვისტო | 111 | 108 | მონაცემები ჯერ არ არის | |
| სექტემბერი | 107 | 110 | ------------- | |
| ოქტომბერი | 116 | 132 | ------------- | |
| ნოემბერი | 132 | 200 | -------------- | |
| დეკემბერი | 133 | 211 | -------------- | |
| **საშუალო დღიური სულ:** | 128 | 138 | 140 (იანვარ-ივლისის საშუალო დღიური) | |

*წყარო: შედგენილია ავტორის მიერ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ინფორმაციაზე დაყრდნობით*

ვიდპანდემიამდე ძალიან მძიმე იყო საქართველოს მდგომარეობა. პანდემიამ კიდევ უფრო გაართულა და ბუნდოვანი გახადა სამომავლო პერსპექტივა. სწორედ ეს ბუნდოვანი პერსპექტივა ზრდის რისკებს ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობის გაუარესების მიმართულებით, რაც მთლიანობაში ნეგატიურად აისახება ქვეყნის მთლიან ეკონომიკაზე. შექმნილი მდგომარეობა გაზრდის უმუშევრობის და ინფლაციის დონეს, საგარეო ვალის მოცულობას, გამოიწვევს ქვეყნის მწარმოებითი სექტორის დაქვეითებას, ეროვნული ვალუტის გაუფასურებას და გაიზრდება იმპორტირებულ სურსათზე დამოკიდებულების ხარისხი სწორედ გაუარესებული ეკონომიკური მდგომარეობა და შესაბამისი სტრატეგიული გეგმის არ-არსებობაა იმის საფუძველი, რომ გაეროს მონაცემებით, 2050 წლისათვის საქართველოს მოსახლეობა თითქმის 30 %-ით შემცირდება, მაშინ როცა მეზობელი ქვეყნების მოსახლეობის თითქმის 35 %-იანი ზრდა არის პროგნოზირებული. მათ შორის აზერბაიჯანის მოსახლეობა 34 %-ით გაიზრდება, სომხეთის--7 %-ით, თურქეთის მოსახლეობა კი--30 %-ით. აქვე აღსანიშნავია ის, რომ აღნიშნული პროგნოზი გაკეთებული იქნა ჯერ კიდევ კოვიდპანდემიამდე (2020 წლამდე), მაშინ როცა კოვიდპანდემიის დროს მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა და მომავალიც ბუნდოვანი გახდა. შექმნილი მძიმე დემოგრაფიული მდგომარეობა მართლაც არაორდინალურია და შესაბამისი მისაღები ზომებიც არაორდინალური უნდა იყოს.

## რეკომენდაციები და შესაბამისი წინადადებები

1. სასურველია COVID-19-ით გარდაცვალების სტატისტიკური მონაცემების გამოქვეყნებისას მიეთითოს რამდენ პროცენტს შეადგენს კოვიდით გარდაცვლილთა რაოდენობა, საქართველოში დღიურად გარდაცვლილ ადამიანებთან მიმართებაში. ამის მითითების შემდეგ მოქალაქეებს სრული წარმოდგენა შეექმნებათ კოვიდით გარდაცვლილ პირთა რიცხოვნობის შესახებ;

2. არსებული გლობალიზმის პირობებში გავრცელებული მსოფლიო პანდემია უდიდეს საფრთხეს უქმნის განვითარებადი ქვეყნების, მათ შორის საქართველოს დემოგრაფიულ მდგომარეობას. თუ მთავრობამ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან ერთად სწრაფად არ მიიღო კოვიდპანდემიის შედეგად შექმნილი დემოგრაფიული მდგომარეობის გამოსწორების ეროვნული დოქტრინა, მაშინ უახლოეს წლებში მდგომარეობა ამ მიმართულებით კიდევ უფრო გართულდება;

3. გამომდინარე იქედან, რომ ჯერ კიდევ გაურკვეველია როდის დასრულდება მსოფლიო პანდემია (პანდემიის დასრულების პერიოდათ საერთაშორისო ორგამიზაციების მიერ სახელდება 2024 წელი), ამიტომ შეუძლებელია იმის განსაზღვრა, თუ რა მოცულობის იქნება პანდემიის შედეგად მიყენებული ეკონომიკური ზიანის ოდენობა. მოსალოდნელია, ასევე რომ პანდემიამ იცვალოს სახე და ის უფრო დამანგრეველი ფორმით მოევლინოს მსოფლიოს. ამიტომ ქვეყნის ყველა რესურსი (ბუნებრივი, ფინანსური, ინტელექტუალური, მეცნიერული) გამოყენებულ უნდა იქნეს მოქალაქეების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიმართულებით;

4. ქართველი მეცნიერ-მკვლევარების უშუალო მონაწილეობით უნდა მოხდეს არსებული დემოგრაფიული პოლიტიკის მნიშვნელოვანი კორექტირება, რათა გატარდეს ისეთი პოლიტიკა, რომელიც უახლოეს პერსპექტივაში მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ქვეყნის დემოგრაფიულ მდგომარეობას;

5. კოვიდპანდემია დღის წესრიგში აყენებს მსოფლიოს მოსახლეობის ქცევის წესების შეცვლის გარდაუვალ აუცილებლობას, უკვე იკვეთება, რომ მსოფლიო ისეთი ველარ იქნება, როგორც კოვიდპანდემიამდე იყო, ამიტომ საჭიროა მთავრობის, ბიზნეს-სექტორის და საზოგადოების მტკიცე ერთიანობა, რათა ქვეყნის ადათ-წესების და ტრადიციების შენარჩუნების მიზნით შემუშავებულ იქნას ისეთი ერთობლივი გეგმა-პროექტები, რომელთა ცხოვრებაში გატარება სწრაფად გააუმჯობესებს ქვეყნის დემოგრაფიულ მდგომარეობას, ასევე უზრუნველყოფს პანდემიით დაზარალებული ეკონომიკის სექტორების სწრაფ რეაბილიტაციას;

6. „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ" საქართველოს კანონით მეცნიერებათა ეროვნული აკადემია წარმოადგენს მთავრობის მეცნიერულ მრჩეველს, გამომდინარე აქედან მეცნიერებათა აკადემია ვალდებულია სისტემატურად წარუდგინოს მთავრობას შესაბამისი რეკომენდაციები და ეს ხედვა-რეკომენდაციები საჯარო გახდეს მოქალაქეებისთვის;

7. მთავრობამ, მუნიციპალიტეტებთან ერთად დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით უნდა შეიმუშავონ შესაბამისი სტრატეგიები ეკონომიკის სხვადასხვა დარგების განვითარების მიმართულებით. ამ მიზნით სწრაფად უნდა შეიცვალოს დღეს მოქმედი ინფლაციის და საარსებო მინიმუმის გამოთვლის მეთოდოლოგიაც;

8. მთავრობამ სასწრაფოდ უნდა მიიღოს კანონი „სასურსათო უსაფრთხოების შესახებ", რომლის მიღებაც მნიშვნელოვნად უზრუნველყოფს არსებული დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებას;

9. მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები უნდა განხორციელდეს ბაზარზე ჯანსაღი კონკურენციის დამკვიდრების მიმართულებით, რათა სწრაფად შეიცვალოს დღეს არსებული მონოპოლიური გარემო და ბაზრის მოთამაშეებს შორის დამკვიდრდეს ჯანსაღი კონკურენცია;

10. გამომდინარე იქედან, რომ ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება პირდაპირ არის დაკავშირებული ქვეყნის ეკონომიკის ზრდაზე, ამიტომ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, მთავრობის მიერ გატარებულ იქნას ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის აღორძინებაზე ორიენტირებული პოლიტიკა;

11. დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, არსებული უფლებამოსილებების ფარგლებში სწრაფად უნდა გადაიდგას ნაბიჯები ცენტრალურ, რეგიონულ და მუნიციპალურ დონეებზე, რათა შესაბამისი პროექტების შედგენისა და პრაქტიკაში რეალიზების მიზნით განხორციელდეს შესაბამისი აქტივობები.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. www.geostat.ge - სტატისტიკის ეროვნული სამსახური;
2. www.parlamient.ge - საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი;
3. www.moh.gov.ge - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ვებგვერდი;
4. www.gov.ge - საქართველოს მთავრობის ვებგვერდი.

# შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის ეფექტიანობის ტენდენციები ქართულ კომპანიებში



დავით ნიჟარაძე
შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის აფილირებული ასოცირებული პროფესორი, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი

**რეზიუმე**

დასაქმებულთა უსაფრთხო სამუშაო გარემო დიდი გამოწვევის წინაშე აყენებს, თანამედროვე ბიზნესს და ზოგადად ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას, ვინაიდან ადამიანური კაპიტალი ერთ-ერთი უნიკალურ რესურსს წარმოადგენს. შესაბამისად, პერსონალის ჯანმრთელობის უსაფრთხოება პრიორიტეტული საკითხი უნდა იყოს ნებისმიერი ორგანიზაციისთვის, მიუხედევად იმისა, რომ ამ პროცესს ცალკეული საწარმოები შრომის პროდუქტიულობაზე ნეგატიური ზემოქმედების და დანახარჯების ზრდის ფაქტორად განიხილავენ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გარდა საკანონმდებლო ვალდებულებებისა და კოვიდ 19-ით პანდემიით გამოწვეული რისკების ზრდის გათვალისწინებით, საქართველოში მოქმედი კომპანიები დიდი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდონ დასაქმებულთათვის უსაფრთხო სამუშაო კლიმატის უზრუნველყოფას. ამ კუთხით, კრიტიკულად მნიშვნელოვანია ეფექტიანი შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავება და მისი იმპლემენტაცია მართვის ყველა რგოლის მაქსიმალური ჩართულობით, რათა მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი, არასასურველი მოვლენების მოხდენის ალბათობა სამუშაო სივრცეში.

**საკვანძო სიტყვები:** შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა, უსაფრთხო სამუშაო გარემო, პანდემია, შრომის უფლება, არასასურველი მოვლენა, საწარმოო რისკები.

# TRENDS OF LABOR SAFETY POLICY EFFECTIVENESS IN GEORGIAN COMPANIES

**David Nizharadze**
International Black Sea University,
Affiliated Associate Professor, PhD

**SUMMARY**

The safe environment of employees poses a great challenge to modern business and the economic situation of the country in general because human capital is one of the unique resources. Therefore, staff health safety should be a priority for any organization, although this process is viewed by some enterprises as a factor of negative impact on labor productivity and cost growth.

Given the above, in addition to the legal obligations and the increase in the risks posed by the Covid 19 pandemic, companies operating in Georgia must take great responsibility for ensuring a safe working climate for their employees.

In this regard, it is critically important to develop an effective labor safety policy and implement it with maximum involvement of all management bodies to minimize the likelihood of an adverse event in the workplace.

**Keywords:** Occupational Safety Policy, Safe Work Environment, Pandemic, Labor Law, Adverse Event, Industrial Risks.

## ძირითადი ტექსტი

შრომა ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა და მას არაერთი საერთაშორისო დოკუმენტი იცავს. რა თქმა უნდა, საქართველო სავალდებულოდ აღიარებს საკმაოდ ბევრ საერთაშორისო აქტს, რომლებიც უკავშირდება დასაქმებულთა შრომის უფლების დაცვის საკითხებს და საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას. გარდა ამისა, შრომის უფლება მოიცავს დასაქმებასთან დაკავშირებულ უფლებებს, მათ შორის: სამართლიანი, უსაფრთხო და ჰიგიენური შრომის პირობებს, პროფესიული განვითარებას და სხვა ფუნდამენტურ უფლებას [1, 9; 5]. აქედან გამომდინარე, სახიფათო სამუშაო პირობები და არა უსაფრთხო სამუშაო პრაქტიკა დიდ გამოწვევას წარმოადგენს და დასაქმებულთათვის უსაფრთხოების გაუმჯობესება პრიორიტეტი უნდა გახდეს ყველა პასუხისმგებლიანი კომპანიისთვის [3].

შეიძლება ბევრმა კომპანიამ იამაყოს იმით, რომ კარგი დამსაქმებელია, მაგრამ მათი საუკეთესო განზრახვის შემთხვევაშიც კი, ზოგიერთმა ორგანიზაციამ შეიძლება დიდი ზიანი მიაყენოს თანამშრომლების ჯანმრთელო-

ბას და კეთილდღეობას, სამუშაოს არასწორი ორგანიზების გამო. მაგალითად, სამუშაო პირობები და სამუშაო გარემოს მოთხოვნები მრავალი ამერიკელისთვის სტრესის მნიშვნელოვანი წყაროა და ჩატარებულმა კვლევამ დაადგინა, რომ სამუშაოს უსაფრთხო დიზაინს შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს დასაქმებულთა კეთილდღეობაზე და ჯანმრთელობაზე [4].

საქართველოს კანონმდებლობის და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) რეკომენდაციების შესაბამისად, კომპანიის პოლიტიკა სამუშაო გარემოს ჯანმრთელობის და უსაფრთხოების სფეროში უნდა მოიცავდეს ''სამუშაო გარემოს უსაფრთხოების და ჯანმრთელობის მენეჯმენტის სისტემის“ (OSHMS - Occupational Safety and Health Management System) შემუშავებას და მისი ეფექტიანი მართვის მექანიზმებით აღჭურვას. ამ ყოველაფრის საბოლოო შედეგი კი უნდა გახდეს დასაქმებული პერსონალისთვის ჯანმრთელი და უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნა.

გარდა ამისა, ამ კუთხით გასათვალისწინებელია მსოფლიოში, ახალი კორონა ვირუსით (COVID-19) დაინფიცირებული და გარდაცვლილი ადამიანების რაოდენობის დრამატული ზრდა, რაც განურჩევლად ქვეყნისა თუ ბიზნეს სექტორისა, დასაქმებულთა დიდ ნაწილზე უარყოფითად აისახა [6, 117]. COVID-19-ის გავრცელების ასეთი მასშტაბი მნიშვნელოვან ცვლილებებს იწვევს შრომის ბაზარზე, რადგან ამ უკანასკნელის ძირითადი ფუნქცია დაკავშირებულია კომპანიების ადამიანური კაპიტალით უზრუნველყოფასთან [7, 25][5].

კოვიდ-19 პანდემიის საპასუხოდ, სწრაფმა ცვლილებებმა გამოიწვია მაღალი უმუშევრობის დონე, იმოქმედა დასაქმებულთა სამუშაო პირობებზე, ანაზღაურებაზე, და ბიზნესის უწყვეტობაზე, შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის (OSH) რისკებთან დაკავშირებით, განსაკუთრებით დაუცველები კი არაფორმალურად დასაქმებულები აღმოჩნდნენ [2, 7]. მაგლითად, ინდოეთის მასშტაბურ ეკონომიკაში, სადაც 50 მილიონზე მეტი დასაქმებულია წარმოების სფეროში, შესაბამისად, აქ სახიფათო სამუშაო პირობები და არა უსაფრთხო სამუშაო პრაქტიკა დიდ პრობლემას წარმოადგენს. როგორც მოცემული ქვეყნის სტატისტიკა გვიჩვენებს, სამუშაოსთან დაკავშირებული უბედური შემთხვევები რაოდენობრივად მხოლოდ საგზაო ინციდენტებს ჩამორჩება, ამიტომ ინდური ორგანიზაციები ხშირად იღწვიან შრომის უსაფრთხოებისა მოთხოვნების და პროდუქტიულობის დასაბალანსებლად [3].

რაც შეეხება საქართველოს, კომპანიების უმრავლესობაში, შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის საფუძველზე ორგანიზაციის მმართველი ხელმძღვანელობა პასუხისმგებლობას იღებს, აამაღლოს საერთაშორისო პარტნიორების ნდობა ორგანიზაციის მიმართ და ადგილობრივი საკანონმდებლო მოთხოვნების დაცვით მუდმივად გააუმჯობესოს OSHMS-ის სისტემა და მისი ფუნქციონირების ეფექტიანობა, რაც წარმოადგენს ძირითად საფუძველს საწარმოო რისკების, საწარმოო ტრავმების და ინციდენტების შემცირების თვალსაზრისით.

წინამდებარე რაოდენობრივ კვლევაში შევეცადეთ, დაგვედგინა ქართულ კომპანიებში შრომის უსაფრთხო-



**დიაგრამა 1** - გამოკითხულ მომუშავეთა განაწილება მუშაობის სტაჟის მიხედვით



**დიაგრამა 2** - მომუშავეთა განაწილება პროფესიების მიხედვით



**დიაგრამა 3** - ჩატარებული გაქვთ თუ არა ინსტრუქტაჟები შრომის უსაფრთხოებაში?



**დიაგრამა 4** - რამდენად იცავთ შრომის უსაფრთხოების წესებს?



**დიაგრამა 5** - სამუშაო ადგილზე არსებული საფრთხის შემთხვევაში მოქმედების წესები

ების პოლიტიკის კონკრეტული შედეგები, რისთვისაც გამოიკითხა 267 დასაქმებული წარმოების სექტორში.

კვლევის მიზანი იყო გამოგვევლინა შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის ეფექტიანობის ძირითადი ტენდენციები. გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა, რომ მიუხედავად დიდი სტაჟისა, გამოკითხულთა ჩართულობა შრომის უსაფრთხოების საკითხებში, გარდა ჩატარებული სწავლებებისა, არის ძალიან დაბალი. მომუშავეთა უმრავლესობა არ ცნობს კომპანიის შრომის უსაფრთხოების პოლიტიკას და მხოლოდ მცირე ნაწილმა იცის საგანგებო სიტუაციების დროს თუ როგორ იმოქმედოს. ასევე, დასაქმებულებს გაუჭირდათ სამუშაო ადგილის უსაფრთხოების წესების ჩამოთვლა, თუმცა გამოკითხულთა 87% სამუშაო ადგილის უსაფრთხოდ მიიჩნევს და მათ 95 %-ს არ მიუღია საწარმოო ტრავმა. (კვლევის სხვა შედეგები იხილეთ დიაგრამებზე- 1,2,3,4,5.).

კვლევის შედეგების საფუძველზე, მონაწილე კომპანიებს მიეცათ შემდეგი რეკომენდაციები:

1. შრომის უსაფრთოხების პოლიტიკის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით, უზრუნველყონ მენეჯმენტის ყველა რგოლის მაქსიმალური ჩართულობა უსაფრთხო სამუშაო გარემოს ფორმირების პროცესში;

2. პერიოდულად განახორციელონ მომუშავეთა კომპეტენციების შემოწმება შრომის უსაფრთხოების სფეროში;

3. შეფასების საფუძველზე, ინტენსიური სწავლებით კიდევ უფრო გაზარდონ მომუშავეთა ცნობიერება, როგორც ზოგადი უსაფრთხოების ნორმებთან, ასევე მასთან დაკავშირებულ სისტემურ დოკუმენტებთან მიმართებით, ვინაიდან სწორედ კარგად მომზადებული თანამშრომლები ქმნიან მნიშვნელოვან საფუძველს საწარმოში ნულოვანი ინციდენტის მისაღწევად.

## დასკვნა

წინამდებარე სტატიაში მიმოხილულია შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის ეფექტიანობის ზოგადი ასპექტები, გაანალიზებულია მსოფლიო პრაქტიკა ამ მიმართულებით და გამოკვლეულია ქართული კომპანიების ძალისხმევის ცალკეული შედეგები, უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფის მიმართულებით. ასევე, გამოვლენილია შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის ეფექტიანობის ზოგადი ტენდენციები.

საბოლოოდ შეიძლება აღინიშნოს, რომ კომპანიის მიერ მხოლოდ რეგულარული სწავლების პროცესი და გამართული პოლიტიკის დოკუმენტის ფორმირება არ არის საკმარისი, თუ მას არ მოჰყვა დოკუმენტში გაწერილი ღონისძიებების ერთობლიობის ეფექტიანი დანერგვა და მართვის ყველა დონეზე დასაქმებულთა ჩართულობის მაღალი ხარისხი ამ პროცესში, პარალელურად კი ამ უკანასკნელის აღჭურვა შესაბამისი უკუკავშირისა და მონიტორინგის სრულყოფილი მექანიზმებით.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. A Practical Guide to Labor Rights and the Environment, EMC, Green Alternative, Tbilisi, 2015.
2. Anticipate, prepare and respond to crises: Invest now in resilient OSH systems, Geneva: ILO, 2021.
3. Bachu D, Using Design Thinking to Improve Worker Safety in Manufacturing, HBR, 2021, https://hbr.org.
4. Edmondson A.C, Hugander P, 4 Steps to Boost Psychological Safety at Your Workplace. HBR, 2021, https://hbr.org.
5. Gulua, Ekaterine;. (2020). TRENDS, CHALLENGES AND ORIENTATIONS OF HUMAN RESOURCE MANAGEMENT. Innovative Economics And Management, Vol 7 No 1.
6. Nizharadze D, (2021),The impact of the COVID -19 pandemic on human resource management, Economics, N10-12.
7. Nizharadze D, Chokheli E, (2018), Labor market as an important factor to select efficient human resource (The case of Georgia), Proceedings of the VIII International Scientific and Practical Conference Social and Economic Aspects of Education in Modern Society, Warsaw, Poland.

# საგადასახადო რეფორმები და სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები „COVID-19“ პანდემიის პირობებში

**სულიკო ფუტკარაძე**
ტბელ აბუსერიძის სასწავლო
უნივერსიტეტის
ბიზნესის მართვის დოქტორი, პროფესორი

**რამინ ცინარიძე**
შოთა რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ბიზნესის მართვის
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

**მირზა ფუტკარაძე**
შოთა რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო
უნივერსიტეტის დოქტორანტი

**რეზიუმე**

ნებისმიერი სახელმწიფოს ეკონომიკური საფუძველია გადასახადები, რომელიც ქვეყნის ბიუჯეტის ფორმირების ძირითადი ელემენტია. ფორსმაჟორულ სიტუაციებში სახელმწიფო მართვისა და ფისკალური პოლიტიკის ფორმირება დიდად არის დამოკიდებული ქვეყნის ხელისუფლების უნარზე, რომ პირველ რიგში სწორად გამოთვალოს და გამოიყენოს ხარჯებისა და გადასახადების სისტემა. მისთვის მთავარი არაა იმის გაარკვევა, თუ რა განსხვავებაა ცალკეულ გადასახადსა და ნებისმიერ ფონდში შენატანს შორის, არამედ უმთავრესია მათი როგორც საშემოსავლო, ისე ხარჯვით ნაწილში ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრა.

„კორონა-ვირუსის“ კრიზისის პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა საუბარი სახელმწიფოს როლზე ეკონომიკაში - პირველ რიგში ეს ეხება ჯანდაცვის სექტორს თუმცა გარდა ჯანდაცვის სექტორისა, ასევე დღის წესრიგში დადგა გაზრდილი მოთხოვნა სახელმწიფოს მიერ ბიზნესის ხელშეწყობაზე.

ეროვნული და უცხოური გამოცდილება გვიჩვენებს, ყველა საგადასახადო სისტემა არასრულფასოვანია და შეიძლება გაუმჯობესება. ზოგადად არასრულყოფილი, მაგრამ სტაბილური საგადასახდო სისტემა უფრო უკეთესია, ვიდრე სისტემის ფაქტიური არ არსებობა და/ან მასში ხშირი ცვლილებების შეტანა. თუმცა „COVID-19“-ის მასობრივი გავრცელებიდან გამომდინარე ამ ეტაპისათვის განხორციელებული საშეღავათო რეფორმები ბიზნესისა და საზოგადოებისათვის აუცილებელი დანიშნულების აღმოჩნდა.

ქვეყნის ეკონომიკასა და ბიზნესზე პანდემიის გავლენებიდან გამომდინარე წამოჭრილ ურთულეს პრობლემათა გადასაჭრელად ქვეყნის ხელისუფლებამ პერიოდულად განახორციელა საკანონმდებლო ცვლილებები გადასახადის გადამხდელთა საგადასახადო ტვირთის მნიშვნელოვნად და საგრძნობლად შესამსუბუქებლად. ამ ყოველივემ ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე უარყოფითად იმოქმედა, შესაბამისად რეფორმების შედეგად შემცირებული საგადასახადო შემოსავლების კომპენსირებისათვის სახელმწიფოს დამატებითი, ალტერნატიული წყაროებიდან სახსრების მოძიება მოუხდა.




# TAX REFORMS AND STATE BUDGET REVENUES UNDER THE COVID-19 PANDEMIC

**Suliko putkaradze**
Tbel Abuseridze Teaching University Doctor of Business manegment, Professor
**Ramin Tsinaridze**
Batumi Shota Rustaveli State University Doctor of Business manegment, Associate Professor
**Mirza putkaradze**
PHD student of Business Administration, Batumi Shota Rustaveli State University

**RESUME**

The taxes are the economic basis of any country, which are the key-elements at building the country’s budget. The formation of public administration and fiscal policy is highly depended on the ability of the country’s government to correctly calculate and use the system of expenditures and taxes in the force majeure situations. The main thing is not to find out what is the difference between a separate tax and a contribution to any fund, but the most importantly, to determine their economic efficiency in both revenue and expenditure.

In the pandemic times, caused by coronavirus, it became vital to talk about the role of the states in the economy - primarily in the health sector, but in addition to this, there occurred an increased demand for the support to business by the states.

National and foreign experience shows that all tax systems are inadequate and can be improved. A generally imperfect but stable tax system is better than no actual system and / or frequent changes. However, due to the mass distribution of "COVID-19", the preferential reforms implemented at this stage turned out to be necessary for business and society.

To address the most pressing problems posed by the pandemic impact on the country's economy and business, the country's government has periodically implemented legislative changes to significantly and substantially alleviate the tax burden of taxpayers.

All this had a negative impact on the revenue side of the budget, so the state had to raise funds from additional, alternative sources to compensate for the reduced tax revenues as a result of the reforms.

## საკვლევი პრობლემის აქტუალობა

საზოგადოებრივი სექტორის (სახელმწიფოს) უნარი, შექმნას ერთობლივი მოხმარების საქონელი ან მოახდინოს გადანაწილება, დამოკიდებულია იმ შემოსავლებზე, რომელსაც იგი ფლობს. ამ შემოსავლების ძირითადი წყაროა სხვადასხვა საგადასახადო თუ არასაგადასახადო შემოსავლები. უფრო ზოგადად თუ ვიტყვით, ეს შემოსავლები ყალიბდება საგადასახადო შემოსავლებით და საგადასახადო ადმინისტრირებით. გადასახადები ჩვენს შემთხვევაში წარმოდგენილია ფართო გაგებით. რომელიც მოიცავს შემოსავალთა ყველა იმ სახეს, რომელიც აკუმულირდება სახელმწიფოს მიერ რეგულარულად საკანონმდებლო იძულებითი უფლების საფუძველზე. საზოგადოებრივი სექტორის უმნიშვნელოვანეს ამოცანას ხშირად საგადასახადო შემოსავლების სპეციფიკის, სახეებისა და ფორმირების ხერხების, გადასახადების ეროვნულ მეურნეობაზე გავლენისა და საგადასახადო სისტემის ოპტიმიზაციის შესწავლა წარმოადგენს.

ნებისმიერი სახელმწიფოს ფუნქციონირება, მისი განვითარება და უსაფრთხოება ფინანსურ რესურსზეა დამყარებული, სახელმწიფოს მთავარი ფინანსური დოკუმენტი კი ბიუჯეტია. ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის სწორად განსაზღვრა განაპირობებს პრიორიტეტების დაფინანსების ისეთ განაწილებას, რომელიც წარმოადგენს ეკონომიკის ზრდის მოტივატორი და იმავდროულად იგი სოციალური ფონის გაუმჯობესების ერთ-ერთი მთავარი ელემენტია. ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის დაგეგმვა თავისთავად დამოკიდებულია საბიუჯეტო შემოსულობებზე, რომელთაგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი საგადასახადო შემოსავლებია. „COVID-19" პანდემია თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე რთული გამოწვევაა სახელმწიფოს კი განვითარების ნებისმიერ ეტაპზე სჭირდება ბიუჯეტის იმგვარი დაგეგმვა, რომ შეძლოს გადასახადის გადამხდელისგან ამოიღოს გადასახადი, იმ ოდენობითა და ზომით, რომ ერთდროულად შეძლოს ბიუჯეტის შემოსულობების ოპტიმალური შევსება და ასევე საგადასახადო ტვირთის მინიმუმამდე დაყვანა გადამხდელთა მოტივირებისათვის. ყოველივე ზემოთ ხსენებული ერთის მხრივ დინამიური პროცესია, იგი მიუხედავად ხშირი კვლევისა განიცდის ცვლილებას, ხოლო მეორეს მხრივ მსგავსი კრიზისები და პოსტკოვიდური პერიოდი რთულად მართვადი და არაპროგნოზირებადია, რაც განაპირობებს ახალი კვლევის აუცილებლობას და შესაბამისად წინამდებარე ნაშრომის აქტუალობას უსვამს ხაზს.

## კვლევის მიზანი

კვლევის მიზანია „COVID -19" პანდემით გამოწვეული კრიზისულ პერიოდში ბიუჯეტის შემოსულობების ფორმირებისა და საბიუჯეტო შემოსულობებში გადასახადების ფორმირება-გაანგარიშების პროცესი, პანდემიის პირობებში საბიუჯეტო და საგადასახადო კანონმდებლობის, სტატისტიკური მონაცემებისა და სახელმწიფოს მიერ გატარებული საშეღავათო ღონისძიებების ანალიზის საფუძველზე წარმოჩენილ იქნეს არსებული ვითარება გადასახადებით საბიუჯეტო შემოსულობების შევსების კუთხით, დასახულ იქნეს ამოცანები აღნიშნული პროცესის გაუმჯობესებისა და სრულყოფისათვის.

## კვლევის მეთოდები

კვლევისას გამოყენებულია თვისობრივი, რაოდენობრივი და სტატისტიკური მეთოდები. კვლევის ძირითადი ინსტრუმენტია კონკრეტული ქეისების განხილვა. საბოლოოდ მონაცემების სიზუსტისათვის გამოყენებულია შეგროვებითი, პროგნპზირების, ანალიზისა და შედარებითი მეთოდები.

სახელმწიფო ბიუჯეტი ფინანსური დოკუმენტია, რომელსაც ამტკიცებს პარლამენტი კანონის სახით, რომლითაც განსაზღვრება სხვადასხვა სახის ღონისძიებების დაფინანსება მისი შემოსულობების მიხედვით. ბიუჯეტის სხვადასხვა დონის ერთობლიობა ქმნის საბიუჯეტო სისტემას, რომელშიც გაერთიანებულია ყველა დონის საბიუჯეტო შემოსავლები. საბიუჯეტო სისტემის ყველა დონის ფულადი სახსრების მობილიზაცია ხდება სახელმწიფო საბიუჯეტო ანგარიშზე, რომლითაც სახელმწიფო ხელისუფლება ახდენს სხვადასხვა სახის პროექტების დაგეგმვას, რომელიც შემდგომში დამატებითი შემოსავლის მიღებისა და სახელმწიფოს ეკონომიკის განვითარების მთავარი წინაპირობაა.

ქვეყნებს ესაჭიროებათ ფულადი რესურსები შიდა სახელმწიფოებრივი და სახელმწიფოთა შორისი პოლიტიკის გასატარებლად, იმ შიდა საკითხების და პრობლემების გადასაწყვეტად, რომელიც ცდება კერძო საკუთრებას და საჭიროებს სახელმწიფოს რეგულირებას. აღნიშნული ფულადი სახსრების ძირითადი მობილი-

**დიაგრამა №1. ბიუჯეტის შემოსავლები 2006-2021 წლებში (მლნ ლარი)**




*წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო*
***შენიშვნა: 2021 წლის ბიუჯეტის შემოსავლების მაჩვენებელი გეგმიური მაჩვენებელია.***

ზების წყაროს ქვეყნების ადგილობრივ და ცენტრალურ ბიუჯეტებში წარმოადგენს გადასახადები.

ისაა ყველა ქვეყნის ბიუჯეტის ფორმირების მთავარ წყარო, თუმცა ის არ არის ბიუჯეტის შევსების ერთადერთი წყარო. ბიუჯეტის შევსება ასევე ხდება სხვა არასაგადასახადო შემოსავლებითაც. სახელმწიფოს არსებობის ყველა ეტაპზე გადასახადი ყოველთვის და ყველგან მთელი საზოგადოების სოციალურ - ეკონომიკურ სფეროს მოიცავდა.

მსოფლიო ისტორიაში ვერ მოიძებნება ისეთი სახელმწიფო, რომ გადასახადების გარეშე შეძლოს არსებობა. შეუძლებელია სახელმწიფომ შეძლოს თავისი საქმიანობის და ქვეყნის ეკონომიკის განვითარების განხორციელება გადასახადების გარეშე. სახელმწიფოს არსებობისთვის ის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. გადასახადი ეხმარება სახელმწიფოს თავისი ფუნქციების განხორციელებასა და მოსახლეობის ეკონომიკური კეთილდღეობის განვითარებაში. თუმცა, ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი რომ, მსოფლიოში ჯერ კიდევ ვერც ერთმა ქვეყანამ პრაქტიკულად ვერ შექმნა იდეალური, სრულყოფილი, ჩამოყალიბებული, სრულყოფილად მწყობრი და მოწესრიგებული საგადასახადო სისტემა.

საგადასახადო სისტემის სრულყოფასთან დაკავშირებული საკითხები საქართველოს ეკონომიკური განვითარების პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი საკითხია. მხოლოდ გამართული და თანადროული სოციალ-ეკონომიკური პირობების შესატყვისი საგადასახადო სისტემის ფორმირების პირობებშია შესაძლებელი ქვეყნის ეკონომიკური ზრდა, მდგრადი ეკონომიკური განვითარების მიღწევა, წარმოების განვითარება და ქვეყნის წინაშე არსებული სოციალური პრობლემების გადაწყვეტა.

მეტი სიცხადისათვის განვიხილოთ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ბოლო 5 წლის მონაცემები (იხ. ცხრილი №1 და დიაგარამა №1), საიდანაც ირკვევა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებს შორის უმნიშვნელოვანესი ნაწილი სწორედ გადასახადებს უჭირავს და იგი პრაქტიკულად სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების თითქმის 90 პროცენტს შეადგენს.

აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ რომ ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტი უმეტესწილად სწორედაც რომ გადასახადებით ივსება. 2016

**ცხრილი № 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის წლიური მონაცემები (მლნ.ლარი)**

| წელი | 2016 | 2017 | 2018 | 2019 | 2020 |
|---|---|---|---|---|---|
| შემოსავლები | 8580,0 | 9750,3 | 10595,6 | 10675,0 | 10490,4 |
| გადასახადები | 7986,8 | 8991,3 | 9695,9 | 9665,6 | 9364,8 |
| გრანტები | 296,8 | 289,9 | 339,4 | 420,2 | 409 |
| სხვა შემოსავლები | 296,4 | 469,1 | 560,3 | 589,2 | 716,6 |
| ბიუჯეტის მთლიანი სალდო-პროფიციტი (+), დეფიციტი (-) | -577,9 | -496,0 | -759,3 | -1463,4 | -4264,3 |

*(წყარო: ცხრილი აგებულია ჩვენს მიერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემებზე დაყრდნობით )*

წლიდან 2019 წლამდე მონაცემების მიხედვით შემოსავლების ტენდენცია მზარდია, რაც იმაზე მიუთითებს იმაზე, რომ აღნიშნულ პერიოდში ქვეყნის ეკონომიკამ განიცადა აღმასვლა. 2019 და 2020 წლის საბიუჯეტო შემოსულობებში გადასახადებიდან მიღებული შემოსავლების შემცირების მიზეზი სწორედ „COVID-19" პანდემიის შედეგად ეკონომიკური კრიზისი და ის საგადასახადო-საშეღავათო რეფორმებია, რომელიც ეკონომიკის შენარჩუნება-სტიმულირებისთვის იქნა გატარებული.

„COVID-19" პანდემიის დროს განხორციელებული საგადასახადო რეფორმები ქვეყნის ეკონომიკისა და საზოგადოებისათვის პრევენციულ-პრეფერენციული მექანიზმი აღმოჩნდა, მაგრამ გადასახადის გადახდა აუცილებელია საზოგადოების თითოეული წევრისთვის, რადგან იგი ექვემდებარება საზოგადოებისთვის უკან დაბრუნებას, თუმცა არაფულადი ფორმით არამედ მომსახურების სახით.

გადასახადის გადახდა საზოგადოების მიერ სახელმწიფოსთვის არის თითოეული წევრისთვის გაწეული მომსახურების ფასი. სწორედაც ამიტომ არის მნიშვნელოვანი ქვეყანაში გადასახადების არსებობა, რათა მოხდეს სახელმწიფოს ფუნქციონირება და ეკონომიკური განვითარება. სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარება პირდაპირ აისახება მოსახლეობის კეთილდღეობაზე. ძლიერი სახელმწიფო ნიშნავს ძლიერ, ეკონომიკურად მდიდარ საზოგადოებას. სწორედ ჩვენს ქვეყნის მოსახლეობის მთავარ ინტერესს უნდა წარმოადგენდეს გადასახადების გადახდა სახელმწიფოსთვის, რადგან ის არაპირდაპირად მოქმედებს ჩვენს ყოველდღიურ კეთილდღეობაზე.

თუ მოვიშველიებთ სახელმწიფო სექტორში მსოფლიო მასშტაბით შემოსავლებზე (გადასახადებზე) დამოკიდებულებას, გარკვეული კანონზომიერება ჩანს. კერძოდ ეკონომიკურად მაღალგანვითარებულ ქვეყნებში ჭარბობს პირდაპირი გადასახადებით მიღებული შემოსავლები, ხოლო საშუალო სუსტად განვითარებულ ქვეყნებში ირიბი გადასახადი. „გადასახადების მოცულობა შიგა ეროვნული პროდუქტის მოცულობასთან პროცენტობით შეადგენს: იაპონიაში - 20-22%, საბერძნეთში - 22-24%, ავსტრალიაში - 30%, აშშ - 30%, იტალიაში - 33-34%, კანადაში - 35%, გერმანიაში - 35-36%, საფრანგეთში - 35-37%, დიდ ბრიტანეთში - 35-37%, ბელგიაში - 38-39%, ნორვეგიაში - 40-42%, შვეციაში - 43-45%, ნიდერლანდებში - 45%, საქართველოში კი 13-14%-ს არ აღემატება" **[1:382].**

რამდენადაც სახელმწიფო სექტორი საზოგადოებრივი პროდუქტის (საქონლის თუ მომსახურებისთვის) შექმნისთვის ახდენს ფულადი თანხების მობილიზაციას, იგი ისე უნდა იქნას წარმართული, რომ ერთის მხრივ არ დაზარალდეს გადამხდელი, ხოლო მეორეს მხრივ, ყოველ გადასახადს ჰქონდეს თავისი კონკრეტული მიზანი, მათ შორის სხვადასხვა ფონდში მიზნობრივი შენატანსაც. მსოფლიოში ახალი კორონალური ვირუსის - „COVID-19"-ის მასობრივი გავრცელებიდან გამომდინარე, ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ პანდემიის წინააღმდეგ საბრძოლველად გამოცხადებული შესაბამისი რეაგირებების მიზნით, ჩვენს ქვეყანაში წარმოშობილი გამოწვევის გათვალისწინებით, საქართველოს ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილებით საგანგებო მდგომარეობის მოქმედების ვადით შეიზღუდა საქართველოს კონსტიტუციის II თავით გათვალისწინებული რიგი უფლებები, რომლის შესაბამისადაც გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, ქვეყანაში მასობრივად შეიზღუდა გარკვეული ეკონომიკური საქმიანობების განხორციელება.

აღნიშნულიდან გამომდინარე ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი პირების საქმიანობის უწყვეტობის შესანარჩუნებლად დღის წესრიგში დადგა გადასახადის გადამხდელებისთვის საგადასახადო ტვირთის შემსუბუქების აუცილებლობა და შესაბამისი საგადასახადო შეღავათის შემოღება, გადასახადის გადამხდელეთა ერთი ნაწილისათვის გადასახადების გადახდის ვადების გადავადება, საბაჟო პროცედურების გამარტივება.

ქვეყნის ეკონომიკასა და ბიზნესზე პანდემიის გავლენებიდან გამომდინარე წამოჭრილ ურთულეს პრობლემათა გადასაჭრელად ქვეყნის ხელისუფლება პერიოდულად ანხორციელებდა საკანონმდებლო ცვლილებებს გადასახადის გადამხდელთა საგადასახადო ტვირთის მნიშვნელოვნად და საგრძნობლად შესამსუბუქებლად.

საქართველოს 2020 წლის 22 მაისის (5971-სს) კანონით საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად საქართველოს ფინანსთა მინისტრს, შემოსავლების სამსახურის უფროსს უფლება მიეცათ ცალკეულ გადასახადის გადამხდელებისათვის გაუგრძელებინათ 2020 წელს გადასახდელი საშემოსავლო ან/და ქონების გადასახადების გადახდის ვადები, რომლის შესაბამისადაც გადასახადის გადამხდელს აღნიშნულ გადავადებულ პერიოდში შესაბამისი საურავები არ დაერიცხათ.

ამასთანავე, დამქირავებელი გათავისუფლდა დაქირავებული ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადის გადახდისაგან. აღნიშნულის შედეგად, ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელ პირების შეუმსუბუქდათ საგადასახადო ტვირთი, რამაც ფაქტობრივად ხელი შეუწყო ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი პირების საქმიანობის უწყვეტობას და სამუშაო ადგილების შენარჩუნებას.

აღნიშნული კანონის შესაბამისად საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლში დაემატებით შეტანილი 112 - 114-ე ნაწილების შესაბამისად: „2020 წლის 1 მაისიდან 6 კალენდარული თვის განმავლობაში, დამქირავებელი უფლებამოსილია შეამციროს (ბიუჯეტში არ გადაიხადოს) დაქირავებულისთვის გასაცემად დარიცხულ 750 ლარამდე ხელფასიდან დაკავებული და გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი, თუ დაქირავებულის მიერ ამავე დამქირავებლისგან კალენდარული თვის განმავლობაში მიღებული ხელფასი 1500 ლარს არ აღემატება. აღნიშნული შეღავათი არ ვრცელდება საბიუჯეტო ორგანიზაციებზე, საქართველოს ეროვნულ ბანკზე, ეროვ-

ნულ მარეგულირებელ ორგანოზე, საწარმოზე, რომლის აქციების(წილის) 50%-ზე მეტს ფლობს სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტი,აგრეთვე ამავე საწარმოს დაფუძნებულ(შვილობილ) საწარმოზე, თუ ეს საწარმო მის მიერ დაფუძნებულ(შვილობილ) საწარმოში აქციების(წილის) 50 პროცეტზე მეტს ფლობს;

აღნიშნული კანონის შესაბამისად 2020 წლის 1 მარტიდან 6 კალენდარული თვის (საანგარიშო) პერიოდის განმავლობაში ქონების იჯარის(ლიზინგის) მომსახურება დღგ-ით იბეგრება შესაბამისი მომსახურების საკომპენსაციო თანხის(თანხის ნაწილის) ფაქტობრივად გადახდის საანგარიშო პერიოდში.“ **(8: მუხლი 309, 112 ნაწილი)**

საგადასახადო კოდექსში განხორციელებულ ზემოთ აღნიშნულ პრევენციათა გათვალისწებით საგადასახადო ორგანოსთვის არასწორი ინფორმაციის მიწოდების პრევენციის მიზნით, რაც პრაქტიკულად გამოიწვევდა ქვეყანაში ახალი კორონავირუსის გავრცელებასთან დაკავშირებით დაქირავებულთათვის საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული კომპენსაციის უსაფუძვლო გაცემას, ამავე კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული იქნა დამქირავებლის დაჯარიმება, აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე გაცემული კომპენსაციის ორმაგი ოდენობით. აღნიშნული სანქციის შეფარდებას განახორციელებს შემოსავლების სამსახური.

ქვეყანაში ახალი კორონავირუსის „COVID-19“-ის გავრცელების მასშტაბების მკვეთრი ზრდის თავიდან აცილების აუცილობლობიდან გამომდინარე, გამოიკვეთა გადასახადის გადამხდელთა საჩივრების დისტანციურად განხილვის მიზანშეწონილობა, ვინაიდან აუცილებელი გახდა სოციალური დისტანცირება და ადამიანთა შეკრების მაქსიმალური აღკვეთა, ხოლო მეორეს მხრივ კი გადამხდელთა ინტერესი, რომ დროულად შეძლონ დარღვეული ან კიდევ სადავოდ ქცეული უფლებების რეალიზება, ხოლო თავის მხრივ დავის განმხილველი ორგანოების ინტერესს წარმოადგენს ის, რომ კანონმდებლობით დადგენილ ვადაში უზრუნველყონ გადასახადის გადამხდელთა საჩივრების დროული განხილვა და მათზე შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება. აღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოს 2020 წლის 14 ივლისს კანონით (№6817) საქართველოს საგადასახადო კოდექსში დამატებით განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად საგადასახსდო კოდექსის შესაბამის მუხლში დამატების შესაბამისად შესაძლებელი გახდა, გადასახადის გადამხდელმა დისტანციურად, დავის განმხილველ ორგანოში მისვლის გარეშე მიიღონ მონაწილეობა საჩივრის განხილვის პროცესში.

აღნიშნული კანონის შესაბამისად კიდევ ექვსი თვით, კერძოდ - 2020 წლის 1 დეკემბრიდან 2021 წლის მაისის თვის ჩათვლით, გაგრძელდა საშემოსავლო გადასახადში დაწესებულიზემოთ აღნიშნული შეღავათის მოქმედება. აღნიშნული საგადასახადო შეღავათი შეეხო 42 ათასზე მეტ კომპანიაში დასაქმებულ 550 ათასზე მეტ პირს. საგადასახადო შეღავათის ოდენობამ საშემოსავლო გადასახადში 270 მილიონი ლარი შეადგენა, ასევე 2020 წლის 1 დეკემბრიდან 2021 წლის მაისის ჩათვლით (ექვსი) კალენდარული თვის განმავლობაში გაგრძელდა ქონების იჯარის(ლიზინგის) მომსახურების დღგ-ით დაბეგვრის შესაძლებლობა შესაბამისი თანხის ფაქტობრივად გადახდის საანგარიშო პერიოდში. აღნიშნული ცვლილებით კომპანიებს შეუწყო ხელ თავიდან აერიდებინათ დამატებითი საგადასახადო ვალდებულებების წარმოქმნა, რასაც მანამდე მოქმედი რეგულაციები ითვალისწინებდა და იგი მეტად მძიმე ტვირთად დააწვებოდა მათ ფინანსურ მდგომარეობას.

საქართველოს 2021 წლის 5 იანვრის (83 - II რს -Xმპ) კანონით საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად კი, „2021 წლის ქონების გადასახადის გადახდის ვალდებულებისაგან გათავისუფლდნენ პირები, რომლებიც ეწევიან ეკონომიკური საქმიანობის სახეების საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის“ (სეკ 006-2016) კოდებით (ტურისტული სექტორი, სასტუმროები, რესტორნები და სხვა) გათვალისწინებულ საქმიანობას. აღნიშნული საგადასახადო შეღავათი შეეხო 1000-ზე მეტ კომპანიას, სადაც დასაქმებულია 30 ათასზე მეტი პირი. ცვლილებით საგადასახადო შეღავათის ოდენობამ ქონების გადასახადში შეადგენა 45 მილიონი ლარი. ამასთანავე, აღნიშული საქმიანობის განმახორციელებელ პირებს (ტურისტული სექტორი, სასტუმროები, რესტორნები და სხვა), უფლება მიეცათ ბიუჯეტში არ გადაიხადონ საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 114-ე ნაწილის შესაბამისად გადავადებული საშემოსავლო გადასახადი, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მათი ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელების უწყვეტობასა და სამუშაო ადგილების შენარჩუნებაში.“ **(8: მუხლი 309: 114 ნაწილი)**

აღნიშნული საგადასახადო შეღავათი შეეხება 1000 - მდე კომპანიას, სადაც ფაქტობრივად დასაქმებულია 40 ათასამდე პირი. აღნიშნული საგადასახადო შეღავათის მოცულობა საშემოსავლო გადასახადში 20 მილიონ ლარს შეადგენს.

განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად ასევე შეიქმნა დამატებითი შესაძლებლობა, ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ბაკურიანში, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფელ გუდაურში, ხულოს მუნიციპალიტეტში მდებარე კურორტ გოდერძიზე და მესტიის მუნიციპალიტეტის დაბა მესტიაში განლაგებულ სასტუმროებს, საურავის დარიცხვის გარეშე, გადაუვადდეთ 2020 წლის ნოემბრის და დეკემბრის საშემოსავლო გადასახადის გადახდის ვადა 2021 წლის 1 ივლისამდე. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ №322 დადგენილების მე-6 მუხლის 7 1 პუნქტის შესაბამისად, ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ბაკურიანში, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფელ გუდაურში, ხულოს მუნიციპალიტეტში მდებარე კურორტ გოდერძიზე და მესტიის მუნიციპალიტეტის დაბა მესტიაში არსებული სასტუმროების საქმიანობა დაიშვა მხოლოდ საკარანტინე სივრცეების მოწყობის მიზნით.

გადასახადის გადავადება დადგენილ საგადასახადო შეღავათთან ერთად აღნიშნულ პერიოდში დაეხმარება კომპანიებს შეინარჩუნონ თანამშრომლები. აღნიშნული საგადასახადო შეღავათი შეეხება 100-ზე მეტ კომპანიას და გადავადებული გადასახადის ოდენობა შეადგენს 0,5 მილიონ ლარს.

ამავე კანონის მიღების შედეგად 2023 წლამდე იმპორტისას დღგ-ით დასაბეგრი თანხის (საქონლის ღირებულება საბაჟო მიზნებისთვის) გაანგარიშება განხორციელდება მასში დამატებით კომპონენტების (იმპორტთან დაკავშირებული საფასურები, თანმდევი ხარჯები და სხვა) შეტანის გარეშე, რაც მიზნად ისახავს საბაჟო პროცედურების შემდგომ გამარტივებას.

კორონავირუსის პანდემიამ ეკონომიკის სხვა დარგების პარალელურად არანაკლებ უარყოფითი გავლენა მოახდინა ავტოინდუსტრიაზე. დროული და ადეკვატური ცვლილება განხორციელდა ავტოსატრანსპორტო საშუალებების გაფორმების კუთხითაც. საწყის ეტაპზე, 2020 წლის მარტში მიღებული გადაწყვეტილებით, ავტო იმპორტიორებს პირველ აპრილამდე შემოყვანილი ავტომობილების გაფორმების (60+30) დღიანი ვადა 2020 წლის პირველ სექტემბრამდე გადაუვადდათ. ამ შეღავათით 38000-მდე ავტომობილის მფლობელმა პირმა ისარგებლა და გადავადებული გადასახადის ოდენობამ შეადგინა 50 მლნ ლარი.

შემდეგ ეტაპზე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს გადაწყვეტილების თანახმად, ავტო იმპორტიორებს საგადასახადო შეღავათის არეალი კიდევ გაეზარდათ, კერძოდ, 2020 წლის პირველ მაისამდე შემოყვანილი ავტომობილების გაფორმების ვადა პირველ მარტამდე გახანგრძლივდა. აღნიშნული ცვლილების ამოსავალი საფუძველი ის გახლდათ, რომ გარკვეული რაოდენობის ავტომობილების იმპორტი (შეძენილი პანდემიამდე არსებულ პერიოდში) ვერ განხორციელდა 2020 წლის პირველ აპრილამდე პერიოდში. აღნიშნული გადავადებით შეღავათი გაეწია 24000-ზე მეტ ავტომობილის მფლობელ პირს, ხოლო გადავადებული გადასახადის ოდენობა შეადგენს 35 მლნ ლარს.

ბოლო ეტაპზე კი 2019 წლის 1 ოქტომბრიდან 2020 წლის 1 მაისამდე პერიოდში შემოყვანილი სატრანსპორტო საშუალებების მფლობელებს საბაჟო გაფორმების ვადა 2021 წლის 1 ივნისამდე გაუხანგრძლივდათ. აღნიშნული ცვლილება არ შეეხო იმ შემთხვევებს, როდესაც დარღვეულია ამ სატრანსპორტო საშუალების რეექსპორტში დეკლარირების შემდეგ დანიშნულების საბაჟო გამშვებ პუნქტამდე მიტანის ვადა. აღნიშნული შეღავათით დაახლოებით 19 000 ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელმა ისარგებლა. **[11:3]** შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით სატრანსპორტო საშუალების მფლობელები გათავისუფლდნენ საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული საურავისგან.

ეს ცვლილება რომ გონივრული იყო, ამაზე მეტყველებს ავტომობილების გაყიდვების სტატისტიკა, ყველაზე მკვეთრი შემცირება 2020 წლის მე-2 (-47.9% წ/წ) და მე-4 კვარტლებში (- 21.0% წ/წ) დაფიქსირდა, როდესაც პანდემიასთან დაკავშირებული მკაცრი შეზღუდვები მოქმედებდა. საინტერესო ის იყო, რომ 2020 წელს ავტომობილების გადაყიდვები მკვეთრად შემცირდა (-18% წ/წ), ავტომობილებზე საშუალო ფასებმა მხოლოდ 5%-ით დაიკლო, ზოგიერთ ბრენდზე კი ფასები პირიქით, გაიზარდა.

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, გადასახადის გადამხდელს, რომელსაც 2021 წლის 17 მაისის მდგომარეობით წარმოშობილი ქონდა, აღიარებულო ან არაღიარებული საგადასახადო დავალიანება, შესაძლებლობა მიეცა, გადასახადის ძირითადი თანხის გადახდის პირობით სრულად შეეემცირებინა დარიცხული ჯარიმა-საურავები. 2021 წლის 01 აგვისტოს მონაცემებით, საგადასახადო შეთანხმების გაფორმების შესახებ, შემოსავლების სამსახურს ორიათასზე მეტმა გადამხდელმა მიმართა.

აღნიშნული შეღავათით სარგებლობის მიზნით, გადასახადის გადამხდელს მიმდინარე წლის 1 აგვისტომდე უნდა მიემართა შემოსავლების სამსახურისთვის საგადასახადო შეთანხმების გაფორმების მოთხოვნით და 2021 წლის 31 დეკემბრამდე უნდა განახორციელოს საგადასახადო შეთანხმებით განსაზღვრული თანხის ბიუჯეტში გადახდა.

ამასთან, სანქციების შემცირება ხორციელდება ძირითადი გადასახადის სრულად გადახდის პირობით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ძირითადი გადასახადი მთლიანი საგადასახადო დავალიანების (ძირითადი გადასახადისა და სანქციების ჯამის) 30%-ზე ნაკლებია, ამ შემთხვევაში გადასახადის გადამხდელი ვალდებულია გადაიხადოს მთლიანი საგადასახადო დავალიანების სულ მცირე 30%.

აქვე აღვნიშნავთ, რომ საქართველოს მთავრობის ინიციატივა შეეხო ყველა გადასახადის გადამხდელს, მათ შორის იმ გადამხდელებსაც, რომელთა მიმართაც მიმდინარეობდა საგადასახადო დავა ფინანსთა სამინისტროსა და სასამართლოს სისტემაში.

ჯარიმა-საურავების პატიების შესახებ, გადაწყვეტილება ერთჯერადად აღსრულდება და მიზნად ისახავს გლობალური პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური სირთულეების დაძლევას.

ეს ცვლილება, რომელიც ადმინისტრირების ნაწილში ჯარიმისა და საურავის ცვლილებას ეხება, განსხვავდება მანამდე მოქმედი კეთილსინდისიერი გადამხდელის მექანიზმისაგან. კერძოდ, „საქართველოს საგადასახადო კოდექსი ნაწილობრივ მაინც ითვალისწინებს ასეთ გარემოებას შემოაქვს კეთილსინდისიერი გადამხდელის ცნება. საგადასახადო ორგანოს, დავის განმხილველ ორგანოს უფლება აქვს გაათავისუფლოს კეთილსინდისიერი გადამხდელი კანონმდებლობით გათვალისწინებული სანქციისაგან. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ კოდექსის 269-ე მუხლის ეს ნაწილი ითვალისწინებს სამართალდამრღვევი გადამხდელისათვის უკვე დაკისრებული სანქციისაგან განთავისუფლებას ნაწილობრივ ან სრულად, რასაც გარკვეული პროცედურების გავლა

და შესაბამისი ორგანოში დასაქმებულ პირთა კეთილი ნება სჭირდება“. **[12 : 34]**

საქართველოს პარლმენტში საქართველოს 2020 წლის სახელწიფო ბიუჯეტის შესრულების თაობაზე სახელმწიფო აუდიტის დასკვნის შესაბამისად, ქვეყანაში 2020 წელს ეკონომიკურმა კლებამ 6,2 პროცენტი შეადგინა, რაც 2,2 პროცენტით ნაკლებია სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ საპროგნოზო მაჩვენებელზე (-4.0%). ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობამ 49,4 მილიარდ ლარს გაუტოლდა და ის 0,3 პროცენტით ჩამორჩა პროგნოზს. ქვეყანაში საშუალო წლიურმა ინფლაციამ 5,2 პროცენტი შეადგინა მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა მთლიანი შიდა პროდუქტის12,3 პროცენტი შეადგინა (-1,9 მილიარდი აშშ დოლარი), რაც 35 პროცენტით აღემატება საპროგნოზო მაჩვენებელს (8,8 პროცენტი). მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის ზრდა ძირითადად „COVID 19“-ის პანდემიის პირობებში ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების მნიშვნელოვანმა შემცირებამ გამოიწვია (83.4 პროცენტით). 2020 წელს სახელმწიფო ბიუჯეტში მობილიზებული შემოსულობების მოცულობამ 18 მლრდ ლარი (გეგმის 97.9 პროცენტი) შეადგინა და 2.1 პროცენტით ჩამორჩა 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით დაგეგმილ მაჩვენებელს. 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელები 16.2 მილიარდ ლარს გაუტოლდა (გეგმის 101.6 პროცენტი) და ფაქტობრივად 1.6 პროცენტით გადააჭარბა დაგეგმილ მაჩვენებელს. ქვეყნის 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში სხვადასხვა დაშვებების საფუძველზე შემუშავებულ საბაზო, პესიმისტურ და ოპტიმისტურ სცენარებში გათვალისწინებული მაკროეკონომიკური აგრეგატების ფაქტობრივ მაჩვენებლებთან შესაბამისობის ანალიზი მიუთითებს, რომ ქვეყნის 2020 წელს ეკონომიკური მოვლენები ძირითადად არასახარბიელო და პესიმისტური სცენარით განვითარდა.

საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების თაობაზე საქართველოს პარლამენტში წარდგენილ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენებაში, აუდიტის სამსახური ხაზგასმით მიუთითებს მნიშვნელოვანი სისტემური ხასიათის საკითხებზე, კერძოდ კი იმაზე რომ, პანდემიით გამოწვეული ნეგატიური შოკიდან გამომდინარე ქვეყანაში ფაქტობრივად შეიქმნა ახალი ეკონომიკური რეალობა, მიუხედავად იმისა რომ, ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში განხორციელებული ცვლილებისას პრაქტიკულად არ განახლებულა „ფისკალური რისკების ანალიზის დოკუმენტი“. ქვეყანაში 2020 წელს საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისა და რეცესიის ფონზე, ამოქმედდა „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ ორგანული კანონით განსაზღვრული გამონაკლისი შემთხვევა და ქვეყნის ბიუჯეტის დეფიციტის მაჩვენებელი დადგენილ ზღვარს - 3.0 პროცენტს ზევით დაიგეგმა. უაღრესად საყურადღებოა, ის გარემოებაც რომ, წლის ბოლოს კანონმდებლობით დაწესებულ ლიმიტს პრაქტიკულად გადააჭარბა როგორც ბიუჯეტის დეფიციტის, ასევე ვალის მართვის წესის მაჩვენებელმა. კერძოდ კი - ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტმა 9.0 პროცენტი (4.5 მილიარდი ლარი) შეადგინა და პროგნოზირებულ მაჩვენებელს 0.7 პროცენტით, ხოლო საქართველოს შესაბამისი ორგანული კანონით დადგენილ ლიმიტს 6.0 პროცენით გადააჭარბა. ამასთან, ბოლო წლების განმავლობაში ქვეყანაში 2020 წელს პირველად დაფიქსირდა უარყოფითი საოპერაციო სალდო, რომელმაც 328 მილიონი ლარი შეადგინა. **[10]**

ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციით, ვალის წესის მაჩვენებელმა 60.8 პროცენტი შეადგინა და რეკორდულ მაჩვენებელს 30 მილიარდ ლარს მიაღწია და მან ფაქტობრივად 0.8 პროცენტით გადააჭარბა ორგანული კანონით დადგენილ 60 პრიცენტიან ზღვარს. საყურადღებოა, რომ აღნიშნული მაჩვენებელი არ მოიცავს ყველა PPP პროექტიდან მომდინარე და სამთავრობო სექტორად დაკლასიფიცირებული საწარმოების ვალდებულებებს. აღნიშნული კომპონენტების გათვალისწინებით კი, ვალის წესის მაჩვენებელი პრაქტიკულად 62 პროცენტამდე იზრდება.

ამასთანავე არსებითია ის გარემოებაც რომ, 2020 წლის ბოლოს არსებული მდგომარეობით, მთავრობის ვალის ნაშთის 79.1 პროცენტი სწორედ საგარეო ვალი წარმოადგენს. პანდემიისა და არსებული გეოპოლიტიკური გამოწვევების ფონზე, ვალის მოცულობა განსაკუთრებით მოწყვლადია ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების მიმართ. აღნიშნული კი თავის მხრივ ზრდის ვალის წესის მაჩვენებლის 60%-იან ზღვარზე არსებულთან შედარებით უფრო მეტად გადაჭარბების რისკის თვალსაზრისით. საყურადღებოა, რომ მთავრობის ვალის მოცულობა 2020 წელს 2019 წელთან შედარებით 48.9%-ით (9.7 მილიარდი ლარით) გაიზარდა. ვალის ზრდა პრაქტიკულად განაპირობა, როგორც დამატებითი სესხების აღებამ, ისე ლარის გაცვლითი კურსის ცვლილებამ. ვალის ზრდაში ეროვნული ვალუტის გაუფასურების ეფექტი ფაქტობრივად 4 მილიარდ ლარს (41 პროცენტს) შეადგენს, ახალი სესხების აღების ეფექტი კი 5.7 მილიარდ ლარს (59 პროცენტს შეადგენს).

მთავრობის ვალის პორტფელისათვის მზარდია ასევე საპროცენტო რისკი, რაც საკრედიტო პორტფელში ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხების წილის ზრდაში გამოიხატება.

ვალთან დაკავშირებით, ასევე აღსანიშნავია, რომ ბიუჯეტის კანონზე თანდართულ „მთავრობის ვალის მდგრადობის ანალიზის დოკუმენტში“ ასახული სცენარების ანალიზი ეფუძნება ვალდებულებების არასრულ მოცულობას. კერძოდ კი, დოკუმენტი არ ითვალისწინებს „საჯარო და კერძო თანამშრომლობის“ (PPP) პროექტებიდან მომდინარე ვალდებულებებს, სამთავრობო სექტორად დაკლასიფიცირებული სახელმწიფო საწარმოების ვალდებულებებს, საჯარო კორპორაციებად დაკლასიფიცირებული საწარმოებიდან მომდინარე პირობით ვალდებულებებსა და პრივატიზაციის კომპონენტს. ვალის მოცულობის ზრდის ფონზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი მდგრადობის სრულფასოვანი ანალიზი, რისი საშუალებითაც შეფასდება მთავრობის

შესაძლებლობა მოემსახუროს ვალდებულებებს საშუალო და გრძელვადიან პერიოდში. {4}

უაღრესად მნიშვნელოვანი და საყურადღებოა ის, რომ ვალის წესის ორგანული კანონით განსაზღვრულ 60 პროცენტიან ზღვარზე გადაჭარბების მიუხედავად, ქვეყანაში ამ დრომდე არ განახლებულა მთავრობის ვალის მართვის სტრატეგია, რომელიც ვალის მდგრადობის უზრუნველყოფისა და კანონმდებლობით დადგენილი ნიშნულის ფარგლებში ვალის წესის მაჩვენებლის დაბრუნების ძირითადი ხედვის დოკუმენტად უნდა იქცეს.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, არსებული ეკონომიკური ტენდენციების გათვალისწინებით, კრიზისის სხვადასხვა სცენარის განვითარების შემთხვევაში მეტად მნიშვნელოვანია რომ, ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს თან ახლდეს იმის დეტალური ანალიზი და ხედვა, თუ რა ღონისძიებებისა და მიდგომების გამოყენებით მოხდება ქვეყნის საშუალოვადიან პერიოდში ბიუჯეტის დეფიციტისა და ვალის წესის მაჩვენებლების ორგანული კანონით განსაზღვრული ლიმიტების ფარგლებში დაბრუნება.

უკანასკნელი წლების მსგავსად, 2020 წლის ბოლოს ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების მოცულობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. მხოლოდ დეკემბერში დახარჯული თანხის ოდენობამ 2,3 მილიარდი ლარი და მთლიანი გადასახდელების 13.9 პროცენტი შეადგინა. აღნიშნულის შედეგად, დეკემბერში ათვისებულმა ასიგნებებმა 11 თვის გადასახდელების საშუალოთვიურ მაჩვენებელს 78.2 პროცენტით გადააჭარბა.

„COVID 19“-ის პანდემიამ გამოიწვია 2020 წლის განმავლობაში სახელმწიფო პროგრამებს და ქვეპროგრამებს შორის თანხების გადანაწილების საჭიროება, ამასთან ერთად გარკვეულწილად შეაფერხდა ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების განხორციელება, რაც შედეგად მათზე გამოყოფილი ასიგნებების ათვისების დაბალ მაჩვენებლებში გამოიხატა. საბიუჯეტო ორგანიზაციების ჭრილში კი გამოვლინდა ბიუჯეტის დაგეგმვასა და შესრულებასთან დაკავშირებული ისეთი შემთხვევებიც, რომლებიც საბიუჯეტო რესურსების მართვის არაეფექტიანობით იყო განპირობებული, რაც პრაქტიკულად, ხარჯთაღრიცხვის ცვლილების საჭიროებაში ან კიდევ დაბალი ათვისების მქონე პროგრამებისა და ქვეპროგრამების არსებობაში გამოიხატა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესწავლით საინვესტიციო პროექტების ანალიზის შედეგად გამოვლინდა პროექტები, რომლებიც თვისობრივად შესაბამისობაშია „საინვესტიციო პროექტების მართვის გზამკვლევით“ განსაზღვრულ საინვესტიციო პროექტის კრიტერიუმებთან, თუმცა „კაპიტალური პროექტების დანართში“ ასახული არ არის.

ასევე, 2020 წელს, სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში განხორციელებული ცვლილებისას, კაპიტალური პროექტების მნიშვნელოვან ნაწილს შეეცვალა დაფინანსება. მაგრამ, აღნიშნულის შესაბამისად არ მომხდარა „კაპიტალური პროექტების დანართის“ განახლება, რაც ფაქტობრივად გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების კუთხით არსებულ ნაკლოვანებას წარმოადგენს:

➢ აუდიტის სამსახურის ანგარიშში ყურადღება მახვილდება იმ გარემოებაზე რომ, განმახორციელებელი უწყებების მიერ საინვესტიციო პროექტების დაგეგმვის პროცესში არსებული ნაკლოვანებები, ხშირ შემთხვევაში იწვევს პროექტის გეგმების არსებით ცვლილებებს. შესაბამისად აღნიშნულისა დაგეგმვის ეტაპზე არსებული ნაკლოვანებები თავის მხრივ, პროექტების განხორციელების პროცესზე ახდენს უარყოფით გავლენას, რაც პროექტების ფარგლებში აუთვისებელი რესურსის, ან კიდევ ფაქტობრივი ხარჯის გეგმაზე მნიშვნელოვანი გადაჭარბებაში გამოიხატება;

➢ აუთვისებელი თანხები განსაკუთრებით საყურადღებოა ისეთი საინვესტიციო პროექტებისთვის, რომლებიც ფინანსდება საგარეო საკრედიტო რესურსით და ითვალისწინებს ვალდებულების გადასახადის გადახდას სესხის აუთვისებელ ნაწილზე. 2020 წელს საგარეო წყაროებიდან მოზიდული საინვესტიციო კრედიტების ფარგლებში ჯამურად გადახდილმა ვალდებულების გადასახადმა 9.6 მილიონი ლარი შეადგინა. აქედან, 70 პროცენტზე დაბალი ათვისების 9 საინვესტიციო პროექტის შემთხვევაში, გადახდილია 3.3 მილიონი ლარი. {7}

2020 წელს „COVID 19“-ის პანდემიის პრევენციისა და მისი შედეგების სალიკვიდაციოდ, ბიუჯეტის კანონში შესული ცვლილებით დაიგეგმა დამატებით 5.6 მლრდ ლარის მობილიზება. ფაქტობრივად მიღებულმა თანხამ 5.1 მილიარდი ლარი შეადგინა (ჩამორჩენა განაპირობა საგარეო კრედიტების გეგმით გათვალისწინებულზე ნაკლები თანხების მობილიზებით). პანდემიის საპასუხოდ გასატარებელი კონკრეტული 8 ღონისძიების პაკეტის მოცულობა 3.5 მილიარდი ლარით განისაზღვრა, ფაქტობრივად დახარჯულმა თანხამ კი 3.2 მილიარდი ლარი შეადგინა.

საყურადღებოა, სსიპ-ების და ა(ა)იპ-ებს საკუთარი შემოსავლებისა და ხარჯების გეგმურ და ფაქტობრივ მაჩვენებლებს შორის არსებული გადახრების სიხშირეები და მასშტაბი, რაც რიგ შემთხვევებში პრაქტიკულად სისტემატურ ხასიათს ატარებდა. აღნიშნულის გათვალისწინებით, უაღესად მნიშვნელოვანი იქნება რეალისტური პროგნოზების განსასაზღვრად, შესაბამისი უწყებების მხრიდან ყურადღება გამახვილდეს ბიუჯეტის დაგეგმვის საწყის ეტაპებზე:

❖ 2020 წელს სახელმწიფო ბიუჯეტში 34 სსიპ-ებისა და ა(ა)იპ-ების მიერ ჯამურად მიიმართა 51.6 მილიონი ლარი. საყურადღებოა, რომ 9 ორგანიზაციის მიერ არ მომხდარა კანონმდებლობით განსაზღვრული თანხის ბიუჯეტში მიმართვა, ჯამურად 14.6 მილიონი ლარის ოდენობით. მათგან კი, 5 უწყების შემთხვევაში ადგილი ჰქონდა წლის ბოლოს ნაშთის დაგროვებას, ჯამში 8 მილიონი ლარის ოდენობით;

❖ სსიპ-ებისა და ა(ა)იპ-ების მიერ კომერციულ ბანკებში განთავსებული ვადიანი დეპოზიტების მოცულობა - 216 მილიონი ლარი 2020 წლის ბოლოს მათ მფლობელობაში არსებულ ჭარბი ოდენობით ფულადი რესურსის

არსებობაზე მიუთითებს. აღნიშნულიდან გამომდინარე კი, აუდიტის დეპარტამენტს მიზანშეწონილად მიაჩნია, გამოუყენებელი ფულადი სახსრები დროულად იქნეს მიმართული სახელმწიფო პროდუქტებისა და სერვისების შექმნის ან კიდევ მათი გაუმჯობესების მიმართულებით.

რაც შეეხება სახელმწიფო ვალს, 2020 წლის ბოლოს მისმა მოცულობამ ფაქტობრივად 30,8 მილიარდი ლარი შეადგინა და პრაქტიკულად ბიუჯეტის კანონით დადგენილ ზღვრულ მაჩვენებელს 28.4 მილიარდ ლარს - 8.6 პროცენტით - 2,4 მილიარდი ლარით გადააჭარბა. აღნიშნული გამოიწვია როგორც საგარეო ვალის დაგეგმილთან შედარებით 2,3 მილიარდი ლარით მეტით ზრდამ, ასევე საშინაო ვალის ზღვრულ მაჩვენებელზე 179 მილიონი ლარით გადაჭარბებამ.

საყურადღებოა, რომ გასული წლებისგან განსხვავებით, 2020 წელს ბიუჯეტის მხარდამჭერი სესხების მოცულობა მნიშვნელოვნად, 2.4 მილიარდი ლარით აჭარბებს საინვესტიციო კრედიტების ოდენობას და მთლიანი მოცულობის 73 პროცენტს შეადგენს. საინვესტიციოსგან განსხვავებით, ბიუჯეტის მხარდამჭერ სესხებს წინასწარ განსაზღვრული მიზნობრიობა არ გააჩნიათ და ძირითადად გამოიყენება მიმდინარე საჭიროებების დასაფინანსებლად. 2020 წელს მობილიზებული ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტების მნიშვნელოვანი ნაწილი ფაქტობრივად მოხმარდა პანდემიის საპასუხოდ გასატარებელი ღონისძიებების დაფინანსებას.

სახელმწიფო ბიუჯეტის შიდა რესურსებიდან გაცემული სესხების ანალიზით დადგენილია გაცემული სესხების მართვის ეფექტიანობასთან დაკავშირებული ხარვეზები. 2020 წლის ბოლოს არსებული მდგომარეობით, ვადაგადაცილებაშია 90 სესხი, რომლებზეც რიცხული დავალიანება - 405.4 მილიონი ლარიდან, 53 პროცენტს პირგასამტეხლო წარმოადგენს, ხოლო 40 პროცენტი სესხის ძირი თანხა. აღნიშნული სესხების მდგომარეობა კი პრაქტიკულად წლიდან წლამდე თითქმის უცვლელი რჩება. შესაბამისად აღნიშნულისა, მნიშვნელოვანია, განხორციელდეს სესხების მიმდინარე პორტფელის მდგომარეობის შეფასება და ანალიზი, რის საფუძველზეც გატარდეს ქმედითი ღონისძიებები ვადაგადაცილებული სესხების რესტრუქტურიზაციის მიზნით.

პროგრამული ბიუჯეტის მომზადებისა და ანგარიშგების პროცესში შეინიშნება სისტემური ხასიათის ნაკლოვანებები, რაც ართულებს პროგრამების ეფექტიანობის შეფასებას. 2020 წელს მიღწეული შედეგების შეფასების ინდიკატორების 23 პროცენტში გამოვლინდა სისტემური ხასიათის ხარვეზები. აღნიშნულიდან გამომდინარე არსებითად მნიშვნელოვანია საბიუჯეტო ორგანიზაციების მუშაობა გაგრძელდეს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების უზრუნველსაყოფად.

2020 წელს მსოფლიოში ახალი კორონა ვირუსის („COVID 19“) მასიური გავრცელების პირობებში მსოფლიო ეკონომიკური განვითარების ტენდენცია მნიშვნელოვნად შეცვალა, პანდემიამ და მასთან დაკავშირებულმა ეკონომიკურმა რეცესიამ, თავისი გავლენა მოახდინა ასევე საქართველოს ეკონომიკური პარამეტრების პროგნოზებზე და ქვეყნის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის, როგორც საშემოსავლო, ასევე ხარჯვით ნაწილებზე. საქართველოს ხელისუფლების მიერ 2020 წლის 21 მარტიდან 2020 წლის 22 მაისამდე გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის ფონზე შეიზღუდა მთელი რიგი ეკონომიკური საქმიანობები, ქვეყანაში ჯანმრთელობის დაცვის და ვირუსით ინფიცირებულთა დიაგნოსტირება - მკურნალობისათვის საჭირო ხარჯებთან ერთად, მოსახლეობის სოციალური დაცვისა და ბიზნესის ხელშესაწყობად აუცილებელი გახდა მთელი რიგი მაშტაბური ღონისძიებების გატარება. „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონიდან გამომდინარე,საგანგებო მდგომარეობის პირობებში, პანდემიის წინააღმდეგ საბრძოლველად სხვადასხვა აუცილებელი და გადაუდებელი ხარჯების დროული და შეუფერხებლი დაფინანსების უზრუნველყოფის მიზნით, ქვეყნის მთავრობა იძულებული შეიქმნა ემოქმედა კანონმდებლობით განსაზღვრული ფისკალური პარამეტრების ზღვრების მიღმაც კი.

საქართველოს მთავრობამ ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით 2020 წლის მარტის დასაწყისშივე პარარელურ რეჟიმში დაიწყო მუშაობა ერთის მხრივ ქვეყნის 2020 წლის ბიუჯეტის მიხედვით გათვალისწინებული პროგრამების შემცირებაზე და მეორეს მხრივ საერთაშორისო პარტნიორებისგან დამატებითი რესურსების მოზიდვაზე.

ქვეყანაში პანდემის გავრცელების მოსალოდნელი სცენარებიდან გამომდინარე, ქვეყნის ეკონომიკის სავარაუდო ვარდნის გათვალისწინებით აქტიური მოლაპარაკებები და კონსულტაციები დაიწყო საერთაშორისო სავალუტო ფონდთან, რომელთანაც განიხილებოდა ის მოსალოდნელი შედეგები, რომლებიც შესაძლებელიყო დამდგარიყო როგორც ჩვენი, ისე ჩვენი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკაში პანდემიის პირობებსი არსებული ტენდენციების შედეგად. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე მომავალში ქვეყნის შესაძლო მოსალოდნელი დანაკლისებისა და საჭირო დამატებითი ხარჯების გათვალისწინებით საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ერთად ჩამოყალიბდა და დამატებით განისაზღვრა საბაზისო პარამეტრები, რომელზეც უნდა დაფუძნებულიყო საქართველოს 2020 წლის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტი ცვლილებების განხორციელების შემდგომ.

აღნიშნულ გარემოებებთან ერთად უაღრესად მნიშვნელოვანი გარემოებას წარმოადგენდა ისიც რომ, ამავე პერიოდში წარმატებით დასრულდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) მე-6 მიმოხილვა, რომელიც საქართველოს მდგრადი ფისკალური პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ინდიკატორი გახდა, როგორც სხვა დონორებთან ურთიერთობისას, ისე უცხოელ ინვესტორთათვის.

საერთაშორისო სავალუტო ფონდთან არსებულ წარმატებულ პროგრამასთან ერთად, გასულ წლებში საქართველოში არსებული მაკროეკონომიკური სტაბი-

ლურობა და ფისკალური დისციპლინა გახდა უმნიშვნელოვანესი წინაპირობა იმისა, რომელმაც შესაძლებლობა მისცა ქვეყნის ხელისუფლებას უმოკლეს დროში საერთაშორისო ინსტიტუტებთან მიეღწია შეთანხმებისათვის ქვეყნისთვის დამატებით 1,5 მლრდ აშშ დოლარის გამოყოფის თაობაზე.

საერთაშორისო სავალუტო ფონდთან შეთანხმებული ჩარჩო მთლიანობაში ითვალისწინებდა ქვეყნის რეალური მშპ-ს შემცირებას 4,0 პროცენტით, შემოსავლების დანაკლისს 1,7 მლრდ ლარზე მეტით, საქართველოს 2020 წლის ბიუჯეტში მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების შემცირებას 600.0 მლნ ლარამდე და საქართველოს მთავრობის ანტრიკიზისული გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების დამატებით დასაფინანსებლად საჭირო რესურსის მოძიებას 3,4 მლრდ ლარამდე. ყოველივე აღნიშნულთა შედეგად ქვეყნის 2020 წლის ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტის საპროგნოზო მაჩვენებელი 8.5%-ით განისაზღვრა.

საქართველოს 2020 წლის ნაერთი ბიუჯეტის აღნიშნული დეფიციტის ნაწილობრივ დაფინანსების მიზნით, ქვეყნის მთავრობის მიერ 2020 წლის მარტიდან მნიშვნელოვნად შეიზღუდა ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი, შესაბამისად აღნიშნულისა საქართველოს 2020 წლის ნაერთი სახელმწიფო ბიუჯეტის ცვლილებით მაქსიმალურად შემცირდა ადმინისტრაციული, წარმომადგენლობითი და მივლინების ხარჯები, სპეციალიზებული დაწესებულებების გარდა მნიშვნელოვნად შეცირდა საწვავის ხარჯები, მაქსიმალურად შეიზღუდება ვაკანსიების შევსება და საპრემიო რესურსი. სახელმწიფო ბიუჯეტის მიმდინარე ხარჯების ნაწილში ადმინისტრაციულ ხარჯებთან ერთად შეცირდება ყველა ის პროგრამა, რომელთა არგანხორციელება ან/და დროში გადაწევა მნიშვნელოვნად არ დააზიანებდა შესაბამის სექტორს, ბუნებრივი ფაქტორების (პანდემიიდან გამომდინარე შეზღუდვების გათვალისწინებით) შეიზღუდა კულტურული, სპორტული და ტურიზმის მიმართულებით დაგეგმილი ღონისძიებები, ასევე გადაიხედა 2020 წლისათვის გათვალისწინებული განათლების რეფორმის ზოგიერთი მიმართულება. კაპიტალური პროექტების ნაწილში შემცირება ძირითადად შეეხო ტურისტულ ინფრასტრუქტურას, ასევე იმ პროექტებს, სადაც იმპორტის ხვედრითი წილი განსაკუთრებით მაღალი იყო. ყოველივე ზემოთ აღნიშნულთა გათვალისწინების შედეგად საქართველოს 2020 წლის ნაერთი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი ჯამურად ფაქტობრივად შემცირდა 600 მილიონმდე ლარის ოდენობით.

„COVID 19"-ის პანდემიის გავრცელებამ თავის მხრივ ასევე მნიშვნელოვანდ უარყოფითი გავლენა მოახდინა როგორც კერძო სექტორზე, ასევე ქვეყნის მოსახლეობის სოციალურ - ეკონომიკურ მდგომარეობაზეც, რომლიდანაც გამომდინარე ფაქტობრივად ასევე აუცილებელობა შეიქმნა დამატებითი რესურსების მოძიებისა, როგორც ბიზნესის ხელშესაწყობად, ისე ქვეყნის მოსახლეობის დასახმარებლად, აგრეთვე, „COVID 19"-ის ეპიდემიის გავრცელების პრევენციისა და დაავადებულ მოქალაქეთა ეფექტური მკურნალობისთვის. ყოველივე აღნიშნულისათვის ქვეყნის საჭირო დამატებითმა ხარჯებმა კი პრაქტიკულად დაახლოებით 3,4 მილიარდ ლარი შეადგინა.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულთა გათვალისწინებით, ქვეყანაში „COVID 19"-ის პანდემიიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის ანტიკრიზისული გეგმის შესაბამისად საქართველოს 2020 წლის 24 ივნისისა და საქართველოს 2020 წლის 29 დეკემბრის კანონებით „„საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად ქვეყნის ნაერთ ბიუჯეტში დამატებითი აისახა ხარჯები:

- იმ მოქალაქეების დახმარებისთვის, რომლებიც დაქირავებით დასაქმებულთა კატეგორიას განეკუთვნებიოდნენ და დაკარგეს ხელფასი, 6 თვის განმავლობაში 200 ლარიანი დახმარების გასაწევად გათვალისწინებულია 450,0 მლნ ლარი;
- სამუშაო ადგილების შენარჩუნების მიზნით დაწესებული საშემოსავლო გადასახადის შემცირება - 250,0 მლნ ლარი (ასახულია საშემოსავლო გადასახადის მაჩვენებლებში);
- თვითდასაქმებულთა ერთჯერადი 300 ლარიანი დახმარებებისთვის - 75,0 მლნ ლარი;
- მოსახლეობის კომუნალური ხარჯების სუბსიდირებისთვის - 170,0 მლნ ლარი;
- 65-დან 100 ათას სოციალურ სარეიტინგო ქულამდე მყოფი ოჯახების დახმარება (ოჯახის წევრების რაოდენობის შესაბამისად) 6 თვის განმავლობაში - 48,0 მლნ ლარი;
- 100 ათას სოციალურ სარეიტინგო ქულამდე მყოფი მრავალშვილიანი ოჯახების 100 ლარიანი დახმარება 6 თვის განმავლობაში - 13,0 მლნ ლარამდე;
- მკვეთრად გამოხატული შშმ პირების და შშმ ბავშვების 100 ლარიანი დახმარება 6 თვის განმავლობაში - 24,0 მლნ ლარი;
- StopCoV ფონდის ანგარიშზე მობილიზებული თანხა - 133,5 მლნ ლარი (ასახულია როგორც სხვა შემოსავლების, ისე ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის მაჩვენებლებში);
- საკარანტინო სივრცეებით მომსახურების ანაზღაურებისა და ფრენების სუბსიდირებისთვის - 45,0 მლნ ლარი;
- ვირუსის გავრცელების პრევენციისა და ჯანდაცვის ხარჯებისთვის - 285,0 მლნ ლარი;
- ჯანდაცვის ინფრასტრუქტურის მზადყოფნის გაუმჯობესებისთვის 60,0 მლნ ლარი;
- საკრედიტო-საგარანტიო სქემის დასაფინანსებლად - 330,0 მლნ ლარი;
- სასტუმროების საპროცენტო ხარჯის სუბსიდირებისთვის - 70,0 მლნ ლარი;
- ტურისტული ობიექტების ქონების გადასახადისგან გათავისუფლება - 45,0 მლნ ლარი (ასახულია საგადასახადო შემოსავლებში);
- მცირე გრანტების გასაცემად - 20,0 მლნ ლარი;

**ცხრილი №2. საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები ვალდებულებების ზრდისა და დონორების გრანტების გარეშე (მლნ ლარი)**

| დასახელება | დამტკიცებული გეგმა | განახლებული პროგნოზი | დანაკლისი | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|
| გადასახადები | 12 305,0 | 10 760,0 | -1 545,0 | განახლებულ პროგნოზში გათვალისწინებული არ არის ანტიკრიზისული გეგმის შესაბამისად დაწესებული საშემოსავლო გადასახადის შეღავათი 250,0 მლნ ლარი |
| გრანტები | 65,0 | 50,0 | -15,0 | დონორების დაფინანსების გარდა გრანტებში აისახება მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტის 35-ე მუხლის შესაბამისად სსიპ-ების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში მიმართული სახსრები |
| სხვა შემოსავლები | 990,0 | 853,0 | -137,0 | განახლებულ პროგნოზში გათვალისწინებული არ არის StopCoV ფონდში მობილიზებული 133,5 მლნ ლარი და დამატებით მობილიზებული რესურსების დეპოზიტებზე განთავსების შედეგად მისაღები 53,5 მლნ ლარი |
| პრივატიზაცია | 230,0 | 150,0 | -80,0 | |
| სესხების დაბრუნება | 115,0 | 75,0 | -40,0 | |
| სულ ჯამი | 13 705,0 | 11 888,0 | -1 817,0 | |

*წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო*

• სამშენებლო სექტორის მხარდაჭერა (მათ შორის დევნილთა სახლების გაზრდილი შესყიდვები) – 40,0 მლნ ლარი;

• სოფლის მეურნეობის სექტორის ხელშეწყობა - 139,0 მლნ ლარი;

• დღგ-ს დამატებით დაბრუნებისთვის - 600,0 მლნ ლარი (ნაწილობრივ დაბრუნდება ამ მიზნებისთვის არსებულ ანგარიშზე არსებული ნაშთიდან, ხოლო ნაწილი ასახულია საგადასახადო შემოსავლების მაჩვენებლებში);

• კომერციული ბანკებისთვის ლარის გრძელვადიანი ლიკვიდობის შესაქმნელად - 600,0 მლნ ლარი (აისახა საშინაო ვალისა და დეპოზიტების მაჩვენებლებში).“ **{6-7}**

უნდა აღინიშნოს, რომ კრიზისულ ეტაპზე გეგმაზომიერი ღონისძიებების ეფექტიანობის მნიშვნელოვანი განმაპირობებელი ფაქტორია საჯარო ფინანსების მართვის არსებული ჩარჩო და საბიუჯეტო სისტემის მოქნილობა. „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი ითვალისწინებს საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემთხვევებში ფისკალურ ზღვრებთან დაკავშირებულ სპეციფიკურ რეგულაციებს. წლიური ბიუჯეტის კანონის დაზუსტების მექანიზმებმა კი ხელი შეუწყო საჭირო რესურსების მობილიზებისათვის ასიგნებების გადანაწილებას, რის შედეგადაც საბიუჯეტო პროცესი შეუფერხებლად ხორციელდებოდა სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში ცვლილების შეტანამდე.

ეკონომიკური პარამეტრების გაუარესებიდან გამომდინარე მნიშვნელოვნად მცირდება ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობები და განსაკუთრებით საგადასახადო შემოსავლების მაჩვენებელი.

2019 წლის ნოემბერში (2020 წლის ბიუჯეტის საბოლოო ვარიანტის მომზადების დროს) არსებული პროგნოზის საფუძველზე შემუშავებული 2020 წლის საგადასახადო შემოსავლების გეგმა შეადგენდა 12,3 მლრდ ლარს, თუმცა 2019 წელს გადაჭარბებით მიღებული შემოსავლებიდან გამომდინარე, ეკონომიკური პარამეტრების უცვლელობის პირობებში მოსალოდნელი იყო გეგმის 300,0 მლნ ლარით გადაჭარბებით შესრულება და საგადასახადო შემოსავლების სახით 12,6 მლრდ ლარზე მეტის მობილიზება.

პანდემიის შედეგად გაუარესებული პარამეტრების გათვალისწინებით კი, ფაქტობრივად მნიშვნელოვნად შემცირდა 2020 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები (იხ. ცხრილი №2). როგორც ცხრილიდან ჩანს, ეკონომიკური პარამეტრების გაუარესების შედეგად ნაერთი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შემცირება მოსალოდნელი იყო 1,8 მილიარდი ლარით.

გასათვალისწინებელია, რომ 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ცვლილებების პროექტის წინამდებარე ვარიანტი არსებითად არ შეცვლილა საქართველოს პარლამენტისათვის პირველად წარდგენილ ცვლილებების პროექტთან მიმართებაში. წარმოდგენილი




კანონის პროექტში ასახულია ძირითადად ტექნიკური ხასიათის ცვლილებები და წარმოდგენილია დამატებითი დანართები, მათ შორის საქართველოს პარლამენტისა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად პროექტს თან ახლავს დამატებით:

ა) ოპტიმისტური და პესიმისტური სცენარები და მათი აღწერა;

ბ) ვალის მდგრადობის ანალიზი (DSA) და ინფორმაცია ვალის შესახებ;

გ) ინფორმაცია საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის რეკომენდაციების გათვალისწინებასთან დაკავშირებით;

დ) პროგრამული ბიუჯეტის დანართი.

განახლებული მაკროეკონომიკური პარამეტრების მიხედვით რეალური ეკონომიკური ზრდის პროგნოზი უარყოფითია და შეადგენს -4 პროცენტს. მთლიანი შიდა პროდუქტის დეფლატორი 4,8%-ს, სამომხმარებლო ფასების ინდექსის საშუალო წლიური მაჩვენებელი 4,7%-ს, ხოლო წლის ბოლოსთვის 3,5%-ს შეადგენს.

ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელი შეადგენს 50,3 მლრდ ლარს, ნაცვლად გასული წლის დეკემბრის პროგნოზით არსებული 53,1 მლრდ ლარისა.

ამრიგად, დემოკრატიულ საზოგადოებაში გადასახადების არსებობისა და გამართულობის საფუძველია გადასახადის გადამხდელთა მოთხოვნილება საზოგადოებრივ დოვლათზე და მოსახლეობის მიერ შემოსავლების გადანაწილების პრინციპის აღიარება. თუმცა რეალურ ცხოვრებაში სახელმწიფო ამ მისიას სრულიად, უნაკლოდ ვერ ასრულებს. საზოგადოებრივი სექტორის (სახელმწიფოს) უნარი, შექმნას ერთობლივი მოხმარების საქონელი ანდა მოახდინოს გადანაწილება, დამოკიდებულია იმ შემოსავლებზე, რომელსაც იგი ფლობს. ამ შემოსავლების ძირითადი წყაროა სხვადასხვა საგადასახადო თუ არასაგადასახადო შემოსავლები. გადასახადები მოიცავს შემოსავალთა ყველა იმ სახეს, რომელიც აკუმულირდება სახელმწიფო ბიუჯეტში სახელმწიფოს მიერ რეგულარულად საკანონმდებლო იძულებითი უფლების საფუძველზე. საზოგადოებრივი სექტორის უმნიშვნელოვანეს ამოცანას ხშირად საგადასახადო შემოსულობების სპეციფიკის, სახეებისა და ფორმირების ხერხების, გადასახადების ეროვნულ მეურნეობაზე გავლენისა და საგადასახადო სისტემის ოპტიმიზაციის შესწავლა წარმოადგენს.

საგადასახადო სისტემის სრულყოფასთან დაკავშირებული საკითხები საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანესი და სასიცოცხლოდ აუცილებელი ელემენტებია. მხოლოდ სრულყოფილი, ეფექტური და დროული, სოციალურ-ეკონომიკური პირობების შესაბამისი საგადასახადო სისტემის პირობებშია შესაძლებელი ქვეყნის ეკონომიკური ზრდა, სამეწარმეო საქმიანობის განვითარება და ქვეყნის წინაშე არსებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრა.

ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობისა და სტაბილურობის მისაღწევად აუცილებელია გავატაროთ ისეთი ეკონიმიკური და პოლიტიკური პროცესები, რომლებიც ხელს შეუწყობს ამ მიზნის მიღწევას. საგადასახადო რეგულირება კი ეკონომიკაზე ზემოქმედების მძლავრი ინსტრუმენტია, რომელიც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ბიზნეს სექტორის განვითარებასა და საბიუჯეტო შემოსავლების ზრდაზე, მაშინ როცა ამ შემოსავლების უდიდესი ნაწილი საგადასახადო შემოსავლების საშუალებით ივსება.

დღეს მიმდინარეობს დისკუსია, თუ „COVID 19"-ის პანდემიის პირველ წლებში რამდენად სწორად განხორციელდა საგადასახადო რეფორმები, მიზანშეწონილია თუ არა იმ სახის ცვლილებები, რომლებიც ინტენსიურად განხორციელდა საგადასახადო კანონმდებლობაში და ახლო პერსპექტივაში ლოგიკურად კვლავ განხორციელდება, რა შედეგი მოუტანა ამ ცვლილებებმა ბიზნეს სუბიექტებს და ზოგადად - გადამხდელებს.

ამჟამად, როცა საქართველო ახალი კორონავირუსის პანდემის გავრცელების არეალში იმყოფება და პრაქტიკულად ჯერ კიდევ ძნელია ზუსტი გადაწყვეტილების მიღება - პანდემია რა პერიოდით გაგრძელდება კიდევ

მსოფლიოში და მათ შორის ჩვენს ქვეყაშიც, უაღრესად რთულია რეალური პროგნოზების გაკეთება იმ ეკონომიკური გავლენის შესახებ, რომელსაც მსოფლიოში პანდემიური პროცესი და ქვეყანაში არსებული ეპიდემიური სურათი მოახდენს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაზე. პრაქტიკულდ ნეგატიური ეფექტი მნიშვნელოვანად საგრძნობი რომ იქნება ცხადია, რომლებიც საბოლოო ჯამში დამოკიდებულია მთავრობის მიერ არსებული ეკონომიკური გამოწვევების სწორად გააზრებაზე. ამ ეტაპისთვის ქვეყნის ხელისუფლება მიმდინარე გამოწვევებს გაჭირვებით პასუხობს, შესაბამისად ქვეყანას სამედიცინო საფრთხეებს და ჰუმანიტარულ ამოცანებს მართავს, და გრძელვადიანი ეკონომიკური ეფექტის შეფასებისთვის საკმაოდ შეზღული რესურსი რჩება.

აღნიშნული შეზღუდული რესურსების პირობებში, რთული ხდება ცალკეული ეკონომიკური შეღავათების და სტიმულირების პაკეტების შემოღება, ცალკეული შეზღუდვების დაწესებას შემთხვევაში კი უაღრესად მნიშვნელოვანია ამ ნაბიჯების „ეკონომიკური ფასის“ სწორად განსაზღვრა. ამასთანავე უაღრესად მნიშვნელოვანან წარმოადგენს იმ გარემოების გათვალისწინება რომ, კრიზისის დასაძლევად გათვალისწინებულ ე.წ. შეღავათების შეთავაზებას არ ქონდეს ისეთი ხასიათი, როგორიც მაგალითად საბანკო „შეღავათიანი პერიოდის“ მექანიზმს, რომელიც მექანიკურად გაქცევს ამ რეჟიმში და მისი დატოვებისთვის გიწევს აქტივობის განხორციელება და არა - მასში ჩართვისთვის. ყველგან, სადაც ეს შესაძლებელია, მნიშვნელოვანია არ შეიზღუდოს მოქალაქეთა ეკონომიკური არჩევანის თავისუფლება;

არსებითია კრიზისის ვადები და აგრეთვე ის, როგორ შეძლებს მთლიანობაში მსოფლიო მასთან გამკლავებას, რამდენადაც ფაქტობრივად ჩვენი ქვეყნის ტიპის ქვეყნები მნიშვნელოვნად იქნებიან დამოკიდებული იმ საერთაშორისო დახმარების მასშტაბზე, რომლის მობილიზებასაც ისინი პრაქტიკულად მოახერხებენ;

აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ კრიზისულ ეტაპზე გეგმაზომიერი ღონისძიებების ეფექტიანობის მნიშვნელოვანი განმაპირობებელი ფაქტორია საჯარო ფინანსების მართვის არსებული ჩარჩო და საბიუჯეტო სისტემის მოქნილობა. „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი ითვალისწინებს საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემთხვევებში ფისკალურ ზღვრებთან დაკავშირებულ სპეციფიკურ რეგულაციებს. წლიური ბიუჯეტის კანონის დაზუსტების მექანიზმებმა კი ხელი შეუწყო საჭირო რესურსების მობილიზებისათვის ასიგნებების გადანაწილებას, რის შედეგადაც საბიუჯეტო პროცესი შეუფერხებლად ხორციელდებოდა სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში ცვლილების შეტანამდე.

აგრეთვე საგრძნობლად, მნიშვნელოვანი ფაქტორია კერძო ინიციატივებიც, კერძოდ კი ის, თუ რამდენად შეძლებს ჩვენი ქვეყნის ბიზნესის ნაწილი მაინც თვითინციატივების ხარჯზე ორგანიზებას, პამდემიით გამოწვეული გამოწვევებიდან გამომდინარე ახალი ტიპის მომსახურებებისა და პროდუქტების შემუშავებას და პრაქტიკულად გამოყენებას.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. კაკულია რევაზ, „საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის თეორიისა და პრაქტიკის პრობლემები“, თბ. 2003წ.;
2. მაკალათია გ. საბიუჯეტო პოლიტიკის როლი ეკონომიკურ ზრდაში საქართველოს მაგალითზე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი 2020;
3. „საქართველოს საგადასახადო კოდექსი“, თბ. 2010წ.;
4. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, „მთავრობის ვალის მდგრადობის ანალიზის დოკუმენტი 2021-2030 წლებისთვის. თბ. 2020წ.;
5. საქართველოს კანონი „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“, თბ. 2019წ.;
6. საქართველოს კანონი „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, თბ. 2020 (24 ივნისი);
7. საქართველოს კანონი „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, თბ. 2020 (29 დეკემბერი);
8. საქართველოს კანონი „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, თბ. 2021 (05 იანვარი);
9. საქართველოს კანონი „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, თბ. 2020 (22 მაისი);
10. საქართველოს კანონი „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, თბ. 2020წ.
11. საქართველოს ფინანსთა მინისტრის №254 ბრძანება „საბაჟო სამართალდარღვევის საქმის წარმოების წესის, საბაჟო სანქციის აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიებებისა და მათი განხორციელების წესის“ დამტკიცების შესახებ, თბ. 2019 (27 აგვისტო);
12. ცინარიძე რამინ, კომახიძე ნინელი, „საგადასახადო სამართალდარღვევათა პასუხისმგებლობის ზოგიერთი აქტუალური საკითხისათვის“, ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა,“ საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“, დეკემბერი, №2, თბ., 2019წ.

# საქართველოში არასიცოცხლის დაზღვევის განვითარების ხელშემწყობი ფაქტორები



**კობა ბასილაია**
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი



**ლაშა-გიორგი სიმონიშვილი-ჯაყელი**
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

**ანოტაცია**

დაზღვევა სამეწარმეო საქმიანობის, საქონელწარმოებისა და საქონელგაცვლითი ოპერაციების გაფართოების უმნიშვნელოვანეს ხელშემწყობ და საგარანტიო ინსტრუმენტს წარმოადგენს. გასათვალისწინებელია, რომ არა სიცოცხლის დაზღვევა საქართველოში დღეს დღეობით არა პოპულარული საგანია, რიგი მიზეზების და გამო; მცირეა მოსახლეობის დაინტერესებაც და განათლებაც ამ მიმართულებით, ამას ადასტურებს სტატისტიკა და რიცხვები, ამ მიმართულებით დაზღვეულთა რაოდენობა საკმაოდ მწირეა, როგორც ფიზიკური პირების ასევე იურიდიული პირებისაც;

სტატიის მიზანია წარმოგიდგინოთ არა სიცოცხლის დაზღვევის ხელშემწყობი ფაქტორები საქართველოში;

სტატიის ობიექტია საქართველოს არა სიცოცხლის დაზღვევის ბაზარი;

**საკვანძო სიტყვები:** არასიცოცხლის დაზღვევის ბაზარი, პასუხისმგებლობის დაზღვევა.

# NON-LIFE INSURANCE DEVELOPMENT FACTORS IN GEORGIA

**Koba Basilaia**
Associate Professor of Sokhumi State University
**Lasha-Giorgi Simonishvili-Jakeli**
Master of Business administration

**ANNOTATION**

Insurance is an important support and guarantee tool for the expansion of entrepreneurial activities, production and exchange operations. It should be noted that non-life insurance is not too popular subject in Georgia today, for a number of reasons; There is little interest and education of the population in this area, as evidenced by statistics and numbers, the number of insured in this area is quite small, both individuals and legal entities;

The purpose of this article is to present the non-life insurance contributing factors in Georgia;

The object of the article is the Georgian non-life insurance market;

**Keywords:** non-life insurance market, Liability insurance.

დაზღვევა მსოფლიო განვითარებისა და მოთხოვნის მიუხედავად, საქართველოში მხოლოდ მე-20 საუკუნის ბოლოს ჩნდება, თანაც ეს ინსტიტუტი ამ დროისთვის სრულიად უკონტროლო იყო; 1990-1997 წლებს , საქართველოში სადაზღვევო სისტემის არარსებობის წლები ეწოდა. 1997 წლიდან საქართველოს მთავრობამ შემოიღო ახალი კანონ-პროექტი (დაზღვევის შესახებ). წამოიწყეს დაზღვევის სისტემის რეგულირების, მართვისა და კონტროლის პროცესი.

ამ მცირედი ექსკურსით შეგვიძლია შევადაროთ, თუ რა დროიდან იწყება დაზღვევის კულტურის განვითარება აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში და ჩვენთან საქართველოში. სავარაუდოდ სწორედ ეს განაპირობებს დღემდე საქართველოში, ამ სფეროს დაბალ პოპულარობასა და დაზღვევის მიმართ უნდობლობას.

რა არის არა სიცოცხლის დაზღვევა? ეს არის ქონების, პასუხისმგებლობის, ტვირთების, მშენებლობის, ავტომობილების დაზღვევის ერთობლიობა;

ქონების დაზღვევა იშლება სხვადასხვა მიმართულებებად, მაგალითად მანქანადანადგარების, მარაგების, ინვენტარის, რემონტის, კარკასის, ვიტრაჟების და სხვა დაზღვევა;




რაც შეეხება პასუხისმგებლობის დაზღვევას მრავალი მიმართულება აქვს, მაგალითად თანამშრომლების პასუხისმგებლობის, კომერციული, პროდუქციის, ზოგადი,სავალდებულო და სხვა დაზღვევა;

ტვირთების დაზღვევა შუა საუკუნეებიდან პოპულარულია გლობალურ დონეზე, შეიძლება შევხვდეთ საზღვაო, სახმელეთო, საჰაერო, და სხვა ტვირთის დაზღვევის ნაირ სახეობებს;

ჩვენს ქვეყანაში საზოგადოება ზოგადად კრიტიკულად უდგება სიახლეებს, მითუმეტეს ისეთს, რაც მათ ჯიბეს და ფინანსებს ზედმეტად აწვება. სამწუხაროდ დაზღვევაც ბევრისთვის ამ რიგში ხვდება. ფიქრობენ რომ ფულს ტყუილად იხდიან პრემიის სახით და სარგებელს ვერ იღებენ. მაგალითს მოგიყვანთ, თუ ადამიანი აზღვევს თავის ავტომობილს სამი წლის განმავლობაში და X თანხას იხდის პრემიის სახით, მაგრამ ზარალი არ აქვს, ანუ ავტო საგზაო შემთხვევა არ მომხდარა, ამ დროს მას უჩნდება შეგრძნება, რომ ტყუილად გადაყარა ეს თანხა წყალში; მაგრამ ეს მიდგომა არასწორია, რადგან ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება ხიფათით არის სავსე და თუ ორი წელი ზარალი არ გვქონია, ეს არ ნიშნავს იმას რომ მესამე ან მეოთხე წელსაც ასე ვიქნებით, ამის განჭვრეტა წარმოუდგენელია, სწორედ ამისთვის ვიხდით პრემიას, რომ მშვიდად ვიყოთ და ზარალს თამამად შევხვდეთ და არა შიშით.

საქართველოში არა ერთი ფაქტორი უწყობს არა სიცოცხლის დაზღვევის პოპულარობას:

ერთი ფაქტორია ევროკავშირი, ნატოში გაწევრიანებისთვის, ერთ-ერთი სავალდებულო მუხლია, ავტომობილის სავალდებულო დაზღვევა, რაც სახელმწიფოს ავალდებულებს, რომ მათი მოსახლეობის ავტომობილები დაზღვეული იყოს. საქართველოში 2021 წლისთვის იგეგმებოდა სავალდებულო ავტოტრანსპორტის დაზღვევა, მაგრამ კოვიდ ვითარების გამო გადაიდო მოთხოვნის პერიოდი;

მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორია უცხოური კომპანიები და მათი წარმომადგენლობები საქართველოში. როცა საერთაშორისო ფირმებთან თანამშრომლობ ან პარტნიორობ, ის მხარე გავალდებულებს და გიბიძგებს დაზღვევების გამოყენებისკენ, რადგან მათ უკვე კარგათ აქვთ გააზრებული და გასისხლხორცებული, ამ პროდუქტის აუცილებლობა; საკმაოდ კარგი გამოცდილებაა ქართული ფირმებისთვის რადგან მათი ცოდნის დონეც იზრდება და ჩვევაში გადადის ეს საქციელი;

მესამე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც საქართველოში არა სიცოცხლის დაზღვევის პოპულარიზაციას უწყობს ხელს, არის სახელმწიფოს მიერ გამოცემული კანონმდებლობა, რომელიც რიგ სადაზღვევო პროდუქტებს სავალდებულოს ხდის დასაზღვევად სხვადასხვა მიმართულებებით; მაგალითად ნებისმიერ წარმოებასა და მშენებლობაში სავალდებულოა უბედური შრმთხვევისგან დაზღვევა; ასევე სავალდებულოა კლინიკური კვლევების დროს პაციენტთა სიცოცხლის დაზღვევა და მკვლევარის პასუხისმგებლობის დაზღვევაც; ასევე სავალდებულოა საზოგადოების თავშეყრის ობიექტებზე ზოგადი პასუხისმგებლობის დაზღვევა როგორებიცაა: სასტუმროები, ბაზრობები, მოლები, ბენზინ გასამართ სადგურები და სხვა. საკმაოდ კარგია რომ სავალდებულო ხდება დაზღვევა რადგანაც ეს კარგი კულტურის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს;

ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორს, რომელიც საქართველოში არა სიცოცხლის დაზღვევის პოპულარიზაციას ხელს უწყობს, წარმოადგენს საბანკო სისტემა. იცით რატომ? საქართველოში მატერიალური რესურსის არ ქონის გამო ბიზნესის მეტი ნაწილი იწყება სესხის მეშვეობით, რომელსაც ბანკი გასცემს სარგებლის სანაცვლოდ, მაგრამ რის საფუძველზე? ბაკი ყოველთვის ითხოვს უზრუნველყოფას, ავტომობილის სახით ან კორპუსუს სახით ან ნაგებობის ან მიწის სახით; მაგრამ ეს ხშირ შემთხვევაში ეს საკმარისი არ არის, იცით




რატომ? თუ თქვენ სესხი აიღეთ და კლინიკა გახსენით, სესხი უნდა დაფაროთ კლინიკის წარმატებით მუშაობის შემთხვევაში, სესხის უზრუნველყოფაში ჯი კლინიკის შენობა დევს, სიტყვაზე თუ ბუნებრივი კატაკლიზმები მოხდა მიწისძვრა ან წყალდიდობა, კლინიკა ხო დაინგრევა და ფუნქციონირებას შეწყვეტს, გამოდის რომ სესხი ველარ იფარება და შენობა ნაგებობაც რაც უზრუნველყოფაში იდო ეგეც ნაცარმტვერად იქცა, აქედან გამომდინარე ბანკი წაგებული რჩება. ზუსტად ამ მიზეზის გამო, რომ ბანკი ბოლომდე გარანტირებული იყოს სარგებლის მისაღებად, თავის მსესხებელს ავალდებულებს რომ ისარგებლოს არა სიცოცხლის დაზღვევით;

ჩვენის აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტიტუტები და ფაქტორები დაგანახეთ, რაც დაზღვევის განვითარებას უწყობს საქართველოში, რაც მეტი იქნება საქართველოში ასეთი ფაქტორი, ქვეყანაც და საზოგადოებაც მეტად იხეირებს;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საზოგადოებისათვის საჭიროა სადაზღვევო პროდუქტის სიკეთის ჩვენება, არა ისე რომ დავავალდებულოთ ან პასუხისმგებლობა მოვახვიოთ თავს, არამედ აუცილებლობა შეუქმნათ და პოზიტივი დავანახოთ ამ ყველაფრის. რა თქმა უნდა მარტო სადაზღვევო კომპანიის მეშვეობით არ უნდა ხდებოდეს ეს ყველაფერი, რადგან ეჭვს გამოიწვევს იმისას, რომ ეს საგანმანათლებლო ექსკურსი, მარკეტინგული ხრიკია მომხმარებლების მოსაზიდად. ასე რომ, საზოგადოების ინტელექტის ასამაღლებლად, დაზღვევის სფეროში, აუცილებელია სახელმწიფოს ჩართვა. აქ არ იგულისხმება, კანონის ძალით მაშინვე, მყისიერად, საზოგადოების დავალდებლება, არამედ მასმედიისა და ტელევიზიის მეშვეობით სრული და მარტივად აღსაქმელი ინფორმაციის მიწოდება, რაც მათ დაანახებს ამ პროდუქტის სიკეთესა და საჭიროებას.

ერთხელ მაინც თუ მოგსვლიათ ავტო საგზაო შემთხვევა, ძალიან უხერხული და დაძაბული სიტუაცია გექნებათ გამოვლილი, ასე რომ მოკლედ შეიძლება ითქვას, ამ ყველაფერს აგარიდებთ დაზღვევა, ეს ინფორმაცია და სიტყვები საზოგადოებამდე სახელმწიფომ უნდა მიიტანოს სხვა და სხვა ხერხით იმ საზოგადოებამდე, ვისაც საკუთარ თავზე არ გამოუცდია ეს წნეხი, მაგრამ სჭიროება დაანახოს, რომ არც მოუნდეს აღმოჩენა. ამ ყველაფერს თავი რომ აარიდოს და იყოს მშვიდად და თამამად უნდა დააზღვიოს ავტომობილი.

სწორედ ასეთი არგუმენტირებული მაგალითებით უნდა ხდებოდეს საზოგადოების სადაზღვევო კულტურაზე მუშაობა.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. http://insurance.gov.ge - საქართველოს დაზღვევის ზედამხედველობის სამსახური.
2. www.TBCInsurance.ge.
3. www.gpih.ge - სს „ სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი“.

# რეფინანსირების განაკვეთის როლი სავალუტო კურსის რეგულირებაში

**გია ანანიძე**
ბსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი,
ეკონომიკა, ბაკალავრი

**დავით შაინიძე**
ბსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი,
ეკონომიკა, ბაკალავრი

**ლაშა ბერიძე**
ბსუ ბიზნესის მართვის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

**რამინ ცინარიძე**
ბიზნესის მართვის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

**აბსტრაქტი**

ბოლო წლებში საქართველოსთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა არის არასტაბილური ეროვნული ვალუტის კურსი, რაც, თავის მხრივ უარყოფით გავლენას ახდენს სხვა ეკონომიკურ პარამეტრებზე და მნიშვნელოვნად მოქმედებს საზოგადოებრივ მოლოდინებზე. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული ბანკი ინტერვენციების მეშვეობით აქტიურად ცდილობს გაუფასურებული სავალუტო კურსის დასტაბილურებას, მხოლოდ ამ მცდელობებს ვერ მოაქვს სასურველი შედეგი, რადგან ინტერვენციები არის ლარის დასტაბილურების მოკლევადიანი მექანიზმი და მას არ შეუძლია გაუფასურებაზე მოქმედ რეალურ ფაქტორებზე ზემოქმედება.

სწორედ ამიტომ, არსებული ნაშრომის მიზანია, დაკვირვების, მოქმედი ფაქტორების კორელაციური ანალიზის და ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებების შესწავლის საფუძველზე, დავადგინოთ რა კავშირი არსებობს რეფინანსირების განაკვეთსა და სავალუტო კურსს შორის და შესაძლებელია თუ არა სავალუტო კურსის რეგულირებაში რეფინანსირების განაკვეთის უფრო მეტად ჩართვა.

კვლევის შედეგების საფუძველზე გამოჩნდა, რომ ლარის კურსზე მოქმედ ფაქტორებს შორის რეფინანსირების განაკვეთს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

ანალიზმა გვიჩვენა, რომ რეფინანსირების განაკვეთს ეროვნული ბანკი შეიძლება იყენებდეს არა მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალუტის გაუფასურებიდან მომდინარე წნეხი გადაეცემა ინფლაციას, არამედ როდესაც გაცვლითი კურსის მერყეობა აღწევს გარკვეულ ზღვარს.

**საკვანძო სიტყვები :** რეფინანსირების განაკვეთი, გაცვლითი კურსი, ეროვნული ბანკი.




## THE ROLE OF THE REFINANCING RATE IN EXCHANGE RATE REGULATION

**Gia Ananidze,**
Bachelor's degree of Economics
**David Shainidze,**
Bachelor's degree of Economics
**Lasha Beridze**
Doctor of Business Administration, Associate Professor
**Ramin Tsinaridze,**
Doctor of Business Administration, Associate Professor

**Abstract**

In the last years instability of national currency has been one of the biggest problem of Georgia. This fact has significant negative impact on other economic variables and on social expectations as well. Despite the fact that National Bank of Georgia tries to balance the currency level by making interventions, this attempts do not have desirable results, since interventions are the way to control exchange rate in short-term period, rather than to have real influence on real causes.

The purpose of the present paper is to determine what is the relationship between the refinancing rate and the exchange rate on the basis of observations, correlation analysis of current factors and decisions of the National Bank and whether it is possible to include more refinancing rates in exchange rate regulation or not. Based on the results of the study, it was ascertained that the refinancing rate occupies an important place among the factors affecting the GEL exchange rate.

The analyze showed that the refinancing rate can be used by the National Bank not only when the pressure of currency depreciation shifts to inflation, but also when exchange rate fluctuations reach a certain level.

**Keywords:** Refinancing rate, exchange rate, National Bank

## შესავალი

1997 წლიდან საქართველოში მოქმედებს მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმი, რაც ითვალისწინებს კურსის განსაზღვრას ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე დადებული გარიგებების მიხედვით. “ბლუმბერგის“ საერთაშორისო სავაჭრო სისტემაში დადებულ გარიგებათა გათვალისწინებით გამოითვლება ლარის საშუალო შეწონილი კურსი დოლართან მიმართებაში, რომელიც ოფიციალურად ცხადდება შემდგომი დღისთვის. საქართველოს ეკონომიკის მასშტაბიდან გამომდინარე შიდა ეკონომიკური პრობლემებსა და საერთაშორისო შოკებს ლარზე დიდი გავლენა აქვთ, რაც განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს ბოლო წლების გაცვლითი კურსის ტენდენციებში. 20220 წლის მარტში კი, ლარის გაუფასურებამ (1U SD=3.4842GEL) რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია. ლარის კურსის მკვეთრი ზრდა მოქმედებს ინფლაციის მაჩვენებელზე, რის გამოც, ეროვნული ბანკს უწევს რეფინანსირების განაკვეთის გაზრდა. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული ბანკის მთავარი მიზანი ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის შენარჩუნებაა, არსებობს ირიბი კავშირი რეფინანსირების განაკვეთსა და გაცვლით კურსს შორის, რომელსაც ითვალისწინებს ეროვნული ბანკი რეფინანსირების განაკვეთის დადგენისას ტეილორის წესის შესაბამისად.

რეფინანსირების განაკვეთი ეროვნული ბანკის მიერ მონეტარული პოლიტიკის მართვის ერთ–ერთი მთავარი ინსტრუმენტია, რომლის ცვლილებაზეც გადაწყვეტილებას იღებს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტი, ეს მაჩვენებელი კი, თავის მხრივ, ერთგვარი ორიენტირია საბაზრო განაკვეთებისათვის. რეფინანსირების განაკვეთის ცვლილების მთავარი მიზეზი ძირითად შემთხვევებში არის მიმდინარე ინფლაციის გადახრა საპროგნოზო მაჩვენებლიდან, თუმცა, მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის გადაწყვეტილებები გავლენას ახდენს არა მხოლოდ პირდაპირ ინფლაციის მაჩვენებელზე, არამედ ქვეყანაში არსებული ფულადი აგრეგატების რაოდენობასა და ინფლაციის გამომწვევ სხვა მიზეზებზე, რომელთა შორისაც არის გაცვლითი სავალუტო კურსი.

## ძირითადი ნაწილი

ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფა ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესი პირობაა. თანამედროვე ქვეყნების მთავარ პრობლემას ინფლაცია წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, ცენტრალური ბანკების, მათ შორის საქართველოს ეროვნული ბანკის, მთავარი საზრუნავი ფასების სტაბილურობაა [1]. გარდა ამისა ეროვნული ბანკის მიზანია ფინანსური სტაბილურობის უზრუნველლყოფა, რომელიც გულისხმობს საფინანსო სისტემის წინაშე არსებული და მოსალოდნელი რისკების განსაზღვრას და მათ შემცირებას [2] .

აღნიშნული მიზნების მიღწევისთვის ცენტრალური ბანკები მიმართავენ მონეტარულ პოლიტიკას. მონეტარული პოლიტიკის ოთხი ძირითადი რეჟიმი არსებობს:

1. გაცვლითი კურსის თარგეთირება;
2. ფულადი აგრეგატების თარგეთირება(მონეტარული თარგეთირება);
3. ინფლაციის თარგეთირება;

ფულად–საკრედიტო პოლიტიკა მონეტარული ან ინფლაციის მკაფიო თარგეთირების გარეშე [3].

2009 წლიდან საქართველო გადავიდა ინფლაციის თარგეთირების რეჟიმზე. აღნიშნული რეჟიმი ითვალისწინებს ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის წინასწარ გამოცხადებას და ინსტრუმენტების მართვას იმდაგვარად, რომ მიღწეული იქნას ინფლაციის მიზნობრივი დონე საშუალოვადიან პერიოდში [4]. სტაბილურობის შენარჩუნებისთვის ეროვნული ბანკი საოპერაციო ორიენტირად მოკლევადიან საპროცენტო განაკვეთს იყენებს. განაკვეთის მართვით იგი გავლენას ახდენს ბანკთაშორის ბაზარზე არსებულ მოკლევადიან საპროცენტო განაკვეთზე, რაც აისახება კომერციული ბანკების როგორც მოკლევადიან, ასევე გრძელვადიან განაკვეთებზე და ქვეყნის ერთობლივ მოთხოვნაზე. ეროვნული ბანკის ძირითადი ინსტრუმენტებია ერთკვირიანი **რეფინანსირების სესხები** (გაიცემა კომერციულ ბანკებზე აუქციონით). ქვეყნის მთავარი ფინანსური ინსტიტუტი ასევე იყენებს მონეტარული პოლიტიკის შემდეგ ინსტრუმენტებს: **მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები; ღია ბაზრის ოპერაციები სადეპოზიტო სერთიფიკათებითა და სახაზინო ფასიანი ქაღალდებით; ღია ბაზრის ერთკვირიანი ინსტრუმენტი; ერთდღიანი სესხები და ერთდღიანი დეპოზიტები** [5].

## რეფინანსირების განაკვეთი

რეფინანსირების განაკვეთი ეროვნული ბანკის ფულად–საკრედიტო პოლიტიკის ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია და ერთგვარ ორიენტირს წარმოადგენს სხვა საბაზრო განაკვეთებისთვის.

რეფინანსირების განაკვეთის განსაზღვრისას გასათვალისწინებელია ინფლაციის პროგნოზრებული მაჩვენებელი. როცა პროგნოზირებული მაჩვენებელი აღემატება ინფლაციის მიზნობრივ დონეს, ეროვნული ბანკი მონეტარულ **პოლიტიკას ამკაცრებს,** ანუ საპროცენტო განაკვეთს აწევს, რათა შეზღუდული იყოს ფასების დონის მატება. შედეგად ერთობლივი მოთხოვნა მცირდება, რაც გავლენას ახდენს ფასების ზრდის ტემპზე. საპირისპირო შემთხვევაში, ეროვნული ბანკი ატარებს **ექსპანსიურ მონეტარულ პოლიტიკას** – შემცირდება საპროცენტო განაკვეთი, რაც გარკვეული პერიოდის შემდეგ სესხების საპროცენტო განაკვეთს გადაეცემა და ამის შედეგად ერთობლივი მოთხოვნა წახალისდება [6].

ეროვნული ბანკის მიერ გამოცემულ მონეტარული პოლიტიკის საოპერაციო დოკუმენტის მიხედვით, პოლიტიკის განაკვეთის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინება მონეტარული პოლიტიკის რეაქციის **ტეილორის ტიპის ფუნქცია.** რეაქციის ფუნქციაში იგულისხმება, რომ პოლიტიკის განაკვეთი დიდწილად არის დამოკიდებული და საპასუხოდ

მოქმედებს მიზნობრივი ინფლაციის მაჩვენებლიდან გადახრასა და მშპ–ს გაპზე. თუმცა, მონეტარული პოლიტიკა მაკროეკონომიკური რისკებიდან გამომდინარე მოითხოვს თანმიმდევრულობას, შესაბამისად, საპროცენტო განაკვეთები იცვლება ეტაპობრივად და არა ერთბაშად. მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის დადგენა შემდეგი ფორმულის საფუძველზე ხდება:

$$it = \gamma_1 i_{t-1} + (1-\gamma_1)[i_t^N + \gamma_2 E_t(\pi_{4,t+4} - \pi_{t+4}^{tar}) + \gamma_3 \hat{y}_t] + \varepsilon_t^i - \gamma_4 \varepsilon_t^{tar}$$

**($I_{t-1}$)** – წინა პერიოდის მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი;

**($I_t^n$)** – პოლიტიკის განაკვეთის ნეიტრალური დონე;

**($I_{4,t+4}$)** მოსალოდნელი ინფლაცია მომავალი ოთხი კვარტალის შემდგომ;

**($\pi_{t+4}^{tar}$)** – მიზნობრივი ინფლაცია; **($\hat{y}_t$)** – გამოშვების გაპი;

**($\varepsilon_t^i$)** – პოლიტიკის განაკვეთის შოკი; **($\varepsilon_t^{tar}$)** – მიზნობრივი ინფლაციის მაჩვენებლის ცვლილებით გამოწვეული შოკი [7].

გამოშვების გაპის დათვლის ფორმულაში შეტანილია კომპონენტი **($S_t^{GEL/USD}$)**, რომელიც მაღალი დოლარიზაციის გამო ითვალისწინებს გაცვლითი კურსის ცვლილებიდან მომდინარე საბალანსო უწყისის ეფექტებს. თუმცა, შეუძლებელია ზუსტად დავადგინოთ თუ რა გავლენა აქვს მშპ გაპს რეფინანსირების განაკვეთის დადგენაში. ეროვნულ ბანკს რეფინანსირების დადგენის ფორმულაში არ აქვს მოცემული **$\gamma_1$, $\gamma_2$,** და **$\gamma_3$,** კომპონენტების მნიშვნელობები. განმარტებაში აღნიშნულია, რომ მოდელში პარამეტრების კონკრეტული მნიშვნელობები დაფუძნებულია ისტორიულ ანალიზზე, რაც შესაძლოა შეიცვალოს დროთა განმავლობაში მონაცემებიდან და ახალი რეალობიდან გამომდინარე [8]. ფორმულის ამგვარი მოცემულობა ბუნდოვანს ხდის მის შინაარსს, რადგან არ ვიცით რა კომპონენტს რა მგრძნობელობა აქვს მიმდინარე პერიოდში და არც ეროვნული ბანკის მიერ რეფინანსირების ცვლილების გამოქვეყნებისას ხდება ეკონომეტრიკულად მათი ახსნა. ხელმისაწვდომია მხოლოდ წერილობითი დოკუმენტი, სადაც სიტყვიერად არის ახსნილი განაკვეთის ცვლილების მიზეზები.

### გაცვლითი კურსი და მასზე მოქმედი ფაქტორები

საქართველოში მოქმედებს მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმი. მცირე ღია ეკონომიკის ქვეყნებისთვის მცურავ გაცვლით კურსს შოკების მშთანთქავი ფუნქცია აქვს, რადგანაც საგარეო შოკის შემთვევაში გაცლითი კურსის ცვლილება რეალურ ეკონომიკაზე - ინფლაციასა და ეკონომიკურ ზრდაზე შოკის გავლენას ამცირებს, ამიტომ საქართველოსთვის მცურავი გაცვლითი კურსი ყველაზე ოპტიმალურ ვარიანტად რჩება.

ეროვნული ბანკის მიერ თბილისის ბანკთაშორისი ბირჟის სავალუტო აუქციონებით ჩანაცვლებამ შეამცირა ინტერვენციების საჭიროება და გაზარდა ფინანსური რეზერვები. კურსის მოკლევადიანი მერყეობა გაიზარდა, რამაც შეამცირა სპეკულაციური რისკები და გაზარდა ლარის გრძელვადიანი სტაბილურობა. ესარის ამ პოლიტიკის ერთ-ერთი უპირატესობა, თუმცა ლარის კურსის ასეთი ვარდნა არ შეიძლება დავაბრალოთ კურსის არაეფექტურობას და ის სხვა დამოუკიდებელი ფაქტორებითაა გამოწვეული. ეროვნული ბანკის სავალუტო ინტერვენციების მიზანი გაცვლითი კურსის რყევების, კერძო და სახელმწიფო სექტორების საგარეო დაფინანსებებს შორის დისბალანსის შემცირებაა. ეროვნული ბანკი მიზნად ისახავს სავალუტო ინტერვენციები ჯერ შემცირდეს, ხოლო საბოლოოდ მთლიანად გაუქმდეს [6].

გაცვლით კურსზე გავლენას ახდენს განსხვავება ინფლაციის დონეებში, განსხვავებები საპროცენტო განაკვეთებში, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი, საჯარო სექტორის დაფინანსება, სავაჭრო პირობები, პოლიტიკური სტაბილურობა, ეკონომიკური ეფექტიანობა და ა.შ. [9].

ლარის კურსზე მოქმედი ფაქტორები იყოფა მოკლევადიან, საშალო და გრძელვადიან ფაქტორებად. მოკლევადიან პერიოდში ძირითადად ფსიქოლოგიური გავლენა თამაშობს დიდ როლს, როგორიცაა: მოლოდინები, განწყობები, მსხვილი სავალუტო ტრანზაქციები, სპეკულაციები, სხვადასხვა ტიპის ინფორმაციები, საერთაშორისო ბაზრებზე კურსის ცვლილებები და ა.შ. საშუალოვადიან და გრძელვადიან პერიოდში მოქმედებს ფუნდამენტური ფაქტორები, მაკროეკონომიკური მაჩვენებლები და მათი ტენდენცია. **ფუნდამენტური ფაქტორებია:** ფისკალური პოლიტიკა, მონეტარული პოლიტიკა, ეკონომიკური ზრდა და ექსპორტ–იმპორტის დინამიკა, ფულადი გზავნილები, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, მთლიანი საგარეო ვალი, დეპოზიტები, ტურიზმი, გლობალური ფაქტორები და ა.შ [9].

### რეფინანსირების სესხის გავლენა ლარის კურსზე

რეფინანსირების განაკვეთი მონეტარული პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია და მისი დახმარებით სებ-ი ქვეყანაში საპროცენტო განაკვეთების, დაკრედიტების, მოხმარების და საბოლოო ჯამში ინფლაციისა და სავალუტო კურსის რეგულირებას ცდილობს. მაღალი დოლარიზაციის გამო სებ-ი საბოლოო ეკონომიკაზე გავლენას ვერ ახდენს, რის გამოსწორებასაც ლარიზაციის მეშვეობით ცდილობს.

2015 წლიდან ლარის სესხების პოლარიზაციამ და რეგულაციებმა ლარის სესხების მოცულობა 25%–ით გაზარდა (2015-2020), ხოლო დეპოზიტების მოცულობა მცირედით მაგრამ მაინც იზრდებოდა (15%).

ამ დანაკლისის შევსების ერთ-ერთი საშუალება რეფინანსირების სესხები აღმოჩნდა, რამაც თავის მხრივ ფულად აგრეგატებზე მოახდინა გავლენა [10]. გრაფიკ 1-ზე ნაჩვენებია, რომ 2020 წლის მონაცემებით გაიზარდა მთლიანი ფულის მასაც. M3-17,4%, M2- 15,8%, M1- 12,9%.

**გრაფიკი 1. ფულის მასა აგრეგატების მიხედვით (მლნ ლარი)**




ფულადი მასის ზრდამ საგარეო ფაქტორებთან ერთად თავისი როლი ითამაშა ლარის გაუფასურებაში. დღეს სებ-ი აქტიურად ცდილობს გაცვლითი კურსის დასტაბილურებას.ამის გამო იზრდება რეფინანსირების განაკვეთი (ბოლო 2 თვეში 1,5%). მეორე ხერხია სავალუტო აუქციონებზე დოლარის გაყიდვა. მიმდინარე წელს 6 ინტერვენციით 242.9 მლნ აშშ დოლარია გაყიდული. გასულ წელს იგივე მაჩვენებელი 873.2 მლნ აშშ დოლარი იყო (ჯამში 26 ინტერვენცია) [11].

დასკვნის სახით, სესხების ზრდამ რეფინასირების სესხების მოცულობის ზრდა გამოიწვია, რითიც ბანკებმა დააფინანსეს ლარში გაცემული სესხები. ამიტომ არის ლარის სესხების აბსოლიტური უმრავლესობა რეფინანსირების განაკვეთზე მიბმული. ამას დამატებულმა დაჩქარებულმა დედოლარიზაციამ, რეფინანსირების სესხების მოცულობამ და ფულადი მასის ზრდამ გაცვლითი კურსი მნიშვნელოვნად გააუფასურა, რის გამოც შემდგომში სებ-ს უხეში ჩარევა დასჭირდა და რეფინანსირების განაკვეთის გაზრდით მსესხებლებს ლარის სესხის მომსახურება მნიშვნელოვნად გაუძვირა.

მიუხედავად იმისა, რომ სავალუტო კურსის ცვლილება მკვეთრად მოქმედებს ქვეყნის ინფლაციის მაჩვენებელზე, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის, განცხადებებში ვხვდებით მოსაზრებას, რომ ეროვნული ბანკის ამოცანა არ არის და ვერ იქნება გაცვლითი კურსის მართვა. [12]

## რეფინანსირების განაკვეთისა და სხვა მაკროეკოომიკური მაჩვენებლების გავლენა სავალუტო კურსზე

უკეთესად რომ ალვიქვათ დამოკიდებულება რეფინანსირების განაკვეთსა და სავალუტო კურსს შორის, უნდა დავაკვირდეთ მათ შორის ურთიერთკავშირს. ვნახოთ ის პერიოდები, როდესაც ვალუტის გაუფასურებას აქვს ციკლური ხასიათი და ამ დროს ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებები რეფინანსირების განაკვეთთან

**ცხრილი 1. გაცვლით კურსზე მოქმედი ფაქტორების დინამიკა**

| პერიოდი | ლარის კურსი (კვარტალური) | რეფინანსირების განაკვეთი (კვარტალური) | უცხოური ინვესტიციები ათ. $ (კვარტალური) | მთლიანი სახელმწიფო ვალი (მლრდ $) | ფულადი გზავნილები (ათ.$) | ექსპორტ-იმპორტი (ათ. $ ) | მომსახურების ბალანსი (ათ.$) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 06.2010 | 1,85 | 6,25 | 211453810 | 9096868 | 266589 | -836113 | 91031 |
| 09.2010 | 1,83 | 7 | 236839771 | 9830293 | 280238 | -908298 | 201711 |
| 12.2010 | 1,77 | 7,5 | 241207643 | 10243775 | 265437 | -1014796 | 134097 |
| 03.2011 | 1,76 | 8 | 225587119 | 10752932 | 318102 | -1028105 | 155201 |
| 06.2011 | 1,66 | 8 | 273103212 | 10980542 | 321407 | -1039074 | 147475 |

მიმართებაში. ცხრილ 1-ზე მოცემულია 2010 წლის მე-3 კვარტალიდან 2011 წლის მე-3 კვარტალამდე პერიოდი.

ამ პერიოდში სავალუტო კურსი გამყარდა 19 თეთრით. საინტერესოა, რომ კურსი თანაბრად უფასურდებოდა და მაშინ როდესაც ეროვნულმა ბანკმა რეფინანსირების განაკვეთი 1.75% გაზარდა, სავალუტო კურსმაც გამყარება დაიწყო. ზემოქმედების უკეთ დასადგენად კორელაციური კავშირი იქნა გამოყენებული

**ცხრილი 2. კორელაციური კავშირი სავალუტო კურსსა და რეფინანსირებას შორის რეფინანსებასთან მიმართებაში**

| | Column 1 | Column 2 |
|---|---|---|
| Column 1 | 1 | |
| Column 2 | - 0.86164 | 1 |

კავშირი ამ 2 ცვლადს შორის -0.86-ია, რაც ნიშნავს, რომ რეფინანსირების განაკვეთის გაზრდამ გამოიწვია სავალუტო კურსის გამყარება ამ კონკრეტული პერიოდისთვის. ეროვნულ ბანკში აღნიშნულ გადაწყვეტილებას ასე განმარტავენ: „მაღალი დოლარიზაციიდან მომდინარე წნეხი ინფლაციასა და გაცვლით კურსზე კვლავ ძლიერია,აღნიშნული ცვლილება კი ხელს შეუწყობს ლარის დეპოზიტების ბაზარზე კონკურენციის გააქტიურებას, ეტაპობრივად ლარზე მოთხოვნის ზრდასა და სავალუტო ბაზარზე წნეხის შერბილებას“. თუმცა როგორც ზემოთ აღვნიშნეთ სავალუტო კურსზე მხოლოდ რეფინანსირების განაკვეთი არ მოქმედებს. შესაბამისად, სავალუტო კურსზე გავლენის დასადგენად შერჩეულ იქნა სხვადასხვა მაკროეკონომიკური აჩვენებლები.

ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი ლარის გამყარებისთვის არის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. ვინაიდან, უცხოური ვალუტის შემოსვლა ქვეყანაში ამყარებს ადგილობრივ ვალუტას, მისმა ზრდამაც სავარაუდოდ ხელი შეუწყო კურსის გამყარებას 1.66 ნიშნულამდე. კორელაცია მათ შორის -0.716. რაც ნიშნავს იმას, რომ კავშირი საკმაოდ მაღალია, თუმცა, მისი გავლენა რეფინანსირების განაკვეთთან მიმართებაში შედარებით დაბალია.

**ცხრილი 3. კორელაციური კავშირი სავალუტო კურსსა და ინვესტიციებს შორის ინვესტიციებთან მიმართებაში**

| | Column 1 | Column 2 |
|---|---|---|
| Column 1 | 1 | |
| Column 2 | - 0.71688 | 1 |

კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც ანალიზში მოხვდა არის ქვეყნის მთლიანი სახელმწიფო ვალი. საგარეო ვალების გასტუმრებისთვის საჭიროა უცხოური ვალუტა, მასზე გაზრდილი მოთხოვნა კი ეროვნული ვალუტის გაუფასურების ხელშემწყობია. თუმცა, ამ პერიოდში ვალის მოცულობის ზრდამ და ეკონომიკაში მისმა ჩაშვებამ კურსი პირიქით გაამყარა, რაც უფრო ძლიერი კორელაციური კავშირით აისახა, ვიდრე ეს იყო რეფინანსირების განაკვეთის შემთხვევაში - 0.95.

**ცხრილი 4. კორელაციური კავშირი სავალუტო კურსსა და საგარეო ვალს შორის ვალთან მიმართებაში**

| | Column 1 | Column 2 |
|---|---|---|
| Column 1 | 1 | |
| Column 2 | - 0.95379 | 1 |

ვინაიდან, საქართველოს ეკონომიკა გარკვეულწილად უცხოურ გზავნილებზეა დამოკიდებული, ანალიზში ეს მაჩვენებლიც იქნა გათვალისწინებული. როგორც ვიცით, გზავნილების მოცულობის ზრდა იწვევს საქართველოში ლარზე მოთხოვნის ზრდას და ლარის გამყარებას. ამ პერიოდში გზავნილების მოცულობა გაიზარდა და შესაბამისად კურსის გამყარების ერთ-ერთ ფაქტორად მისი ზრდაც უნდა დავასახელოთ. მათ შორის კავშირი არ არის ისეთი მაღალი როგორც რეფინანსირების შემთხვევაში (-0.75), თუმცა აუცილებლად გასათვალისწინებელია.

**ცხრილი 5. კორელაციური კავშირი სავალუტო კურსსა და გზავნილებს შორის გზავნილებთან მიმართებაში**

| | Column 1 | Column 2 |
|---|---|---|
| Column 1 | 1 | |
| Column 2 | - 0.74436 | 1 |

მე-5 ფაქტორი, რომელიც ასევე მოხვდა ჩვენს ანალიზში არის მომსახურებასთან დაკავშირებული საქმიანობები, რომელსაც ასევე გავლენა აქვს ლარის კურსის რეგულირებაში. უნდა ითქვას, რომ ამ პერიოდში მან მნიშნელოვნად ვერ იმოქმედა კურსის გამყარებაში, რაც გამომდინარეობს დაბალ კორელაციურ კავშირში კურსთან მიმართებაში, მხოლოდ - 0.098.

**ცხრილი 6. კორელაციური კავშირი სავალუტო კურსსა და მომსახურებას შორის მომსახურებასთან მიმართებაში**

| | Column 1 | Column 2 |
|---|---|---|
| Column 1 | 1 | |
| Column 2 | - 0.09823 | 1 |

ბოლო ფაქტორი, რომელმაც პირიქით ხელი შეუშალა ლარს უფრო მეტად გამყარებაში, არის უარყოფითი სავაჭრო სალდო. იმპორტის მოცულობის ზრდამ ადგილობრივი ვალუტის საზღვარგარეთ გასვლა და ვალუტის გაუფასურება გამოიწვია. ამიტომ კორელაციური

კავშირი ამ 2 ცვლადს შორის დადებითია (0.55) - უარყოფითი სალდოს ზრდა კურსის გაუფასურებას იწვევს.

**ცხრილი 7. კორელაციური კავშირი სავალუტო კურსსა და მომსახურებას შორის** წმინდა ექსპორტთან მიმართებაში

| | Column 1 | Column 2 |
|---|---|---|
| Column 1 | **1** | |
| Column 2 | **- 0.558371** | **1** |

## COVID-19-ის გავლენა ლარის კურსზე

2020 წელს მსოფლიო უდიდესი ეკონომიკური გამოწვევის წინაშე დადგა. ყველასგან მოულოდნელად, Covid-19 სწრაფად გავრცელდა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, ამან კი გლობალური კრიზისი გამოიწვია. საქართველოში პანდემიისგან გამოწვეული პრობლემები შეეხო ეკონომიკის ყველა ასპექტს, მათ შორის ფულად გზავნილებს, ექსპორტ–იმპორტის დინამიკას, პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს, მთლიან საგარეო ვალს, დეპოზიტებს, ტურიზმს და სხვა გლობალური ფაქტორებს, რომლებიც პირდაპირ კავშირშია გაცვლითი კურსის სტაბილურობასთან. უნდა აღინიშნოს, რომ მცურავი გაცვლითი კურსის მქონე ვალუტებს შორის ლარი ერთ-ერთი ყველა სუსტი აღმოჩნდა. მაგალითად, 2020 წლის მარტის თვეში (11 მარტი - 25 მარტი) ლარი აღმოჩნდა გაცვლითი კურსი, რომელიც მსოფლიოს მასშტაბით ყველაზე მეტად გაუფასურდა [13]. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს მასშტაბით ბევრი ქვეყანაა ისეთი, რომელიც მეტწილად ტურიზმზე და საგარეო გზავნილებზე დამოკიდებული, არსებულმა კრიზისმა საქართველოზე განსაკუთრებით მწვავედ იმოქმედა. ეს შეიძლება აიხსნას ცენტრალური ბანკის არათანმიმდევრული ნაბიჯებით, რომელიც პირდაპირ კავშირშია საზოგადოებრივ მოლოდინებთან, მოლოდინები კი თავის მხრივ მნიშვნელოვან, შეიძლება ითქვას გადამწყვეტ როლსაც კი თამაშობს ლარის გაუფასურებაზე. მიუხედავად ამისა, ლარის ამგვარ ვარდნას ცალსახად ვერ მივაწერთ ცენტრალური ბანკის მოქმედებებს, რადგან მოლოდინებს არა მარტო ქვეყნის მთავარი მონეტარული პოლიტიკის გამტარი, არამედ ფისკალური პოლიტიკაც მნიშვნელოვნად განაპირობებს.

2021 წლის 8 დეკემბერს ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებით რეფინანსირების განაკვეთი 0.5 პროცენტული პუნქტით 10.5%-მდე გაიზარდა. ეს ცვლილება სებ-ის მიერ ახსნილია, როგორც პასუხი გაზრდილ ინფლაციაზე და საშუალოვადიან პერიოდში ფასების დონის მოსალოდნელ ზრდაზე. ეს ტენდენცია არა მარტო კომუნალური გადასახადების სუბსიდირებით და სხვა შიდა ფაქტორებით, არამედ საერთაშორისო სასაქონლო ბაზრებზე ფართო მოხმარების პროდუქტების ფასების ზრდითაც არის გამოწვეული. სებ-ის ეს ნაბიჯი შეიძლება სწორად ჩაითვალოს, გამომდინარე იქედან, რომ ქვეყანას ორნიშნა ინფლაციის მაჩვენებელი აქვს. მეორე მხრივ, მიუხედავად საერთაშორისო ფასების ზრდისა, არსებული ინფლაციის ერთ-ერთ მთავარ გამომწვევ მიზეზად, ლარის კურსის გაუფასურება რჩება. იმ პირობებში, როდესაც სამომხმარებლო კალათის კომპონენტების უმეტესობა იმპორტირებულია, გაცვლითი კურსის გაუფასურება შეიძლება ფასების შემდგომი ზრდის პირდაპირ ინდიკატორად ჩაითვალოს. მაშინ, როცა კურსის გაუფასურება ინფლაციას გადაეცემა, ეროვნული ბანკისთვის პრობლემის აღმოფხვრა უფრო რთული ხდება. აქედან გამომდინარე, ქვეყნის ეკონომიკისათვის უფრო უმტკივნეულო იქნება მონეტარული პოლიტიკის შესახებ გადაწყვეტილების მიღება არა მხოლოდ ინფლაციიდან გამომდინარე, არამედ კურსის მნიშვნელოვანი გაუფასურების შემთხვევაშიც.

ცალსახად ვერ ვიტყვით, რომ ვალუტის ცვლილებისას რეფინანსირების განაკვეთის გამკაცრება ყოველთვის სწორი გადაწყვეტილებაა. რა თქმა უნდა, უნდა არსებობდეს გაცვლითი კურსის გაუფასურების ლოგიკური ზედა ზღვარი, რომელთან მიახლობის შემთხვევაშიც მონეტარული პოლიტიკის ცვლილებას ექნება პოზიტიური შედეგი მთლიანი ეკონომიკისთვის.

## დასკვნა

მოქმედი ფაქტორების კორელაციური ანალიზის და ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებების შესწავლის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სავალუტო კურსის ისეთი გაუფასურების შემდეგ, რომელსაც შეუძლია გავლენა ინფლაციაზეც მოახდინოს, ეროვნული ბანკი ზრდის რეფინანსირების განაკვეთს, რასაც მოყვება სავალუტო კურსის მოკლევადიანი დასტაბილურება. ვერ ვიტყვით, რომ მხოლოდ რეფინანსირების სესხებით და განაკვეთით შესაძლებელია ლარის კურსის მართვა, რაზეც ჩვენს მიერ სავალუტო კურსზე მოქმედი დამატებით 5 ფაქტორიც მეტყველებს. ამას ისიც ემატება, რომ ეროვნული ბანკის პრეზიდენტის განცხადებით „ეს ისედაც არ არის მათი მიზანი“. ჩვენი ნაშრომის მიზანი იყო უფრო მეტი სიცხადე შეგვეტანა რეფინანსირების განაკვეთით სავალუტო კურსის რეგულირებაში. მიუხედავად იმისა, რომ ტეილორის ტიპის ფუნქციას იყენებს ეროვნული ბანკი რეფინანსირების განაკვეთის დადგენისას და მასში მოიაზრება მშპ-ს გაპი, რომელიც უნდა კორექტირდებოდეს დოლარიზაციის კოეფიციენტის ცვლილების ხარჯზე. თუმცა, მონეტარული პოლიტიკის ასეთ გადაწყვეტილებაში რეფინანსირების განაკვეთის ცვლილებისას ვერ ვპოულობთ ეროვნული ვალუტის გაუფასურებით გამოწვეული მონეტარული პოლიტიკის საპროცენტო განაკვეთის კორექტირებას. შეიძლება ითქვას ხშირ შემთხვევაში მონეტარული პოლიტიკის განცხადებები აღნიშნული მოსაზრებების საწინააღმდეგოა. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური გარემოდან გამომდინარე აუცილებელია ცალკე ცვლადად შემოტანილ იქნას ისეთი მაჩვენებელი ტეილორის ტიპის ფუნქციაში, რომელიც უფრო ობიექტურად და ადეკვატურად ასახავს ეროვნული ვალუტის გამყარება/გაუფასურებას უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. მ. ხიდაშელი, საერთაშორისო ფინანსების ზოგადი თეორია, ქუთაისი: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2017.

2. საქარველოს ეროვნული ბანკი, "ბანკის შესახებ," 1 3 2021. [Online]. Available: https://www.nbg.gov.ge/index.php?m=327&fbclid=IwAR0MfSs1vFxDkTdtsqOoZe02QZ6zH2v1b8hg-3yV1zVhkbZMJYvMPXa9nV8.

3. О. Ермоленко , "ТАРГЕТИРОВАНИЕ ИНФЛЯЦИИ: МЕЖДУНАРОДНЫЙ ОПЫТ И ПЕРСПЕКТИВЫ В РОССИИ," специалист операционного отдела Ростовского филиала ОАО АКБ «Связь-Банк», 2011.

4. საქართველოს ეროვნილი ბანკი, "საქართველოს ეროვნილი ბანკის მონეტარული პოლიტიკის სტრაგეია," 1 3 2021. [Online]. Available: https://www.nbg.gov.ge/index.php?m=628&fbclid=IwAR00jORaM_Avo4Nqu0JVI-c7v5e-SY65kuVzLKK0WZPMInG6H9rD4CO2XC3Q.

5. საქართველოს ეროვნული ბანკი, "მონეტარული პოლიტიკა," 1 3 2021. [Online]. Available: https://www.nbg.gov.ge/index.php?m=533.

6. საქართველოს ეროვნული ბანკი, "მონეტარული პოლიტიკის (რეფინანსირების განაკვეთი)," 1 3 2021. [Online]. Available: https://www.nbg.gov.ge/index.php?m=555.

7. საქართველოს ეროვნული ბანკი, "მონეტარული პოლიტიკის საოპერაციო დოკუმენტი," 12 12 2019. [Online]. Available: https://www.nbg.gov.ge/uploads/mpc_mannual/mp_manual_final.pdf.

8. საქართველოს ეროვნული ბანკი, "პროგნოზირებისა და მონეტარული პოლიტიკის ანალიზის სისტემა," 12 03 2021. [Online]. Available: https://www.nbg.gov.ge/index.php?m=639.

9. ი. ზარდიაშვილი, "სავალუტო ბაზარი და გაცვლით კურსზე მოქმედი ფაქტორები," ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2019.

10. ო. დგებუაძე, "რა არის რეფინანსირების სესხი და აქვს თუ არა გავლენა ლარის კურსზე?," 24 12 2019. [Online]. Available: https://bm.ge/ka/article/ra-aris-refinansirebis-sesxi-da-aqvs-tu-ara-gavlena-laris-kursze/45916.

11. ე. შამუგია, "ლარის გაცვლითი კურსის მიმოხილვა," 24 5 2021. [Online]. Available: https://bm.ge/ka/article/laris-gacvliti-kursis-mimoxilva-1405--2105/83195.

12. ინტერპრესნიუსი, "ინტერპრესნიუსი," ინტერპრესნიუსი, 28 24 2021. [Online]. Available: https://www.interpressnews.ge/ka/article/653758-koba-gvenetaze-erovnuli-bankis-amocana-ar-aris-da-ver-ikneba-laris-gacvliti-kursis-martva/?fbclid=IwAR0B7N5T3cpYEqJ565Xag7kAhFeARmHf1fqggRc67WGEinUgxLnEoYfEOGY. [Accessed 15 05 2021].

13. საქართველოს ეროვნული ბანკი , "საქართველოს ეროვნული ბანკი," საქართველოს ეროვნული ბანკი , 11-25 March 2020. [Online]. Available: https://bm.ge/ka/article/ekonomikuri-shokis-fonze-msoflioshi-yvelaze-metad-lari-gaufasurda/52142.

14. საქართველოს ეროვნული ბანკი, "ინფლაციის თარგეთირება," 1 3 2021. [Online]. Available: https://www.nbg.gov.ge/index.php?m=538.

15. საქართველოს ეროვნული ბანკი, "ფულადი გზავნილები," 1 4 2021. [Online]. Available: https://analytics.nbg.gov.ge/views/_15/sheet0?iframeSizedToWindow=true&:embed=y&:showAppBanner=false&:display_count=no&:showVizHome=no.

16. შ. ტყეშელაშვილი, "საქართველო ფულად გზავნილებზე დამოკიდებულებით მსოფლიოში 21-ე ადგილზეა," 23 5 2021. [Online]. Available: https://bm.ge/ka/article/saqartvelo-fulad-gzavnilebze-damokidebulebit-msoflioshi-21-e-adgilzea/83180.

# მიწის ადმინისტრირების ძირითადი საფუძვლების მიმოხილვა

**რეზიუმე**

მიწა უდიდესი რესურსია, რომლის გარეშეც დედამიწაზე სიცოცხლე არ იარსებებდა. მიწა, როგორც ფიზიკური, ასევე აბსტრაქტული შინაარსის მქონე საგანია. მიწა ერისთვის მისი სახელმწიფო ტერიტორიაა, რომელსაც ქართულად მამული ეწოდება და ფაქტობრივად არის ერის არსებობისა და შემოქმედების აუცილებელი არეალია.

ადამიანის მიერ წარმოებული მმართველობითი საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი მიწის რესურსების მართვაა. მიწის, როგორც სიცოცხლის მთავარი პირობის, განსაზღვრული მოცულობისა და შეუნაცვლებელი წარმოების საშუალების დაცვისა და რაციონალურად გამოყენების ორგანიზაციის აუცილებლობა განპირობებულია მსოფლიო მოსახლეობის რიცხვისა და მიწიდან მიღებულ სიკეთეზე მოთხოვნილებების ზრდით.

მიწის ადმინისტრირება არის ინფრასტრუქტურის ნაწილი, რომელიც ხელს უწყობს წარმატებულ მიწის მართვას. მიწის რესურსების მართვა წარმოადგენს სისტემატურ, მიზანმიმართულ ზემოქმედებას მიწასთან დაკავშირებულ ურთიერთობებზე და ის მიზნად ისახავს მიწის რაციონალურ გამოყენებასა და დაცვას.

**საკვანძო სიტყვები:** მიწის ადმინისტრირება, მიწის მართვა, კადასტრი.



**ანა ჭიპაშვილი**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის
აგრარული ეკონომიკის პროგრამის დოქტორანტი



**ფატიმა ქვაცაბაია**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის
საიჟინრო გეოდეზიის და გეოინფორმატიკის დეპარტამენტის
ასოცირებული პროფესორი.

# OVERVIEW OF THE BASICS OF LAND ADMINISTRATION

**Ana Chipashvili**
Georgian Technical University,
Faculty of Agrarian Sciences and Biosystems Engineering,
PhD student

**Fatima Kvatsabaia**
Georgian Technical University, Department
of Engineering Geodesy and Geoinformatics,
Faculty of Mining and Geology, Associate Professor

**RESUME**

Land is the greatest resource, life would not exist on earth without land. Land is an object of both physical and abstract content. Land is its state territory for the nation, which is called motherland in Georgian and in fact is a necessary area for the existence and creativity of the nation.

One of the most important part of man-made management activities is land management. The need to protect and rationally use land as the main condition of life, its defined volume and means of irreplaceable production is due to the growing population of the world and the demand for good received from the land.

Land administration is part of the infrastructure that contributes to successful land management. Land resource management is a systematic, targeted impact on land relations and it aims at the rational use and protection of land.

**Keywords:** Land Administration, Land Management, Cadastre.

მიწის, როგორც უმნიშვნელოვანესი ბუნებრივი რესურსის და წარმოების ძირითადი ფაქტორის ადმინისტრირება ქვეყნის პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობის ამოცანას წარმოადგენს. თანამედროვე ეტაპზე ქვეყანაში გამოკვეთილია ისეთი პრობლემები, რომელთა გადაწყვეტა მოითხოვს მიწის ადმინისტრირების სისტემათა სწორ და წარმატებულ ფუნქციონირებას.

მიწის ადმინისტრირების სისტემების წარმატებული ფუნქციონირებისთვის აუცილებელია მიწის ადმინისტრირების საფუძვლების გათვალისწინება. სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებულია მიწის ადმინისტრირების ათი ძირითადი საფუძველი. მიწის ადმინისტრირების ათი საფუძველი შემდეგია:

**1. მიწის ადმინისტრირების სისტემები (LAS)** - მიწის ადმინისტრირების სისტემები ქმნიან საფუძველს მიწის პოლიტიკისა და მიწის მართვის სტრატეგიების განსახორციელებლად, რათა მიღწეულ იქნეს მდგრადი განვითარება. საფუძველი მოიცავს ინსტიტუციურ ღონისძიებებს, სამართლებრივ ჩარჩოებს, პროცედურებს, სტანდარტებს, ინფორმაციას მიწასთან დაკავშირებით, მართვასა და გავრცელების სისტემებს, მიწის ბაზრებს, მიწის შეფასებას, მიწის გამოყენების კონტროლსა და უძრავ ქონებაზე უფლების განვითარებას.

**2. მიწის მართვის პარადიგმა** - მიწის მართვის პარადიგმა არის პრინციპებისა და წესების ერთობლიობა, რაც მიწის მართვას განსაზღვრავს, როგორც დისციპლინას. წესები და პრინციპები უკავშირდება მიწის ადმინისტრირების სისტემის ოთხი სახის მიმართულებას, სახელდობრ - მიწის საკუთრებას, მიწის შეფასებას, მიწის გამოყენებასა და მიწის განვითარებას, ასევე მათ ურთიერთქმედებას. ეს ოთხი მიმართულება საფუძვლად უდევს მიწის ეფექტური ბაზრის ფუნქციონირებას.

**3. ხალხი და ინსტიტუტები** - მიწის ადმინისტრირების სისტემა (LAS) ეხება ხალხის მონაწილეობას ქვეყნის განსაკუთრებულ სოციალურ და ინსტიტუციურ მოწყობაში, რაც წარმოადგენს კარგი მმართველობის, ინსტიტუციური განვითარების, კომპეტენციის ჩამოყალიბების, სოციალური ურთიერთობების საფუძველს და აქცენტს აკეთებს მომხმარებლებზე.

**4. უფლებები, შეზღუდვები და პასუხისმგებლობები** (RRR – rights, restrictions and responsibilities) - მიწის ადმინისტრირების სისტემა ქმნის საფუძველს უფლებების, შეზღუდვებისა და პასუხისმგებლობის კონცეპტუალიზაციისთვის, რაც უკავშირდება ხალხს, ადგილსა და პოლიტიკას. უფლებები ჩვეულებრივ ეხება საკუთრებასა და მფლობელობას, ხოლო შეზღუდვები, როგორც წესი, აკონტროლებენ მიწათსარგებლობას და საქმიანობას მიწაზე. პასუხისმგებლობა დაკავშირებულია უფრო მეტ სოციალურ, ეთიკურ მოვალეობასთან (ვალდებულებასთან) ან გარემოს მდგრადობის მიმართ დამოკიდებულებასთან და წარმატებულ სოფლის მეურნეობასთან. უფლებები, შეზღუდვები და პასუხისმგებლობები უნდა იყოს შემუშავებული თითოეული ქვეყნის ან იურისდიქციის ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად და უნდა იყოს დაბალანსებული მმართველობის სხვადასხვა საფეხურებს (დონეებს) შორის - ადგილობრივიდან ეროვნულამდე.

**5. კადასტრი** - კადასტრი ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს რაიმეს აღწერას, სიას; რაიმეს შესახებ არსებულ მონაცემთა კრებულს. კადასტრი ეს არის ოფიციალური ორგანოს ან დაწესებულების მიერ შედგენილი სია, მონაცემთა კრებული. (მაგ. მიწის, წყლის, ტყის, ქალაქის და ა.შ. კადასტრი). მიწის კადასტრი არის მონაცემთა ერთობლიობა, რომელიც მოიცავს ინფორმაციას მიწის ბუნებრივი, სამეურნეო, სამართლებრივი, ეკოლოგიური




**სურ. N1 მიწის მართვის პარადიგმა (ენემარკი 2004)**

და ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ, პასუხობს კითხვებს “ვისი? სად? რამდენი? როგორი?” ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება მიწის კადასტრს ახალ შესაძლებლობებს აძლევს. თანამედროვე ეტაპზე მიწასთან დაკავშირებული ინფორმაცია, რომელსაც კადასტრი ქმნის, გაციფრებული და გეოკოდირებულია (**გეოკოდირება** არის გამოთვლითი პროცესი, რომლის დროსაც ფიზიკური მისამართი გარდაიქმნება გეოგრაფიულ კოორდინატებად, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვადასხვა რუკების შექმნისთვის), რაც ამ ეტაპზე უაღრესად მნიშვნელოვანი პროცესია და ხელს უწყობს ქვეყანაში მიწის ადმინისტრირების სისტემის საფუძველის შექმნას. გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემების გამოყენება და მათი ჩართვა მიწის საკადასტრო მონაცემთა დამუშავებისა და ანალიზის პროცესში, უფრო ეფექტურსა და მოსახერხებელს ქმნის საკადასტრო სამუშაოთა წარმოების პროცესს. ტექნიკური აპარატურითა და პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით იქმნება მიწის რესურსების მართვისა და ადმინისტრირებისთვის მეტად საჭირო მონაცემთა ბაზა. სამუშაოთა კომპლექსი ითვალისწინებს სივრცული მონაცემების შეგროვებას, შენახვა-ანალიზს, ოპერაციული პროცესების მოდელირებას, შედეგების ვიზუალიზაციას. მიღებული პროდუქტი უზრუნველყოფს ქვეყნის მიწის ფონდის მართვის, მიწის ბაზრის განვითარების, მიწათსარგებლობის დაგეგმარების, ფისკალური პოლიტიკის, გარემოს დაცვის და ა.შ. საკითხთა სწორ გადაწყვეტას.

აღნიშნული სისტემები მოიცავს ურთიერთკავშირს მიწის ნაკვეთების იდენტიფიცირებასა და მიწაზე უფლებების რეგისტრაციას შორის. ისინი ეხმარებიან მიწისა და სხვა უძრავი ქონების შეფასებასა და დაბეგვრას; მიწის ამჟამინდელი და შესაძლო სამომავლო გამოყენების ადმინისტრირებას.

**6. მიწის ადმინისტრირების სისტემის დინამიურობა** - დინამიზმს აქვს ოთხი ასპექტი. პირველი ასპექტი მოიცავს ცვლილებებს რაც დაკავშირებულია ადამიან(ებ)ის მიწასთან ურთიერთობის მუდმივ ევოლუციასთან. ეს ევოლუცია შეიძლება გამოწვეული იყოს ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი ზემოქმედებით. მეორე ასპექტი გამოწვეულია ინფორმაციული საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) განვითარებითა და გლობალიზაციით და მათი შედეგებით მიწის ადმინისტრირების სისტემის ფუნქციონირებაზე. მესამე ასპექტი გამოწვეულია მიწის ადმინისტრირების სისტემაში ინფორმაციის დინამიური ბუნებით (მაგალითად, საკუთრების ცვლილება, შეფასება, მიწის გამოყენება და მიწის ნაკვეთის დაყოფა). მეოთხე ასპექტი მოიცავს ცვლილებებს მიწის ინფორმაციის გამოყენებაში.

**7. პროცესები** - მიწის ადმინისტრირების სისტემა მოიცავს პროცესების ერთობლიობას, რომლებიც მართავენ ცვლილებებს. ძირითადი პროცესები უკავშირდება მიწის გადაცემას, ცვლილებას, ქონებრივი უფლებების წარმოშობასა და გადაცემას, შეფასებასა და განვითარებას.

**8. ტექნოლოგია** - ტექნოლოგია გვთავაზობს მიწის ადმინისტრირების სისტემის ეფექტურობის გაუმჯობე-




**სურ. N2. მრავალფუნქციური საკადასტრო სისტემების კონცეფცია (Enemark 2005)**

სების შესაძლებლობასა და მიწის საკითხების სივრცით უზრუნველყოფას. ტექნოლოგია სრულყოფს მიწის შესახებ ინფორმაციის შეგროვებას, შენახვას, მართვასა და გარცელებას. ამავე დროს ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (ICT) გვთავაზობს მიწის საკითხების სივრცითი გაძლიერების პოტენციალს ადგილმდებარეობის გამოყენებით.

**9. სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურა -** სრულყოფილი და ეფექტური მიწის ადმინისტრირების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს მდგრად განვითარებას, მოითხოვს სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურას (SDI). სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურა (SDI) წარმოადგენს შესაძლებლობების პლატფორმას, რომელიც აკავშირებს ადამიანებს ინფორმაციასთან. ის ხელს უწყობს ბუნებრივი და ადამიანის მიერ სახეცვლილი (კულტურული) გარემოსადაცვითი მონაცემების გაერთიანებას, როგორც მდგრადი განვითარების წინაპირობას.

**10. წარმატების კრიტერიუმი** – მიწის ადმინისტრირების წარმატებული სისტემის კრიტერიუმია შესაძლებლობა, მიწის მართვა და ადმინისტრირება განახორციელოს გონივრულად, ეფექტურად და დაბალ ფასად. **მიწის ადმინისტრირების სისტემის წარმატება მდგომარეობს მართებული კანონების მიღებაში, ინსტიტუტებში, პროცედურებსა და ტექნოლოგიებში, რომლებიც შექმნილია კონკრეტული ქვეყნის ან რეგიონის საჭიროებებისათვის.**

მიწის მართვის სისტემა მთლიანობაში აგებულია განსაზღვრული და ურთიერთდაკავშირებული ნაწილებისგან. ამ ელემენტებმა (ნაწილებმა) უნდა იმუშაონ ერთად, რათა მიაღწიონ იმ მიზნებს რომლებიც ასახულია მიწის პოლიტიკასა და მიწის მართვის (მენეჯმენტის) სტრატეგიებში.

მიწის ადმინისტრირება ჰგავს საგზაო ქსელს, რომელიც საშუალებას აძლევს სატრანსპორტო საშუალების ჯგუფს იმოძრაონ მასზე სხვადასხვა მიზნებისთვის.

მიწის ადმინისტრირების სისტემის სტრუქტურაში მიწის პოლიტიკა პირამიდის სათავეშია (იხ. სურ. N3). მიწის პოლიტიკა აყალიბებს სტრატეგიებს და მიზნებს მიწის სოციალურ, ეკონომიკურ და ეკოლოგიურ გამოყენებასთან დაკავშირებით. ამდენად, იგი წარმართავს ყველაფერს მიწის შესახებ. ის განასახიერებს ქვეყნის ხედვას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქნას მიწა გაგებული, რეგულირებული და მართული და ეს ხედვა უნდა გავრცელდეს მმართველობის ყველა დონეზე.

მიწის მართვის ადმინისტრირების მდგრადი სისტემების შექმნა მოითხოვს გრძელვადიან ინვესტიციებს და მუდმივ მხარდაჭერას. მიუხედავად იმისა, რომ მიწის ჩანაწერების შედგენა და განახლება ძვირია, მიწის ადმინისტრირების კარგ სისტემას ბევრი სარგებელი მოაქვს. დაცული საკუთრების უფლება და მიწის ეფექტური ბაზარი საფუძველია მეტი სანდოობისა და ინვესტიციის, რაც უზრუნველყოფს უფრო მეტ პროდუქტიულობას და ეკონომიკურ ზრდას, შესაბამისად შემოსავლების ზრდას და სიღარიბის შემცირებას.

მიუხედავად იმისა, რომ მიწის ადმინისტრირების სისტემები ხშირად მიმართულია მიწის ინდივიდუალურ მესაკუთრეთა ინტერესების დასაცავად, ისინი წარმოადგენენ ეროვნული მიწის პოლიტიკის ინსტრუმენტებსა და ეკონომიკური განვითარების ხელშემწყობ მექანიზმებს.

ქართული სახელმწიფოს წინაშე დღეს არსებულ მრავალ გამოწვევას შორის, უმთავრესი მიწის საკითხის გადაწყვეტაა. მიწის საკითხი ყველაზე არსებითად არის დაკავშირებული ქვეყნის ბედთან, რადგან ტერიტორიული იდენტობა ეროვნული თვითცნობიერების ნიადაგია, ხოლო მისი შენარჩუნება წარმოუდგენელია მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ეროვნული და ტრადიციული ინტერესების გათვალისწინების მოწესრიგებულობის გარეშე.




**სურ. N3. ელემენტების იერარქია მიწის ადმინისტრირების სისტემაში (ადაპტირებულია, საიმონ ჰალი, 2019)**



**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. მიწის მმართველობა, პაატა კოლუაშვილი, ჯუმბერ ფანჩულიძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი 2018;

2. მიწის ადმინისტრირების სახელმძღვანელო პრინციპები, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიკური საბჭო, საზოგადოებრივ დასახლებათა კომიტეტი, მიწის ადმინისტრირების სამუშაო ჯგუფი, თბილისი, 2012;

3. გურამ მეტივიშვილი, მიწის ინტეგრირებული პოლიტიკისა და შრომითი მიგრაციის გამოწვევები საქართველოში, თბილისი, 2018;

4. An Introduction to Land Administration, Simon Hull , Rosalie Anne Kingwill, Technical Report , September 2020;

5. Land Administration for Sustainable Development, Ian Phillip Williamson, Stig Enemark, Abbas Rajabifard, January 2009;

6. Cadastre: Geo-Information Innovations in Land Administration, Tahsin Yomralioglu anda John McLaughlin, 2017;

7. Land Administration Systems - managing rights, restrictions and responsibilities in land, Stig Enemark MAP WORLD FORUM, HYEDRABAD, INDIA, 10-13 FEBRUARY 2009.

8. LAND ADMINISTRATION IN THE UNECE REGION, Development trends and main principles, ECONOMIC COMMISSION FOR EUROPE UNITED NATIONS, New York and Geneva.

# საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდოლოგიური სრულყოფის საკითხები საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს) შესაბამისად

**ანოტაცია**

საბაზრო ეკონომიკის თანდათანობითი განვითარების კვალობაზე ჩვენს ქვეყანაში საჭირო გახდა რეფორმების გატარების აუცილებლობა ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში, მათ შორის საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების მიმართულებით. სახელმწიფო მმართველობაში გარდაქმნების განხორციელების საქმეში საჯარო სექტორის ბუღალტრულ აღრიცხვას განსაკუთრებული მნიშველობა ენიჭება. ამ ასპექტში ეკონომიკის საჯარო სექტორის აღრიცხვის მეთოდოლოგიამ უნდა შეიძინოს ახალი ფუნქციები და შესაძლებლობები. აქედან გამომდინარე ნაშრომში გაანალიზებულია გატარებული ღონისძიებები და მიღებული შედეგები, გამოვლენილია არსებული ნაკლოვანებები და შემუშავებულია მათი გამოსწორების გზები.

**საკვანძო სიტყვები:** საბიუჯეტო ორგანიზაცია, სსბასს, ხაზინა, ბუღალტრული აღრიცხვა, დებიტორული დავალიანებები, ხაზინისათვის გადასახდელები, ფინანსური ანგარიშგება, საერთაშორისო სტანდარტები, ბუღალტრული ანგარიშები.



**ბიძინა გრიგალაშვილი**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დოქტორანტი

# METHODOLOGICAL IMPROVEMENT ISSUES OF ACCOUNTING OF BUDGET ORGANIZATIONS ACCORDING TO INTERNATIONAL STANDARDS (IPSAS) ACCORDINGLY

**Bidzina Grigalashvili**
PhD Student Georgian Technical University

**ANNOTATION**

Due to the gradual development of the market economy in our country, it became necessary to carry out reforms in various areas of the economy, including public sector accounting and reporting. Public sector accounting is of particular importance in the implementation of transformations in public administration. In this aspect, the public information accounting methodology of the economy should retain new functions and capabilities. Therefore, the paper analyzes the measures taken and the results obtained, identifies the existing shortcomings and develops ways to correct them.

**keywords:** Budget Organization (IPSAS), Treasury, Accounting, Accounts Receivable, Treasury Payments, Financial Statements, International Standards, Accounting Accounts.

საქართველოში საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) დანერგვისათვის აქტიური მუშაობა 2010 წლიდან დაიწყო. ამისათვის ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 3 ნოემბრის N701 ბრძანების საფუძველზე შემუშავდა გეგმა, რომელიც პირველ რიგში ითვალისწინებდა შესაბამისი სამართლებრივი გარემოს შექმნას. სამუშაო რამდენიმე ეტაპს მოიცავდა, კერძოდ: სათათბირო ორგანოს შექმნა, საერთაშორისო სტანდარტების ქართულ ენაზე თარგმნა, მოდიფიცირებული საკასო მეთოდის დანერგვა, შეზღუდული დარიცხვის მეთოდის შემოღება და ბოლოს სრული დარიცხვის მეთოდზე გადასვლა. ეს ყველაფერი შესაბამისი ნორმატიული აქტებით იქნა გამყარებული. შედეგად მივიღეთ კერძო სექტორის საბუღალტრო აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების **(IFRS)** ბაზაზე შემუშავებული „საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები“ **(IPSAS).** ამის შესახებ სსბასს 1-ში - „ფინანსური

ანგარიშგების წარდგენა“ აღნიშნულია, რომ „საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი, ძირითადად ეფუძნება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემულ ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტ 1-ს“ [1]

სამოქმედოდ შემოღებული ნორმატიულ-მარეგულირებელი აქტებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“. იგი თავდაპირველად მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი ორგანიზაციებისათვის იყო განკუთვნილი. ეს მოთხოვნა გარკვეულწილად წინააღმდეგობაში მოდიოდა საქართველის საბიუჯეტო კოდექსთან, რომლის მიხედვითაც აუცილებელია სახელმწიფო სექტორის საჯარო დაწესებულებებისა და მუნიციპალური დაწესებულებების ბუღალტრული აღრიცხვა ანგარიშგების სისტემის ერთიანობა,კერძოდ, „საქართველოს ფინანსთა მინისტრი საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით გამოსცემს სათანადო ნორმატიულ აქტებს, რომლებიც უზრუნველყოფს საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ სტანდარტული სააღრიცხვო პროცედურებისა და ანგარიშგების მოთხოვნების დაცვას“[2]. მოგვიანებით არსებული ხარვეზი გამოსწორდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 4 თებერვლის N23 ბრძანებით, რომლის შესაბამისადაც ინსტრუქციის მოთხოვნები გავრცელდა ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციებზეც.

2020 წლის 15 იანვრის N17 ბრძანებით დამტკიცდა ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმა, რომელიც წარმოადგენს საჯარო სექტორში ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების ძირითად მეთოდოლოგიურ სახელმძღვანელოს. რა ძირითადი მომენტების გამოყოფა შეიძლება აქედან?[3]

პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ ინსტრუქცია და შესაბამისად ანგარიშთა გეგმა ეხება ცენტრალურ და მუნიციპალურ საბიუჯეტო ორგანიზაციებს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს და არაკომერციულ ორგანიზაციებს. იგი ეყრდნობა საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის **(IPSAS)** 24 საერთაშორისო სტანდარტს. ახალი ანგარიშთა გეგმისათვის დამახასიათებელია 7 ნიშნა კოდები და მოიცავს 700-ზე მეტ ანგარიშს. ასეთი დეტალური ინფორმაცია თავისთავად მნიშვნელოვანია, თუმცა ამან საგრძნობლად გაართულა აღრიცხვის წარმოება და პრაქტიკოს ბუღალტერთა კრიტიკის საგანი გახდა. გარდა ამისა ბუღალტრული ანგარიშების დასახელება გვაძლევს მეტად მწირ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა აღირიცხება ამ ანგარიშზე, მაგრამ არ გვაძლევს ინფორმაციას, რა იწერება ამ ანგარიშის დებეტში და კრედიტში. მაგალითად, ეროვნულ ვალუტაში ერთ წლამდე ვადით გაცემული კრედიტები და სესხები განმარტებულია შემდეგნაირად: 1-12-1110 ანგარიშზე „საბიუჯეტო სახსრებით ეროვნულ ვალუტაში ერთ წლამდე ვადით გაცემული კრედიტები და სესხები“ აღირიცხება საბიუჯეტო საქმიანობის ფარგლებში ერთ წლამდე ვადით გაცემული კრედიტები და სესხები ეროვნულ ვალუტაში[4]. ზოგიერთ ანგარიშს არ ახლავს სრულყოფილი დახასიათება, მაგალითად, 2-13-4200 ანგარიში განმარტებულია შემდეგნაირად -„საქონლისა და მომსახურების მოწოდების შედეგად წარმოქმნილი მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები საბიუჯეტო წლის ფარგლებს გარეთ“ აღირიცხება საქონლის და მომსახურების მოწოდების შედეგად წარმოქმნილი მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები საბიუჯეტო წლის ფარგლებს გარეთ[5]. აღსანიშნავია, რომ „საბიუჯეტო წლის ფარგლებში“ ანუ მიმდინარე საბიუჯეტო წელს, საქონლის და მომსახურების მოწოდების შედეგად, კრედიტორული დავალიანებები „საბიუჯეტო წლის ფარგლებს გარეთ“ არ წარმოიქმნება. მიმდინარე წელს წარმოქმნილი დავალიანებები, თუ მათი დაფარვა მიმდინარე საბიუჯეტო წელს ვერ მოხერხდა, მხოლოდ მომდევნო წლიდან გახდება „საბიუჯეტო წლის ფარგლებს გარეთ“ წარმოქმნილი. ამ შემთხვევაში კი საჭირო იქნება „საბიუჯეტო წლის ფარგლებში წარმოქმნილი დავალიანების“ ანგარიშიდან თანხები გადატანილი იქნეს „საბიუჯეტო წლის ფარგლებს გარეთ წარმოქმნილ დავალიანებებში“, რომელიც უნდა აისახოს 2-13-4100 ანგარიშის - „საქონლისა და მომსახურების მოწოდების შედეგად წარმოქმნილი მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები საბიუჯეტო წლის ფარგლებში“ დებეტში და 2-13-4200 ანგარიშის - „საქონლისა და მომსახურების მოწოდების შედეგად წარმოქმნილი მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები საბიუჯეტო წლის ფარგლებს გარეთ“ კრედიტში. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს ინსტრუქციაში უნდა იყოს მითითებული. გარდა ამისა ცალკეული ანგარიშების დასახელებები მოითხოვენ აზრობრივ და სტილისტურ დახვეწას, რაც ასევე ერთნაირი ტერმინოლოგიის გამოყენებასაც გულისხმობს, ასე მა-

---

**1 სსბასს1-„ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“ https://matsne.gov.ge/ka/document/view/4859223?publication=0**

**2 საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 14, პ. 1; https://matsne.gov.ge/document/view/91006?publication=49**

**3 https://matsne.gov.ge/document/view/4761772?publication=0**

**4 საქართველოს ფინანსთა მინისტრის 15.01.2020წ. N17 ბრძანება, მუხლი 7, პ.4. „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის და მისი გამოყენების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“. https://matsne.gov.ge/ka/document/view/4761772?publication=0**

**5 საქართველოს ფინანსთა მინისტრის 15.01.2020წ. N17 ბრძანება, მუხლი 24, პ.32. „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის და მისი გამოყენების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“. https://matsne.gov.ge/ka/document/view/4761772?publication=0**

გალითად, 2-00-0000 ბუღალტრულ ანგარიშს, ანგარიშთა გეგმის ჩამონათვალში ეწოდება „ვალდებულებები“, ხოლო ანგარიშთა გეგმის თანმხლებ „საილუსტრაციო ბუღალტრულ გატარებებში“ - „კრედიტორული დავალიანებები“. 1-13-0000 ანგარიშს ეწოდება „დებიტორული დავალიანებები“, ხოლო მის ქვეანგარიშებს ცალკეულ შემთხვევებში, „მოთხოვნები“. ტერმინოლოგიური თავსებადობის მიზნით უპრიანია დებიტორულ დავალიანებებს ყველა კონტექსტში ეწოდოს „მოთხოვნები“, ხოლო კრედიტორულ დავალიანებებს - „ვალდებულებები“. შესაბამისად, ეს თავსებადობაში იქნება კერძო სექტორში გამოყენებულ ტერმინებთან.

ინსტრუქცია ითვალისწინებს საბიუჯეტო სახსრების მოძრაობასთან დაკავშირებული ოპერაციების აღრიცხვას ისეთი სააღრიცხვო უბნების მიხედვით, როგორიცაა „აღრიცხვა საბიუჯეტო ორგანიზაციაში“, „აღრიცხვა გადასახადების ამკრეფ საბიუჯეტო ორგანიზაციაში“ და „აღრიცხვა ხაზინაში“. ამასთან ერთად სახაზინო სამსახურში საბუღალტრო გატარებები უნდა შედგეს ერთის მხრივ „შემოსავლების სამსახურთან მიმართებაში“, როგორც გადასახადების ამკრეფ საბიუჯეტო ორგანიზაციაში და მეორე მხრივ „გადასახადების გადამხდელებთან მიმართებაში“.

შემოსავლების სამსახურში საბიუჯეტო თანხების მოძრაობაზე ინსტრუქციაში მოცემულია შემდეგი მეთოდოლოგია[6]:

**შემოსავლების სამსახურის საბუღალტრო გატარებები:**

**1. დებეტი** - (1-13-2000) „მოკლევადიანი საგადასახადო დებიტორული დავალიანებების შესაბამისი ანგარიში“

**კრედიტი** - 4-10-0000 „საგადასახადო შემოსავლების შესაბამისი ანგარიში“

2. **დებეტი** - 5-52-1000 „შემოსავლების ამკრეფი ერთეულების მიერ ხაზინისათვის გაწეული მიმდინარე ტრანსფერებით ხარჯები“

**კრედიტი** - 2-13-1100 „ხაზინისათვის გადასახდელები საგადასახადო შემოსავლებიდან“

3. **დებეტი** - 2-13-1100 „ხაზინისათვის გადასახდელები საგადასახადო შემოსავლებიდან“

**კრედიტი** - (1-13-2000) „მოკლევადიანი საგადასახადო დებიტორული დავალიანებების შესაბამისი ანგარიში“

რაც შეეხება ხაზინაში თანხების მოძრაობას, აქ მარეგულირებელი ორგანო შემდეგ მეთოდოლოგიას გვთავაზობს:

**სახაზინო სამსახურის საბუღალტრო გატარებები:**

**1. დებეტი** 1-13-1100 „ხაზინის მოკლევადიანი დებიტორული დავალიანებები ბიუჯეტის შემოსულობებით“

**კრედიტი** 4-52-1000 „ხაზინის მიერ შემოსავლების ამკრეფი ერთეულებიდან მიღებული მიმდინარე ტრანსფერები“

2. **დებეტი** 1-11-2100 „ხაზინის ერთიანი ანგარიში ეროვნულ ბანკში“

**კრედიტი** 1-13-1100 „ხაზინის მოკლევადიანი დებიტორული დავალიანებები ბიუჯეტის შემოსულობებით“.

შემოსავლების სამსახურში საბუღალტრო გატარებებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ საბუღალტრო ანგარიშებზე თანხების ასახვა უნდა ეფუძნებოდეს სამეურნეო მოვლენაზე შედგენილ საბუთს. მაგრამ რა საბუთის საფუძველზე ახდენს შემოსავლების სამსახური ამ ბუღალტრულ გატარებებს, მიზანშეწონილია, რომ ეს მითითებული იყოს.

ზემოაღნიშნული ბუღალტრული გატარებების შემდეგ შემოსავლების სამსახურში დაიხურება „მოკლევადიანი საგადასახადო დებიტორული დავალიანებების შესაბამისი ანგარიში“ და ანგარიში „ხაზინისათვის გადასახდელები საგადასახადო შემოსავლებიდან“, ხოლო „საგადასახადო შემოსავლების შესაბამის ანგარიშზე“ და „შემოსავლების ამკრეფი ერთეულების მიერ ხაზინისათვის გაწეული მიმდინარე ტრანსფერებით ხარჯების“ ანგარიშებზე ნაშთები დარჩება. მიგვაჩნია, რომ ორივე ეს ანგარიში უნდა დაიხუროს შესაბამისი ბუღალტრული გატარებით, რომელიც მითითებული იქნება ინსტრუქციაში.

როგორც ვხედავთ ხაზინის ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა აისახება, როგორც „დებიტორული დავალიანების (მოთხოვნის)“ წარმოქმნა და იმავდროულად „შემოსავლების ამკრეფი ერთეულებიდან მიღებული მიმდინარე ტრანსფერები“. პრაქტიკულად შემოსავლების ამკრეფი ერთეულებიდან ხაზინა შემოსავლებს არ ღებულობს. ეს თანხები არის გადასახადის გადამხდელების მიერ ხაზინის ანგარიშზე ანუ ბიუჯეტში პირდაპირ გადახდილი თანხები. ბიუჯეტში თანხების ჩარიცხვა გადამხდელებისაგან ყოველდღიურად მიმდინარეობს. ამავდროულად, თითოეულ ჩარიცხვაზე ბუღალტრული გატარებების შედგენა ხაზინის მიერ პრაქტიკულად შეუძლებელია. მაშასადამე ეს გატარებები წლის ბოლოს უნდა განხორციელდეს მთლიან საბიუჯეტო შემოსავალზე, რის შესახებაც უპრიანია მითითებული იყოს შესაბამის ინსტრუქციაში.

არასაბიუჯეტო სახსრებით საქმიანობის ფარგლებში მიღებული შემოსავლების აღრიცხვის საკითხები ანგარიშთა გეგმაში შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

**1) საქონლისა და მომსახურების მიწოდება:**

დებეტი 1-13-6000 „საქონლისა და მომსახურების გაყიდვებიდან მოკლევადიანი დებიტორული დავალიანებები“

კრედიტი 4-42-0000 „საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები“

**2) მყიდველის მიერ ხაზინის ერთიან ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა:**

დებეტი 1-13-1210 „საბიუჯეტო ორგანიზაციების მოკლევადიანი დებიტორული დავალიანებები ხაზინის

**6 საქართველოს ფინანსთა მინისტრის 15.01.2020წ. N17 ბრძანება, მუხლი 24, პ.32. „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის და მისი გამოყენების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“. https://matsne.gov.ge/ka/document/view/4761772?publication=0):**

მიმართ საბიუჯეტო სახსრებით“

კრედიტი 2-13-1200 „ხაზინისათვის გადასახდელები არასაგადასახადო შემოსავლებიდან“

**3) ხაზინისათვის გადასახდელები არასაგადასახადო შემოსავლებიდან**

დებეტი 2-13-1200 „ხაზინისათვის გადასახდელები არასაგადასახადო შემოსავლებიდან“

კრედიტი 1-13-6000 „საქონლისა და მომსახურების გაყიდვებიდან მოკლევადიანი დებიტორულ დავალიანებები“

არასაბიუჯეტო სახსრებით საქმიანობის ფარგლებში მიღებული შემოსავლების აღსარიცხავად სახაზინო სამსახურის ბუღალტრული გატარებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

**ხაზინის ერთიან ანგარიშზე გადასახდელის მიღება.**

1. **დებეტი** 1-13-1100 „ხაზინის მოკლევადიანი დებიტორული დავალიანებები ბიუჯეტის შემოსულობებით“

**კრედიტი** 2-13-1300 „ხაზინის მიერ საბიუჯეტო ორგანიზაციების ოპერაციების დასაფინანსებლად გადასახდელები“

2. **დებეტი** 1-11-2100 „ხაზინის ერთიანი ანგარიში ეროვნულ ბანკში“

**კრედიტი** 1-13-1100 „ხაზინის მოკლევადიანი დებიტორული დავალიანებები ბიუჯეტის შემოსულობებით“

ჩვენთვის ცნობილია, რომ საჯარო სექტორში საბუღალტრო აღრიცხვის რეფორმის მიზანი იყო „დარიცხვის მეთოდის“ გამოყენება სამეურნეო პროცესებისა და მოვლენების აღრიცხვაში. მართლაც, პირველი გატარებიდან ჩანს, რომ მიწოდებული საქონლის ასახვისათვის გამოყენებული იქნა დარიცხვის მეთოდი, ანუ დაფიქსირდა მოთხოვნის, იგივე დებიტორული დავალიანების წარმოქმნა და იმავდროულად შემოსავლის აღიარება. რაც შეეხება მეორე გატარებას, მყიდველის მიერ ხაზინის ერთიან ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის დროს, საბიუჯეტო ორგანიზაციას ერთის მხრივ წარმოექმნება „დებიტორული დავალიანება“ ანუ მოთხოვნა ხაზინის მიმართ და მეორე მხრივ იმავდროულად „ხაზინისათვის დავალიანება“, რაც ეკონომიკური შინაარსის თვალსაზრისით მართებულად არ მიგვაჩნია. აღნიშნული ხარვეზის გამოსწორების მიზნით უპრიანია შემდეგი მეთოდოლოგიის გამოყენება: მყიდველის მიერ ხაზინის ერთიან ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა აისახოს „ხაზინის ერთიანი ანგარიში ეროვნულ ბანკში“ დებეტში და „საქონლისა და მომსახურების გაყიდვებიდან მოკლევადიანი დებიტორული დავალიანებები“ კრედიტში, რაც საგრძნობლად გაამარტივებს აღრიცხვას და იმავდროულად მივიღებთ ინფორმაციას რა თანხები ერიცხება საბიუჯეტო ორგანიზაციას ხაზინაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სისტემა ჯერ კიდევ შორსაა სასურველისაგან და მოითხოვს ბევრი საკითხის ახლებურად გააზრებას.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. Levan Grigalashvili, Bidzina Grigalashvili - Problems of Reforming Accounting and Financial Reporting in post-Soviet Countries (On the example of Georgia). ECOFORUM, Volume 10, Issue 3(26), 2021;

2. Levan Grigalashvili, Bidzina Grigalashvili - Accountings and financial reportings reform in the Georgian public sector. interConf. Scientific trends and trends in the context of globalization. 7-8 june 2021. Umea, Sveden;

3. ლევან გრიგალაშვილი - საჯარო სექტორის აღრიცხვა-ანგარიშგების პრობლემები. ევრორეგიონული სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2009წ. გვ128 -131;

4. ლევან გრიგალაშვილი - საქართველოს საბიუჯეტო სისტემის სრულყოფის ზოგიერთი საკითხი. ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“, N2, 2012წ. გვ.137-140;

5. დავით ჯალაღონია, იური პაპასქუა - ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის საკანონმდებლო რეგულირება საქართველოში. ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“ 2019წ.**N**1, გვ.17;

6. მიხეილ ჩიკვილაძე - საგადასახადო პოლიტიკა და სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები. ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“ 2018წ.**N**1, გვ.21;

7. საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ. 05.02.1999 წ.; https://matsne.gov.ge/ka/document/view/11488?publication=3;

8. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 3 ნოემბრის N701 ბრძანება - საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის სამოქმედო გეგმის (IPSAS) გეგმის დამტკიცების შესახებ“. https://matsne.gov.ge/en/document/view/1016446?publication=0;

9. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 19 თებერვლის N38 დადგენილება - საქართველოს საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საბჭოს შექმნის შესახებ. https://matsne.gov.ge/en/document/view/1016446?publication=0;

10. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 15 იანვრის N17 - საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის და მისი გამოყენების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე. https://matsne.gov.ge/document/view/4761772?publication=2.

# მისია, რომელიც მიზანზე მეტია...

### გამოხმაურება ზურაბ ხონელიძის წიგნზე: მშვიდობის ქართული პარადიგმა“




კონფლიქტები ისტორიას უთვალავი ახსოვს. თავის მხრივ, ისინი ერთმანეთისგან განსხვავებულია და მათი სახეებიც ბევრია, - პოლიტიკური, სოციალური, ეთნიკური, საზოგადოებრივი, ინტერესთა, მსოფლმხედველობრივი, შეიარაღებული...

პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ომი ამ კონფლიქტების გადაჭრის ყველაზე მარტივი, მაგრამ ყველაზე აგრესიული, უსასტიკესი, დანაშაულებრივი და დამანგრეველი ფორმაა.

განსხვავებულია კონფლიქტების აალებისა და განვითარების ისტორიებიც, მათ საერთო ის აქვთ, რომ უგუნურობიდან, უკუნეთიდან იღებენ სათავეს. ტრაგიკულად მძიმე შედეგებიც, მცირე გამონაკლისის გარდა, მხოლოდ უგუნურობაში რჩება - მათ არავისთვის მოაქვთ სიკეთე, თვით გამარჯვებულებისთვისაც კი და სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივ განვითარებას ათწლეულობით აფერხებენ.

კაცობრიობის ისტორია, ფაქტობრივად, ომების ისტორიაა, აღურიცხავი ადამიანური მსხვერპლით, კატასტროფებით, მატერიალურ-ეკოლოგიური და მძაფრი ზნეობრივი ზიანით.

კონფლიქტების ხილული თუ უხილავი არეალი, ცივილიზაციაზე გავლენა იმდენად დიადია, მათზე მუდმივი დაკვირვება და მეცნიერული შესწავლა გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან უკვე უწყვეტად მიმდინარეობს - ცნობიერმა საზოგადოებამ აკადემიური დარგიც კი - **„კონფლიტოლოგია“** შექმნა და **„კონფლიქტების მართვას“** დაედო სათავე. მაგრამ დაგროვილი ათასწლოვანი გამოცდილების მიუხედავად, კაცობრიობამ დაშვებული შეცდომებიდან გაკვეთილი ვერ მიიღო, - დაძაბულობის ახალი და ახალი წერტილები კვლავაც ჩნდება მსოფლიო რუკაზე; დაპირისპირების განრიდების უნივერსალური, ცალსახად შედეგიანი ხერხიც ვერ გამოძებნა; კონფლიქტების ლოკალური კერებიც კი გლობალური სატკივარი ხდება; მათი ჩაწყნარება ინდივიდუალურ მიდგომას, სახელმწიფოსგან პროპორციულ ჩარევას და საზოგადოების მრავალმხრივ ძალისხმევას საჭიროებს.

მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში გაჭიანურებული თუ გაყინული კონფლიქტები მიძინებული ვულკანებივით თვლემენ, გარკვეული სიხშირით ამოინთხევიან და დაპირისპირების უკომპრომისო ცეცხლოვანი სილიკატური ლავა დინების მიმართულებით ყველაფერს პირწმინდად ანადგურებს. აქამდე ვერავინ შეძლო დამამშვიდებელი სიახლის შეტანა დაპირისპირებულ მხარეთა მორიგებით დასრულების მრავალწლიან მარათონში. გამონაკლისი არც საქართველოში დამოუკიდებლობის დეკლარირების შემდგომ ფორმაციული წყობის ტრანსფორმაციული პროცესების კვალდაკვალ აღმოცენებული აფხაზეთის, ასევე, ე.წ. სამხრეთ ოსეთის ფსევდო-ეთნოპოლიტიკური კონფლიქტი და ტერიტორიული მთლიანობის რღვევაა.

თითქმის 30-წლიანი უსისტემო და უკომპასო ცალკეული განცხადებისა და თავიდანვე წარუმატებლობისთვის განწირული „სამუშაო ჯგუფების“ შეხვედრების გარდა, რეალური ძალის მქონე წამოწყება, მით უფრო - ღონისძიება, ჯერ კიდევ არ ჩანს. საკუთარ ქვეყანაში ასეულობით ათასი დევნილისთვის გაუსაძლისი ყოფის შემსუბუქებას ქვეყნის ხელისუფლება და უფუნქციოდ გაფანტული ინსტიტუცია მინიმალურზე მეტად ვერ ახერხებს.

ასეთ მოცემულობაში, „ცისკრის ზარებივით“

მსოფლიოს ემცნო მშვიდობისყოფის იმედისმომცემი ახალი ფორმატი, - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა **ზურაბ ხონელიძემ** ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე გამოსცა პრაგმატულობით გაჯერებული ნაშრომი: **„მშვიდობის ქართული პარადიგმა“.** საუკეთესო პოლიგრაფიული შესრულებით გამოცემული ეს წიგნი მრავალმხრივაა საინტერესო, - **ის ყურადღებას იპყრობს განხილული საკითხების აქტუალობით, მასშტაბით, მიზანდასახულობით, პრობლემის ორიგინალური გადაწყვეტის თეორიული და პრაქტიკული მიდგომებით, ფორმირებად გლობალურ სივრცეში უნივერსიტეტისა და დიპლომატიის სინერგიაზე დაფუძნებულ, აგრეთვე სამხრეთ კავკასიის სამშვიდობო სივრცედ ჩამოყალიბების იდეებზე აქცენტირებით.**

განსაკუთრებით საინტერესოა საერთო კავკასიური სოციო-კულტურული და პოლიტიკური სივრცის შესახებ თვალსაზრისი, ავტორის მისაზრებები თუ ცხადად დანახული პერსპექტივა, რომელზეც შესაძლოა აზრის გავრცობა, მისი სხვა რაკურსითაც წარმოდგენა, თუმცა ნებისმიერი შემფასებელი მას არსებითად ახალს ვერაფერს დაამატებს, - **წიგნს სხვადასხვა ქვეყნის და დარგის, მაღალი რანგის 23 რეცენზენტი უკვე ჰყავს, მათ მიერ ამ გამოცემის ყველა ღირსება შენიშნულია, სარგებელი მრავალშრიან საცერშია გატარებული და ავტორის უმაღლესი კომპეტენტურობა აღმატებულ რანგშია აღიარებული. „მშვიდობის ქართულ პარადიგმაში“ წარმოდგენილ კონფლიქტების დარეგულირებისა და საყოველთაო მშვიდობის შენების ახლებურ ხედვას მხარს უჭერს საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოება და დიპლომატიური კორპუსიც.**

ჩემი, როგორც რიგითი მკითხველის და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური წრის წარმომადგენლის, გამოხმაურება ამ წიგნზე მოტივირებულია იმ მისიით, რაც მისმა ავტორმა **ზურაბ ხონელიძემ** დევნილობაში აღორძინებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას დააკისრა. ამიტომ აქ მხოლოდ შიგნიდან დანახულ ამ მისიის განსაკუთრებულობასა და მისი არსის ჩემეულ აღქმაზე შევჩერდები.

**დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ თბილისში 27-წლიანი ფუნქციონირების განმავლობაში, ასეთი ცნობადობა ამ უნივერსიტეტს არასდროს ჰქონია, - ბატონმა ზურაბ ხონელიძემ ის მსოფლიოს გააცნო, - თავისი მაღალი რანგის დიპლომატიური უნარებისა და პიროვნული ხიბლის მეოხებით, საქართველოში აკრედიტებული საელჩოებისა და წარმომადგენლობების თითქმის ყველა პირველ პირს, აგრეთვე ცნობად სახეებს, ტიტულოვან მეცნიერებს, უცხოელ თუ ქართველ კოლეგებს გულღიად უმასპინძლა, მიზნებსა და ამოცანებზე მოუთხრო, დაიმეგობრა, საუნივერსიტეტო პრობლემების გადაწყვეტაში ჩართო, თანამოაზრედ გაიხადა; კოლეგებთან ერთად, უცხოეთის სხვადასხვა პრესტიჟულ ფორუმებზეც გაიტანა უნივერსიტეტის გეგმები და მის მომავალზე მიიქცია ყურადღება; აგრეთვე, რაც მნიშვნელოვანია, გულშემატკივართა და მხარდამჭერთა წრიდან დამატებითი სახსრები მოიზიდა, მთლიანად განაახლა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მას თანამედროვე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულის იერ-სახე შესძინა; სწავლების თანამედროვე ფორმების ტექნოლოგიური უზრუნველყოფა შეძლო, სტუდენტებისა და აკადემიური წრისთვის გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა ხელმისაწვდომი გახადა.** ამ მხრივ, ჩამონათვალი აქ არ მთავრდება - სხვაც ბევრია ჩვენს უნივერსიტეტს თანასწორთა შორის სანიმუშოდ რომ წარმოაჩენს; ჩაფიქრებული პროექტების პანდემიით შეფერხება რომ არა, უფრო შთამბეჭდავს გახდიდა სწორი გათვლებით მოპოვებულ წარმატებებს... მაგრამ მათ შორის, განსაკუთრებული, მე ვიტყოდი, ესკლუზიურია ის, რომ რეფორმატორმა რექტორმა შეძლო **„უნივერსიტეტი სრულიად ახალი პროდუქტის შემქმნელ სივრცე-გარემოდ“** წარმოედგინა.

სავსებით ლოგიკურია, რომ განათლება მსმენელისთვის არა მხოლოდ რომელიმე დარგის/საგნის შესახებ ცოდნის გაზიარებაა, არამედ მისი სრულყოფა, სამყაროს შეცნობა, ჯანსაღი თაობის აღზრდა, მისი მსოფლმხედველობის ფორმირება, კულტურულ-ეთნიკური იდენტობის გავრცელება, ბოროტებისგან კეთილის გამორჩევის და მაშასადამე, ადამიანურ ურთიერთობათა წრთობის, გამყარების, მშვიდობისყოფის მძლავრი კერაცაა, **თუმცა ეს ბუნებრივი ფუნქცია, მსოფლმხედველობრივი შეუთავსებლობის გამო, საქართველოში რევოლუციურ ტალღაზე მოსულმა ხელისუფლებამ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას პირწმინდად გამოაცალა, დარგობრივი კვლევითი ინსტიტუტების უმეტესობა გააუქმა, სამეცნიერო პოტენციალი - ეს უსაზღვროდ დიდი ძალა, შესაძლებლობა, უფუნქციოდ დატოვა, სწავლების ფორმებიც და აქედან გამომდინარე შედეგებიც დროის მოთხოვნებს კატასტროფულად ჩამორჩა.**

ჩვენი ქვეყნის უკიდურესად რთული პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის (ზოგადად, ყველა პრობლემის) მთავარი განმაპირობებელი სწორედ **ცოდნის დეფიციტია. უცოდინარობა, საკუთარი შესაძლებლობების გადაჭარბებული შეფასება ანგრევს ადამიანის ცნობიერებას. უცოდინარობიდან იღებს სათავეს ყველა წარუმატებელი გარდაქმნა, ჩამორჩენა, სოციალური უთანასწორობა, დაპირისპირება, სახელისუფლებო ორგანოების წარმოუდგენლად**

**დაბალი კომპეტენტურობა, უმუშევრობა, ქუჩის აქციები, გამაყრუებელი ხმაური, კამათი არაფრის გამო, უზარმაზარი ენერგიის უაზრო ფანტვა და ათასი სხვა თავსმოხვეული გაუტანლობა.**

ამ შეუწყნარებელ მოცემულობაში, არსებული საგანმანათლებლო სისტემის ნეგატიური წვლილი უდავოდ დიდია.

სამართლიანად და სავსებით სწორად შენიშნავს წინათქმაში ავტორი, რომ **„საქართველოს სუვერენიტეტისა და ერთიანობის უპირველესი პრობლემის - კონფლიქტების გზა არის მშვიდობიანი და გადის ჰუმანიზმზე დაფუძნებულ საყოველთაო ღირებულებაზე: განათლებაზე, მის უმაღლეს მწვერვალზე - მეცნიერებაზე და საზოგადოების ყველაზე ჯანსაღ, მოტივირებულ და პრაგმატულად მოაზროვნე ნაწილზე - ახალგაზრდობაზე. ცხადია, სამივე კომპონენტი ერთად თავს იყრის და თანაარსებობს მხოლოდ თავისუფალ საუნივერსიტეტო სივრცეში“**

მართლაც, მდგომარეობის გამოსწორების რესურსი მხოლოდ განათლებაში, სამეცნიერო პოტენციალის სწორი გეზით წარმართვაშია. პოლიტიკურ და არაპოლიტიკურ პროცესებზე, კაცობრიობის უსაფრთხოებასა თუ მშვიდობისყოფაზე მეცნიერებას უდიდესი ზეგავლენა გააჩნია. ჩვენი მთავარი საზრუნავი, - მაშასადამე, კრიზისული მდგომარეობიდან გამოსვლის უმთავრესი წინაპირობა, აღმშენებლობაზე გადასვლა სწორედ მეცნიერებისთვის ფუნქციის დაბრუნება, სასწავლო პროცესის, სწავლების ხარისხის ამაღლება, დროის მითხოვნების გააზრება და განათლებისათვის ახალი სულისკვეთების შთაბერვაა.

დიახ, გაუგებრობების, დაპირისპირებების განრიდების მშვიდობიანი გზა სრულფასოვანი, ყოვლისმომცველი, კაცთმოყვარეობაზე, შემწყნარებლობაზე, სიყვარულზე ორიენტირებული სწავლება, საყოველთაო განათლებაა.

**აი, ეს არის ბატონ ზურაბ ხონელიძის ნაშრომის მთავარი განაცხადი.**

განსხვავებული აზრი არც უნდა იყოს, რომ განათლებისადმი დამოკიდებულების შეცვლა დაუყოვნებლივაა დასაწყები და ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯებიც უნდა გადაიდგას. ცხადია, მნიშვნელობა აქვს თუ ვინ იქნება ის, ვინც პირველი ჩაერთვება „საუკუნის მშენებლობის“ პროცესში და სხვებსაც აიყოლიებს.

ავტორის გამჭრიახობა იმაშია, რომ მან გლობალური გამოწვევებიდან ორი უმთავრესი - დამანგრეველი და კატასტროფის ტოლფარდი (ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული და ურთიერთგანმაპირობებელი) სახადი გამოარჩია, მათი ერთდროულად განრიდების პერსპექტივა გამოკვეთა და გეზიც დასახა. გამოცდილმა დიპლომატმა ცდისპირად, ჩანაფიქრის გადაწყვეტის სივრცედ ყველაზე მყიფე, მაგრამ თავისთავში ერთდროულად ორივე სენის მატარებელი - **„ქართული სახელმწიფოს ბედის თანაზიარი“**, უმეცრების მსხვერპლი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი მოიაზრა. განათლებისადმი პრიორიტეტული დამოკიდებულების დეფიციტი, ისევე, როგორც სხვა სახელმწიფო უნივერსიტეტში, აქ განსაკუთრებულად იგრძნობოდა.

მკრეხელობა იქნება იმის აღნიშვნა, რომ ქვეყანამ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს ყურადღება საერთოდ არ მიაქცია, გვერდში არ დაუდგა და მზრუნველობა არ უწილადა. მაგრამ ფაქტია, რომ იმ მატერიალურ-ტექნიკური ბაზით და მოტივაციით, რომლითაც ის **ზურაბ ხონელიძის** რექტორად არჩევამდე იყო, თავის დანიშნულებას ფორმალურად ასრულებდა.

**მსოფლიოში სხვა ანალოგი, ალბათ, არც არის, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება დევნილობაში ეწეოდეს საქმიანობას, ფაქტობრივად, ნულიდან აღმოცენდეს და სრულიად ახალ გარემოში დამსახურებულად მოიპოვოს აღიარება.**

**სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი ერთადერთი სტრუქტურაა, რომლის ლეგიტიმურობა ეჭვს არ იწვევს, ასოცირდება აფხაზეთის ტერიტორიულ ერთეულთან, გააჩნია კავშირურთიერთობა აფხაზეთის მოსახლეობასთან და საქმიანობას წარმართავს ძირითადად იმ პერსონალით, რომელიც იქაც ამ უნივერსიტეტში იყო დასაქმებული.**

სახელით, საქმიანობის მიმართულებით, აქ დავანებული საერთო განწყობით, ეს უნივერსიტეტი ყველას (სტუმარსაც და მასპინძელსაც) განუწყვეტლივ შეახსენებს აფხაზეთს, სანატრელ სოხუმს, ჩვენს ვალს და პასუხისმგებლობას მომავალი თაობების წინაშე. **„სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული მნიშვნელობა, განსხვავებული სტატუსი, ექსკლუზიური სოციალური მისია, არ ამოიწურება მხოლოდ საგანმანათლებლო ფუნქციით, უპირატესობასთან ერთად, იგი არა მხოლოდ საკუთარ ბედზე, არამედ ქვეყნის ერთიანობაზე - სამშობლოზე ზრუნვის ისტორიული პასუხისმგებლობაა“.** სწორედ სოხუმის უნივერსიტეტს ეკისრება ურთიერთობების აღდგენის ხიდის ფუნქცია. შემთხვევითი არაა, რომ სწორედ ამ უნივერსიტეტში გაჩნდა **„განათლების პოლიტიკის ახალი მიმართულება - საუნივერსიტეტო დიპლომატია“, როგორც უნივერსიტეტის განახლებული მისია, მშვიდობის მშენებლობის თანამედროვე ფორმა, საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის ახალი სახეობა“**, - მისია, რომელიც მიზანზე ბევრად მეტია!

ყველაზე მიმზიდველი და წარმატების საწინდარი მაინც ისაა, რომ სწორედ ამ უნივერსიტეტში გამოინ-

ახა „ახალი თავისუფალი „სივრცე“, სადაც სააზროვნო ველი და სამეტყველო ენა იქნება არა ანტაგონისტური, არამედ, აკადემიური და დიპლომატიური, მარად ცოცხალი და უნიკალური თავისებურებებით“.

**იდეის მთავარი არსი უნივერსიტეტის ძირითად ფუნქციასთან დიპლომატიის ორგანულად შერწყმაა,** მაგრამ ავტორის ამ არჩევანში ქვეყნისთვის მწვავე საკითხებზე, განათლების სისტემის ხარვეზებზე მინიშნება და შემოთავაზებულ ახალ ფორმატში ჯერ კიდევ გამოუყენებელი, აუმოქმედებელი, უნიკალური შესაძლებლობებიც უნდა შევნიშნოთ. არსს აცდენილი აღქმა რომ არ გამომივიდეს, ისევ ბატონ ზურაბს დავესესხები, ის უფრო გასაგებად, არგუმენტირებულად ასე ხსნის მის თითქოსდა მარტივ, თუმცა მრავალსაუკუნოვანი ქართული გამოცდილების წიაღში მიკვლეული უნიკალური მიგნების საფუძვლიანობას: **„ისტორიულ კონტექსტში, კონფლიქტების პარალელურად, არსებობდა და არსებობს უნივერსიტეტიც და დიპლომატიაც, რომლებიც ცალ-ცალკე დიქომეტრულად, მხოლოდ მეტ-ნაკლებად ასრულებენ თავიანთ ფუნქციებს, თუმცა ვერ პასუხობენ დროის გამოწვევებს. მაგრამ სწორედ უნივერსიტეტსა და დიპლომატიას შორის, „ინტერდისციპლინური“ კავშირი აჩენს შესაძლებლობას, წარმოიქმნას ის ახალი თეორიულ-მეთოდოლოგიური ცოდნა, რომელიც კონფლიქტის დარეგულირების ახალ ფუნდამენტურ პარადიგმას შემოგვთავაზებს, შეცვლის უნივერსიტეტის ფოკუსს თეორიული ცოდნიდან პრაქტიკული მომართულებისკენ. იგი - უნივერსიტეტი არა თუ შევა კონფლიქტში, ან შემოიტანს მას საუნივერსიტეტო სივრცეში, რაც მოახდენს მის ესკალაციას ( როგორც ადრე), არამედ შემოიტანს მხოლოდ „თემას“, მისი შემდგომი განეიტრალების მიზნით. ამგვარი მიდგომა საშუალებას მოგვცემს, კონფლიქტების პრობლემატიკა, მხარეთა დაპირისპირებიდან, გადავიყვანოთ თეორიულ-პრაქტიკულ დისკუსიაში და შევიმუშაოთ ის აუცილებელი მეთოდოლოგია, რომელიც ყველაზე ეფექტიანად პასუხობს კონფლიქტს და მოემსახურება მის დარეგულირებას“.**

არაპროგნოზირებად პოლიტიკურ და სხვა გლობალური გამოწვევების პირობებში, რთულია განჭვრიტო თუ რა პრაქტიკულ გადაწყვეტას მიიღებს **„მშვიდობის ქართული პარადიგმა“**. მაგრამ აქედანვე სარწმუნოა, რომ მას განხორციელების პერსპექტივა გააჩნია; „საუნივერსიტეტო დიპლომატია“, როგორც საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის ორიგინალური სინთეზი, უკვე მუშაობს; სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამოქმედდა სამაგისტრო პროგრამა „დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა“, რომელიც საუნივერსიტეტო დიპლომატიის არსს დაეფუძნა; რამდენიმე წლის წინათ განაპირა პოზიციის მქონე რიგით უმაღლესი საგანმანათებლო დაწესებულებას - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს გაუჩნდა შესაძლებლობა **იქცეს კონფლიქტების კვლევის ცენტრად რეგიონში.**

ყველა ნიშნის მიხედვით, გლობალური პროცესების გამოწვევების ფონზე, **„მშვიდობის ქართული პარადიგმა“** მაღალი ფასეულობების, სტრატეგიული ხედვის და მასშტაბის კონცეპტუალური ნაშრომია, რომელიც ეპოქალური გარდაქმნების დაწყებისთვის მტკიცე საფუძველს ქმნის. მასში ჩაკირული აზრი სამშვიდობო ძალისხმევისა და განათლებისადმი დამოკიდებულების სრულიად ახალი სტანდარტის დამკვიდრების ნათელ პერსპექტივას აჩენს.

**იური პაპასქუა**
ეკონომიკურ მეცნიერებათა
აკადემიური დოქტორი, სსუ პროფესორი

# ცხოვრების მიზანი უცვლელია

ადამიანის ცხოვრების უმთავრესი დანიშნულება სამშობლოსა და ოჯახის მსახურებაა. სწორედ ამ ორ ფუნდამენტურ, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებაზე გადის გონიერი ადამიანის წარსული, აწმყო და მომავალი. ღირსეულად და უანგაროდ ემსახურო ამ მარადიულ იდეალებს, იმთავითვე ნიშნავს, უარი თქვა ბევრ ამქვეყნიურ წუთიერ სიამოვნებაზე და, „თანამედროვე ქვეყნის“ მნიშვნელობის სიღრმისეული გააზრებით, გაცნობიერებულად, ერთგულად და შეუწირავად ემსახურო ქართულ სახელმწიფოს. ამის ნათელი დასტურია ბატონ ზურაბ ხონელიძის მიერ განვლილი წინააღმდეგობრივი ცხოვრებისეული გზა, რომელიც გასული საუკუნის 80-იან წლებში საქართველოში მკვეთრად გააქტიურებულ ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობას, ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის აქტიურ ბრძოლას და ძლიერი ეროვნული სახელმწიფოს შექმნის იდეას უკავშირდებოდა.

სამშობლოს ერთგულების განმაპირობებელი აღნიშნული ფასეულობების სისტემური ანალიზით, შეფასებებითა და დასკვნებით გამოირჩევა ბატონი ზურაბის მონოგრაფია, - „მშვიდობის ქართული პარადიგმა“. მონოგრაფიაში საქართველოს უმთავრესი პრობლემის, მისი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მიმართულებით, ავტორი მყარ თეორიულ ცოდნასა და დიდ პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაყრდნობით იკვლევს, განიხილავს, აფასებს მოვლენებს და რეგულირების მექანიზმს გვთავაზობს. საქართველოში არსებული რეალობის გააზრებით, სრულიად სამართლიანად თვლის, რომ თემა, რომელიც „აუცილებელი საშინაო და საგარეო ფაქტორების გათვალისწინებით ქვეყნის შიგნით ერის მაკონსოლიდირებელ - საქართველოს ერთიანობისა და უმაღლესი ღირებულების - თავისუფლების მარადიული იდეის რეალიზაციას, ქვეყნის გარეთ - საქართველოსადმი, ცივილიზებული სამყაროს, საერთაშორისო თანამეგობრობის ერთიან მიდგომას - ქართული სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას, მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში“ აკმაყოფილებს, „ერთადერთია და იგი, არა ერთი ქვეყნის, არამედ, სახელმწიფოებრივი, ეროვნული, მეტიც, საერთაშორისო სამართლის ფუძემდებელი ნორმების უპატივცემულობისა და სხვა გლობალური მნიშვნელობის ფსევდო-ეთნოპოლიტიკური კონფლიქტის - აფხაზეთის (ასევე, ე. წ. სამხრეთ ოსეთის) პრობლემის დარეგულირებასთან ასოცირდება“. საკითხის რეალობის პრაგმატული გააზრებით, ავტორს მიაჩნია, რომ პრობლემის მოგვარება, უპირველეს ყოვლისა, მოითხოვს კონფლიქტის აღქმის ახლებურად გააზრებას ხელისუფლების მიერ, ამასთან, იმის აღიარებას, რომ მისი გაჭიანურების მიზეზი დარეგულირების შეუძლებლობა კი არა, გზის ვერდანახვა და სხვა მიმართულებით სიარულია. ავტორი სამართლიანად ასკვნის, რომ კონფლიქტის თემის გაცოცხლებით მოხდება არა თუ დამატებითი სირთულეების გაჩენა და ქვეყნის ჩიხურ მდგომარეობაში მოქცევა, არამედ, პირიქით, არსებული ჩიხიდან გამოსვლის შენიღბული შესაძლებლობის დანახვა და „საქართველოს სრულფასოვან სახელმწიფოდ გარდაქმნის ახალ გზაზე გაყვანა“.

ქართული სახელმწიფოს ერთგულად მსახურების გზებისა და ფორმების ძიებამ პროფესიონალი დიპლომატი კიდევ ერთხელ დააბრუნა საგანმანათლებლო სივრცეში. ამჯერად, ბატონი ზურაბი რექტორის რანგში ჩაუდგა ყველაზე ქართულ, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს და სრულიად ახალი ენერგიითა და შემართებით განაგრძო თავისი უცვლელი ცხორებისეული მიზნის - სრულფასოვანი, ერთიანი ქართული სახელმწოფოს მშენებლობის იდეის განხორციელება. დასახული მიზნის რეალიზაციის გზაზე გამოცდილი დიპლომატი ინტელექტუალური, მრავალმხრივ პრაქტიკული და ცხოვრებისეული გამოცდილებით, მზადაა დაეხმაროს ქვეყნის ხელისუფლებას ერთიანი ქართული სახელმწიფოს მშენებლობაში, ცოდნასა და განვითარებაზე ორიენტირებულ საზოგადოებას კი მოუწოდებს, აქტიურად ჩაერთოს ქართული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში. არგუმენტირებულად ავითარებს მოსაზრებას, რომ სახელმწიფოებრივად მოაზროვნე, განათლებული, ქვეყნის ერთგული, პატრიოტი, პროფესიონალი, მორალურად სუფთა ადამიანების ჩანაცვლება არ უნდა მოხდეს ე. წ. „პოლიტიკური ელიტის“ წარმომადგენლებით, რომელთა უმრავლესობა ვერ განთავისუფლდა დესტრუქციულ პოლიტიკასთან აფილირებულთა გავლენებისაგან, რომლებიც მუდმივად უარყოფითი მუხტის შემოტანით, ქვეყნისთვის მოსალოდნელი საფრთხის გაჩენით, ქართულ საზოგადოებაში ნერგავენ შიშს, საერთაშორისო საზოგადოებაში კი - ქართული სახელმწიფოს მომავლისადმი უიმედობის განცდას.

პრობლემების მხოლოდ მშვიდობიანი გზით დარეგულიერების მომხრე დიპლომატი კონფლიქტების მოგვარების მექანიზმად და ორიგინალურ მიდგომად გვთავაზობს უნივერსიტეტისა და დიპლომატიის, როგორც მოლაპარაკების ხელოვნების ურთიერთშერწყმით მიღებულ ახალ კონცეფციას: „ორი თავსებადი თვისობრიობის - უნივერსიტეტისა და დიპლომატიის ერთობამ ჩამოაყალიბა ახალი პარადიგმა: „თეორიიდან ქმედებისკენ“, შექმნა სა-

ერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის არა კლასიკური, ან ფორმალური, არამედ, სრულიად ახალი სახეობა - „საუნივერსიტეტო დიპლომატია“, როგორც ზოგადად, კონფლიქტის, და არა მხოლოდ ეთნო - პოლიტიკურისა და საქართველოს კონფლიქტების, დამარეგულიერებელი სისტემის შემქმნელი, და არა მსახური, თავისთავადობა - მშვიდობის უზრუნველყოფის ახალი ორიგინალური საშუალება“. ამასთან, მონოგრაფიის ავტორს, მის მიერ ცალსახად ჩამოყალიბებულ კონცეფციაში, რომ კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებას ალტერნატივა არ გააჩნია, უნივერსიტეტი, როგორც საზოგადოების ყველაზე ცოცხალი, ჰუმანიზმზე დაფუძნებული ერთიანი ორგანიზმი, წარმოუდგენია ფუნდამენტური ღირებულებების: განათლების, მისი უმაღლესი მწვერვალის - მეცნიერების, საზოგადოების ყველაზე ჯანსაღი და პრაგმატულად მოაზროვნე ნაწილის - ახალგაზრდობის, მყარ ერთიანობად და აცხადებს, რომ „სამივე კომპონენტი ერთად თავს იყრის და ასევე მშვიდობიანად თანაარსებობს მხოლოდ თავისუფალ, დემოკრატიულ და აკადემიურ საუნივერსიტეტო სივრცეში“. ავტორს, აღიარებს რა, რომ „უნივერსიტეტი დაარსების დღიდან პოზიციონირებს როგორც ელიტური, უნივერსალური საგანმანათლებლო კერა და მის გარეშე წარმოუდგენელია საზოგადოების წარმატება და ქვეყნის განვითარება“, მიაჩნია, რომ უნივერსიტეტმა უნდა ითამაშოს კატალიზატორის როლი კონფლიქტების მშვიდობიანი გზით დარეგულიერების პროცესში, თუმცა, იქვე, მისთვის ჩვეული პირდაპირობით აღიარებს, რომ თანამედროვე ეტაპზე „სამწუხაროდ, იგი, არა თუ ვერ გვთავაზობს პრობლემათა დაძლევის მექანიზმს, არამედ ვერ აყალიბებს ერთიან ხედვას, ბოლომდე ადეკვატური არ აღმოჩნდა დროისა და მისი ყველაზე დიდი გამოწვევის, კონფლიქტის მიმართ“. ამასთან, ასაბუთებს, რომ „უნივერსიტეტს, როგორც უნივერსალურ მოდელს, მისი განუსაზღვრელი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, აქვს შიდა რესურსი, დაასაბუთოს თავისი სიცოცხლისუნარიანობა, შეძლოს კონფლიქტის რეგულირების არჩეული - სამშვიდობო სტრატეგიის პოლიტიკური ველის საუნივერსიტეტო რესურსით შევსება და აქტიურად ჩაერთოს, მეტიც, იქცეს სამშვიდობო პროცესის ეპიცენტრად“. აქედან გამომდინარე, ავტორის მოსაზრება, რომ უნივერსიტეტმა კონფლიქტების მშვიდობიანად დარეგულიერების პროცესში, მის ძირითად, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასთან ერთად, დამატებითი სამშვიდობო პროცესის ინდიკატორის ფუნქცია შეითავსოს, სავსებით ლოგიკური და დასაბუთებულია.

ბატონი ზურაბ ხონელიძე „საუნივერსიტეტო დიპლომატიის“, როგორც კომუნიკაციის ინოვაციური ფორმის ავტორად და შემოქმედად ქვეყნის ბედის თანაზიარ „პოლიტიკის მსხვერპლს“, აფხაზეთის დანარჩენ საქართველოსთან დამაკავშირებელ ყველაზე ცოცხალ ორგანიზმს, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს მიიჩნევს, „უნივერსიტეტს, რომელიც სტრატეგიული მნიშვნელობიდან გამომდინარე, აჩენს შესაძლებლობას, კონფლიქტში შესვლის ან ერის ისედაც დეფიციტური ენერგიის კონფლიქტის შედეგებთან ბრძოლისკენ მიმართვის ნაცვლად, უნივერსიტეტის თავისუფალ აკადემიურ სივრცეში მხოლოდ თემის შემოტანითა და არასაუნივერსიტეტო რესურსის გაერთიანებით, კონფლიქტით დაინტერესებულ სუბიექტებთან, უპირველესად, ხელისუფლებასთან, ასევე, სამოქალაქო საზოგადოებასთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და „მხარეებთან“, მეცნიერულ-ჰუმანისტური დიალოგის გაჩენით კონფლიქტის მიზეზების დადგენასა და პრობლემის რეალურ დარეგულიერებას მოემსახუროს“.

ბატონი ზურაბის მიერ შემოთავაზებული, კონფლიქტების მშვიდობიანი გზით დარეგულიერების ახალი ქართული პარადიგმა, არა მხოლოდ თეორიულ-მეთოდოლოგიური, კონცეპტუალური, არამედ დიდი პრაქტიკული ღირებულების ნაშრომია. პოლიტიკურად და ეკონომიკურად თავისუფალი, ძლიერი, დამოუკიდებელი, ერთიანი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბების, მისი საერთაშორისო ფუნქციისა და სტრატეგიული ამოცანების განსაზღვრის აუცილებლობიდან გამომდინარე, წიგნი - „მშვიდობის ქართული პარადიგმა“, წარმოადგენს „საუნივერსიტეტო დიპლომატიის“, როგორც უნივერსიტეტის განახლებული მისიის, მშვიდობის უწყვეტი პროცესის მშენებლობის თანამედროვე ფორმის, საერთაშორისო ურთიერთობების, დიპლომატიის ახალი სახეობის და „სამხრეთ კავკასია გეოპოლიტიკური სივრცე“, - რეგიონული თანამშრომლობის ახალი ფორმატის, ერთიან, განუყოფელ, ორგანულ ნაწილს. საქართველოს ბედის თანაზიარი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტთან დაკავშირებული, კონფლიქტების მშვიდობიანი გზით დარეგულირების ავტორისეული კონცეფცია, თავისი არსითა და მნიშვნელობით წარმოადგენს არა მხოლოდ ქართულს, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სივრცის ნაწილს, არამედ, საერთაშორისოს, რომელიც, უნივერსიტეტის მიზნიდან და მისიიდან გამომდინარე, სცილდება ერთი, მხოლოდ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ქვეყნის, რეგიონის ფარგლებს და განიხილება, როგორც კონფლიქტების მშვიდობიანი გზით დარეგულიერების ახალი, უნივერსალური მოდელი.

**დავით ჯალაღონია**
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარე,
პროფესორი

# საჭირო და სასარგებლო სახელმძღვანელო

ეკონომიკური მეცნიერების შესწავლა - დაუფლებისათვის განკუთვნილი, ჩვენთან დღესდღეობით არსებული არც თუ მდიდარი ორიგინალური ლიტერატურის რიცხვს შეემატა პროფესორ **ვლადიმერ ბასარიას** მიერ მომზადებული სახელმძღვანელო **„შესავალი ეკონომიკურ თეორიაში: მიკროეკონომიკის საფუძვლები (სალექციო კურსი და პრაქტიკუმი)“.** სახელმძღვანელო განკუთვნილია მიკროეკონომიკის საფუძვლების (პრინციპების) შესასწავლად და შეესაბამება საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში გამოყენებული პროგრამების მოთხოვნებს.

ავტორი წიგნიზე მუშაობისას დაეყრდნო ეკონომიკური მეცნიერების კლასიკოსების იდეურ მემკვიდრეობას (გ. მენქიუს, პ. სამუელსონის და სხვების სახელმძღვანელოებს), თუმცა სასწავლო ლიტერატურისათვის აუცილებელი მოსაზრებების გადმოსაცემად სრულიად განსხვავებულ, მეტად ორიგინალურ მიდგომას და მეთოდებს იყენებს.

მკითხველი იმთავითვე შენიშნავს, თუ რა რუდუნებით და პროფესიულობით ცდილობს ავტორი გაუმარტივოს სტუდენტს არც თუ იოლი თეორიული და პრაქტიკული საკითხების (ეკონომიკური რესურსების შეზღუდულობისა და მათი გამოყენების, წარმოების ფაქტორების ბაზრების, მოთხოვნა-მიწოდებისა და მათი წონასწორობის, საერთაშორისო ვაჭრობის, საზოგადოებრივი დოვლათის, გადასახადების, წარმოების დანახარჯების, კონკურენციის განსხვავებულ პირობებში ფირმის ქცევის და ბევრი სხვა საკითხის) ათვისება: საგნობრივად, თანმიმდევრულად, აზროვნების დამაჯერებელი ლოგიკით და ფაქტობრივი მასალის გამოყენებით დაწერილი სახელმძღვანელოსთვის უცხოა მენტორული ტონი - ავტორი მკითხველს მასთან ერთად აზროვნებასა და ეკონომიკის ამა თუ იმ ასპექტის შესახებ ჭეშმარიტების დადგენამდე ერთობლივად მისვლას სთავაზობს; გამართული ენით გადმოცემულ ნაშრომში მოშველიებულია ქართულ რეალობასთან მორგებული თვალსაჩინო მაგალითები, ტექსტის უკეთ აღქმისათვის კი გამოყენებულია დამაჯერებლად ახსნილი გრაფიკული ნახაზები; ახალი თემის გადმოცემისას, ავტორი მკითხველს ახსენებს ადრე გავლილ მასალას და გასაგებად ხსნის ამ მასალის კავშირ-დამოკიდებულების კანონზომიერებებს ახალი საკითხებისადმი - ყოველივე ზემოაღნიშნული სტუდენტებს ფასდაუდებელ დახმარებას გაუწევს ეკონომიკურ თეორიაში სისტემური ცოდნის მიღების ურთულეს პროცესში.

ცალკე უნდა შევნიშნოთ ის მიდგომა, რომლის მიხედვითაც ავტორი ეკონომიკურ ტერმინოლოგიას წიგნის იმ გვერდის სქოლიოში განმარტავს, სადაც მათ პირველად მოიხსენიებს. ნიშანდობლივია ისიც, რომ ნაშრომში ფართოდ არის გამოყენებული საკითხის შესწავლის გაღრმავება-შემოწმების ხერხები: თითოეული თემის ბოლოს მოყვანილი კითხვები, ტესტები და სასწავლო დავალებები მეტად მნიშვნელოვანია როგორც მკითხველისთვის მიღებული ცოდნის გადასამოწმებლად, ასევე უმაღლესი სასწავლებლების პედაგოგებისათვის მიკროეკონომიკის სასწავლო კურსის მიზნების განსახორციელებლად.




იმედს ვიტოვებთ, რომ წიგნი გამოყენებული იქნება არა მარტო მიკროეკონომიკის საფუძვლების სწავლებაში ავტორიტეტული უცხოური სახელმძღვანელოების პარალელურად, არამედ წარმატებითაც ჩაანაცვლებს მათ, რაც მნიშვნელოვნად გაუადვილებს სტუდენტებს დისციპლინის სიღრმისეულად ათვისების საქმეს, პროფესორ-მასწავლებლებს კი საგნის შესახებ მსმენელებში კვალიფიციური წარმოდგენის შექმნაში დაეხმარება.

**იოსებ არჩვაძე, იური პაპასქუა,**
**დავით ჯალაღონია,**
**მურმან კვარაცხელია.**
სახელმძღვანელოს რედაქტორები, პროფესორები

# ჟურნალის მკითხველთა და პოტენციურ ავტორთა საყურადღებოდ!

ვფიქრობთ, თქვენთვის საინტერესოა გაცნობოთ, რომ ჟურნალი **„ბიზნესი და კანონმდებლობა“** უკვე გასული წლის დეკემბრიდან გამოდის საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური სტატუსით და ინდექსირებულია საერთაშორისო საძიებო ბაზაში **- Google Scholar.**

ჟურნალი წლების განმავლობაში წარმოადგენდა საქმიანი წრეებისთვის საიმედო პარტნიორს, ბიზნესის დარგში - გამოცდილ გზამკვლევს, საკანონმდებლო აქტების ლაბირინთებში - გულთმისან მეგზურს, აკადემიურ სფეროსთვის - უანგარო მსახურს და გააგრძელებს ამ ტრადიციას.

ჟურნალი ღიაა ყველა დაინტერესებული პირისთვის. მასში შესძლებელია ქართულ, ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებზე სტატიების გამოქვეყნება ბიზნესის ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის, ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის აქტუალურ საკითხებზე. მიიღება რეცენზიები გამოქვეყნებულ მონოგრაფიებსა და სახელმძღვანელოებზე, აგრეთვე საკანონმდებლო აქტებზე კომენტარები, განმარტებები, შენიშვნები და სრულყოფის რეკომენდაციები.

ჟურნალის ახალ სტატუსთან დაკავშირებით, შეგახსენებთ სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნების წესს და გაწვდით დამატებით მოთხოვნებს:

- სამეცნიერო სტატია წარმოდგენილი უნდა იყოს **A4 ფორმატით.** მოცულობა, გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალისა და რეფერატის ჩათვლით, არ უნდა აღემატებოდეს კომპიუტერზე **1,5 ინტერვალით** და **11 ზომის შრიფტით** ნაბეჭდი ტექსტის **20 გვერდს**. მასში უნდა იკვეთებოდეს საკვლევი პრობლემის აქტუალურობა, კვლევის მიზანი და ამოცანები, კვლევის მეთოდოლოგია, კვლევის შედეგები (სიახლე), რეკომენდაციები.

- ქართულ ენაზე შესრულებულ ნაშრომს უნდა ახლდეს რეფერატები ქართულ და ინგლისურ ენებზე - თითოეული 1000-მდე ნიშნის მოცულობით. უცხო ენაზე დაწერილს კი - ძირითადი შინაარსი 2-3 გვერდზე ქართულ ენაზე და რეფერატი იმავე უცხო ენაზე.

- რედაქციაში სტატიის წარმოდგენა აუცილებელია ნაბეჭდ ეგზემპლარად, ელვერსიასთან ერთად (ქართული - შრიფტით **Sylfaen**, ხოლო უცხოურ ენაზე ტექსტი - **Times New Roman**). სტატიის სათაურის ქვემოთ (მარჯვენა მხარეს) უნდა მიეთითოს ავტორის (ან ავტორების) სრული სახელი, გვარი, აკადემიური ხარისხი, თანამდებობა, ტელეფონი და ელექტრონული ფოსტის მისამართი;.

- სტატიაში უნდა ჩანდეს საკვლევ პრობლემასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ლიტერატურის გამოყენება. ლიტერატურის დასახელება უნდა განთავსდეს სტატიის ბოლოს ერთიანი სიის სახით: ა) წიგნის დასახელება შემდეგი თანმიმდევრობით - ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები, წიგნის დასახელება, გამოცემის ადგილი, გამომცემლობა, წელი; ბ) საჟურნალო სტატიისათვის - ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები, სტატიის დასახელება, ჟურნალის დასახელება, წელი, ჟურნალის ნომერი. ლიტერატურის სიაში მითითებული წყარო გამოყენებული უნდა იყოს სტატიის ტექსტში. ამა თუ იმ ავტორის ნაშრომიდან ციტირებისას, მას უნდა მიეთითოს წყარო შესაბამისი გვერდის აღნიშვნით შემდეგი სახით [3,გვ.41], სადაც პირველი ციფრი შეესაბამება ციტირებული წყაროს რიგით ნომერს გამოყენებული ლიტერატურის სიაში, ხოლო მეორე - იმ გვერდს, საიდანაც მოყვანილია ციტატა. ლიტერატურის სიაში ყოველი წიგნის (ჟურნალის) ბიბლიოგრაფიული აღწერა უნდა შეესაბამებოდეს მის სატიტულო ფურცელს.

- ძირითადად ტექსტში ცხრილები, გრაფიკები და სქემები უნდა განთავსდეს მათი მითითების ადგილზე, თუ იქ ადგილი არასაკმარისია - შეიძლება მომდევნო გვერდზე. ცხრილებს, გრაფიკებს და სქემებს უნდა ჰქონდეს დასახელება და ნუმერაცია.

გამოსაქვეყნებლად წარმოდგენილი სამეცნიერო სტატია გადის რეცენზირებას დარგის სპეციალისტ რეცენზენტთან (რეცენზენტის ვინაობა ავტორისთვის არ იქნება ცნობილი, არც რეცენზენტს ეცნობება ავტორის/ავტორების ვინაობა).

ცალკეული გამონაკლისის გარდა, სტატიის გამოქვეყნება ფასიანია. **ერთი გვერდის საფასური 5 (ხუთი) ლარი.** ანგარიშსწორების ანგარიში მითითებულია ჟურნალში.

აღნიშნული მოთხოვნების შეუსრულებლობისას, სტატია არ გამოქვეყნდება და ავტორს არ უბრუნდება.

წელიწადში გამოდის ჟურნალის არანაკლებ 2 ნომერი, ვრცელდება ელექტრონულად და ხელმისაწვდომია ნებისმიერი მომხმარებლისთვის მისამართზე: **b-k.ge.**

**ჟურნალის რედაქცია**